პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—31.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა. 1 ივლისი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 151 (2194)

დღიური

— ავღანისტანის ფადიშაჰი ამანულა ჩავიდა ჰერატში.
— შეწყდა მოლაპარაკება სამხრეთ-სლავიისათვის სესხის მიცემის შესახებ.
— მუსლიმანურ-ქრისტიანული კონგრესი პალესტინაში.
— საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მოიწონა მთავრობის დეკლარაცია.
— გერმანიის პრესა შახტის პროცესის შესახებ.
— ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა მონაწილეობა არ მიიღოს „იტალია“-ს ეკიპაჟის დახმარებაში.

192 წლის ივლისის 3-ს ქ. თბილისში, სახლეში
გაიხსნება
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის
მე-4 სესია
სესიის დღის წესრიგი:
1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლებების და მოვალეობების გაფართოების შესახებ.
2. განხილვა და დამტკიცება საკანონმდებლო აქტებისა, რომელიც პრეზიდიუმის მიერ მიღებულ იყო სესიიდან სესიამდე.
3. ორგანიზაციული საკითხები.
4. მიმდინარე საკითხები.
ს.ს. ცაკის მდივნის მაგიერ ი. ვარძელი.

1928 წლის ივლისს,
საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თეთრ დარბაზში, „ალამოსხ.
დანიშნულია
საქ. კომპ. ცენტრალური საკონტროლო კომისიის
მესამე მორიგი პლენუმი
დასწრება საკ. კომისიის წევრების და კანდიდატების სავალდებულოა
ც. ს. კომისიის თავმჯდომარე: ა. დოლიძე.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ივლისისათვის
კვირას, 1-ლ ივლისს კანტორა ღია იქნება
დილის 10 საათიდან შუადღევის 3 საათამდე
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8

დე-მონზი ჰ ისვენე:

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ფრანგ პოერმანიასა და საბჭოთა კავ შო-
ლიტიკურ მოღვაწის დე-მონზის განის ხომ საფრანგეთის მონიკობის
ცხადებას საფრანგეთ-საბჭოთა კავშირშე მოხდა სავაჭრო შხმება.
რის ურთიერთობის შესახებ. დე-მონზისთვისაა აქ აუცილებელ მესა-
ზი თავმჯდომარე იყო საფრანგეთის მხარე? ცხადია, რა საქმე
მთავრობის იმ კომისიის, რომელიც გვაქვს საბჭოთა კავშირზე გიანე-
თავის დროზე ჩვენს დელეგაციასთაული ძალებით ეკონომიზეგავ-
მოლაპარაკებას აწარმოებდა. ს წინილების მოხდენის ცდასთან, შესახებ
საბჭოთა კავშირის მეგობრად ასაღეზღევით ვილაპარაკეთ.
და თავის თავს და ეხლაც ამბობს, რომ უფრო ხაზგასასმელია მონზის
საფრანგეთ - საბჭოთა დაახლოვებისშემდეგი სიტყვები: „საფრახს სა-
მომხრეა. ზოგადოებრივი აზრი უნდა დარ-

ამაზე ზედ გამოჭრილი ანდაზა მუნებული, რომ სამრეწველა სა-
ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებს. დვაჭრო კრედიტები (რომლე საფ-
მონზისათვის თითქო გაუგებრია, თრანგეთი მისცემს საბჭ. კის, თუ
რატომ არის ცდები დასახონ ის მილშეთანხმება მოხდა. რედ.) ადაიქ-
ერანის მიმდევრად მთლიანი ანტი-საბ ქვეიან ოპერაციულ საშუალ მე-
ჭოთა ფრონტის საქმეში. ნამდვილა ამე ინტერნაციონალისათ ამგვა-
კი გაუგებარი აქ არაფერია. ჯარგა ხრად, შესაძლებელი ნდომამოკი-
ნია, რაც დე-მონზიმ „თავი ასახელდებულია კომინტერნისაგანბჭოთა
ისეთი გამოსვლებით, რომელა მიზაკავშირის მთავრობის გარელ გა-
სწორედ ანტისაბჭოთა ფრონტის შემუშვენაზე“. როგორც ვხე, დე-
მნაა. მონზი პროვოკაციულ კამპა აწარ-

ჯერ კიდევ ამ წლის თებერვალმოებს საბჭოთა კავშირინაალმ-
მან წამოაყენა საფრანგეთ - გერმანიეგ; ის აფრთხილებს კაპიტალებს,
ეკონომიურ ანტანტის იდეა რომლრომ უცხოეთის კრედიტებზე ბჭოთა
პოპულიარიზაციისათვის ის ბერლიმთავრობა იყენებს „დამანგლ მუ-
შიაც ჩავიდა. აბა რა უნდა გვქონდმაობისათვის“ ბურჟუაზიეყენებ-
ჩვენ საწინააღმდეგო თავის თავად მიო. აქედან დასკვნა ერთიძლება
ორი ქვეყნის ეკონომიურ თანამშრომყოს: კრედიტები არ უნდა ეს საბ-
ლობის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს თჭოთა კავშირს.
ნამშრომლობა დე-მონზის სჭირდე უფრო წინედ დე-მონზიანაცხა-
სპეციალურად საბჭოთა კავშდა: „ჩვენ ვაწარმოებთ მძარაკი-
რის წინააღმდეგ. ამ სახელმწიფოებას რუსეთის მთავრობასთმაგრამ
მა უნდა გამოიმუშავონ საქმან გარიეკრძალავთ მესამე ინტერნაცლს
ბათა და ფასების პირობები,რომელტაარღვიოს წესრიგი ჩვენსქვეყანა-
ნიადაგზე უნდა ხდებოდეს ვაჭრობში“-ო. ამ სიტყვების აზრი, რომ
საბჭოთა კავშირთან—ასეთი ხსენთუ საბჭოთა მთავრობას სუაპიტა-
ბულ იდეის აზრი. განმარტება არ უისტურ მთავრობასთან ნხმება,
და, რომ დე-მონზის ეს პროექტი ამინ, არც მეტი, არც ნაკლები და აკრ
ცანად ისახავდა ჩვენი საარეო ვეალოს კომპარტიების და ოიანად
რობის მონოპოლიის შერყევას და ზკომინტერნის რევოლიუცრი მუ-
გავლენის მოხდენას საბჭოთა კავშიობა. თითქო კომპარტიებ ბჭოთა
ზე, რათა ჩვენთვის მიუღებელ დათმთავრობისაგან იყვენ დიდებუ-
ბებზე წავსულიყავით კაპიტალისტუოი და მათი რევოლონური
მსოფლიოსთან კანონიერ ჯამოკიდრძოლის აღკვეთა პრაქტიულ
ბულების დროს. ელისუფლების მოვალეო შეად-

მაგრამ დემონზი ამითაც არ დაკმენდეს!
ყოფილდა. მაისში მან გაზ. „ტეგლიშ დე-მონზის კიდევ ერთი ებული
რუნდშაუ“-ში (შტრეზემანთან ახლო ოი უტრიალებს თავში:იმოიდ-
მდგომი ორგანოა) მოათავსა წერილინეთ, არის თუ არა საბჭ მთავ-
რომელშიც, სხვათა შორის ვკითხულობა კომპარტიებთან დიორებუ-
ლობთ: „იმისათვის, რომ საერთოდ შეი, ეს საკითხი უნდა თვალ ცა-
საძლებლობა გვქონდეს მოლაპარაკებაკე შემთხვევაში გადასწრან ჰაა-
ვაწარმოოთ რუსეთთან, როგორც ეტის საერთაშორისო იურისს კრე-
ყობა, აუცილებელია მთლიანი ფრონმ. დიდი პოლიტიკური სხის გა-
ტის შექმნა“, აქ უკვე აშკარად სჩანირკვევა, ამგვარად, იურბს უნ-
საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დეა მიენდოს! ასეთი „აქტური“
მონზის კამპანიის წმინდა პოლიტიკურიდახრა დე-მონზისაც ბატიება,
ხასიათი. საქმე ეხება კაპიტალისტუნდაც ის, როგორც ვექმალალი
სახელმწიფოების შეთანხმებას ჩვენთარმოდგენის იყო თავის ფესიის
ერთნაირ პოლიტიკურ დამოკიდებულებზე. თავის თავად ცხა ამ საე-
ლების დასაწყარებლად. თაშორისო იურისტების ება სა-

ჩვენ აქ არ შევუდგებით დე-მონზითხს ისე გადაჭრის, როც ამას
კიდევ სხვა წინანდელ გამოსვლებკარნახებენ მისი ბატი—კაპი-
რომლებიც საბჭოთა კავშირის წინააღლისტები და მთავრობებ ი. ბუ-
მდეგაა მიმართული. თვით ის განცხაჟუაზიულ იურისტების სკვნები
დება, რომელსაც დღეს ვათავსებთ, აველთვის მიმართული ა საბ-
მხრივ საკმაო მასალას იძლევა იმის ნათა კავშირის წინააღმდ
თელსაყოფად, თუ საფრანგეთ - საბასეთი გზით ყველაზე ნზ შეი-
ჭოთა დაახლოების როგორი მომხრეება საფრანგეთ-საბჭოთა ვშირის
დე-მონზი. თანხმება, რომელზეც თუ-

პირველ ყოვლისა, ის ისევ იმეორე წრუნავს დე - მ. მისი
რებს გერმანია - საფრანგეთის ეკონოლანდელი გამოსვლა ელ კო-
მიურ შეთანხმების აუცილებლობას, ვ მოწმობს იმპერიალისტ მიერ
იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდესლიანი ანტისაბჭოთა ფრის შექ-
საფრანგეთ - საბჭოთა სადაო საკითის ცდას, რის დაფარვასად ლა-
ების გადაჭრა და მათ შორის ალებბს ფრანგი სენატორი ლთმაქ-
ეცემობის განვითარება. რატომ არი განცხადებით, თითქოს საფ-
შეუძლია საფრანგეთს, თუ მას სურსნგეთ—საბჭოთა კავშირაახლო-
ამ მიზანს დამოუკიდებლად მიაღწიოსზის მომხრე იყოს.

დე-მონზი საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება მუშა-კოოპერატორებისადმი

ხელმოწერილია იტალია-სპარსეთის სავაჭრო შეთანხმება

საუბარი დე-მონზისთან

პარიზი, 29 ივნისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა დე-მონზის მისი გამოსვლების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო საფრანგეთ - საბჭოთა ურთიერთობის საკითხებთან. დე-მონზი გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ „მოსკოვი და „პრავდა“ ცდილობენ გამოიყვანონ ის მილიერანის მემკვიდრედ მთლიან ანტი - საბჭოთა ფრონტის შექმნის საქმეში“. დე-მონზიმ განაცხადა, რომ ის საფრანგეთ - საბჭოთა დაახლოვების მომხრეა და აღნიშნა, რომ „საფრანგეთ - საბჭოთა დაახლოვებას საფუძვლად უდევს კერძო ვალების მოწესრიგება. საბჭოთა პოზიციის გამო, ეს მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ანაზღაურებული იქნება სავაჭრო კრედიტებით. ამ კრედიტების საქმის მოგვარება საფრანგეთში შეიძლება მხოლოდ გერმანიის მაგალითის მიხედვით და მისი დახმარებით, ვინაიდან მან უკვე მოახდინა ასეთი მორიგების ცდა. შეთანხმების მისაღწევად, რომლის შემდეგ შესაძლებელი გახდება კრედიტების გაცემა, საჭიროა, რომ ხელშეკრულებები ნატურალური მიწოდებების შესახებ უზრუნველყოფილ იქნეს ერთიანი კომპრომისული დადგენილებით და ერთგვარი არბიტრაჟის შემოღებით საფრანგეთსა და გერმანიაში. საჭიროა აგრეთვე, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივმა აზრმა მხარი დაუჭიროს საფრანგეთის კრედიტორებს, რომელთაც უნდა მივმართოთ მოწოდებით. ყოველ შემთხვევაში საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ სამრეწველო და სავაჭრო კრედიტები არ გადაიქცევა მე-3 ინტერნაციონალის საოპერაციო საშუალებად. ამრიგად, შესაძლებელი ხდობა დამოკიდებულია იმისაგან, თუ რამდენად გარკვევით გაემიჯნება საბჭოთა კავშირის მთავრობა კომინტერნს.

მე შენიშნული მაქვს იმ ამოცანის უდიდესი სიძნელე, რომელიც, ჩემის აზრით, უნდა დაევალოს საერთაშორისო იურისტებს, მაგრამ მე ცოტა არ იყოს მაკვირვებს ის გარემოება, რომ თქვენი მხრით — მე მგონია შეუგნებლად, — საერთაშორისო იურისტების ეს კრება ჰააგაში შეადარეს ჟენევის ან გენუის დიპლომატიურ ღონისძიებებს“.

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება მუშა-კოოპერატორებისადმი

მოსკოვი, 30 ივნისი. გამოქვეყნებულია კომინტერნის აღმასკომის მოწოდება, ყველა ქვეყნის მუშა - კოოპერატორებისადმი კოოპერაციის საერთაშორისო დღის — 7 ივლისთან დაკავშირებით.

„საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსი, — ნათქვამია განცხადებაში, — რომელიც კუდში მისჩანჩალებს კაპიტალისტურ ერთა ლიგას, სიხარულით აცხადებს, რომ უკანასკნელი წელი აღინიშნა წარმატებებით, რომ ძმობისა და მშვიდობიანობის, და აგრეთვე მსოფლიო მეურნეობის აღდგენის იდეამ თითქოს წინ წაიწია, რომ ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი კოოპერატიული მოძრაობის ზრდამ. სინამდვილეში კაპიტალმა გასულ წელში გააძლიერა შეტევა მშრომელ კლასებზე. რეფორმისტულ კოოპერატორებს და რეფორმისტულ კოოპერატიულ ბიუროკრატიას თავისი პოლიტიკა დამორჩილებული აქვთ ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. რამდენადაც უფრო მჭიდროდ უკავშირდება კოოპერატიული ბიუროკრატია ბურჟუაზიულ კლასს, — მით უფრო გშორდებათ ის თქვენ — ფართო კოოპერატიულ მასებს. რათა ჩაახშოს ის წინააღმდეგობა, რომელსაც ვუწევთ ჩვენ მის პოლიტიკას, — კლასობრივი გამცემლობის პოლიტიკას, ის აქარწყლებს თქვენს თვითგამორკვევის უფლებას კოოპერატიულ ორგანიზაციებში და ქადაგებს კოოპერატიული მოძრაობის „ნეიტრალობას“.

„უკანასკნელი წლის განმავლობაში,—ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში, — რეფორმისტული ბიუროკრატიის პოზიცია საბჭოთა კოოპერაციის მიმართ სულ უფრო და უფრო მტრული ხდება. ამჟამად კოოპერაციის „ბელადები“ ინგლისის და გერმანიის კოოპერატიული ბიუროკრატიის ხელმძღვანელობით უკვე სცდილობენ საბჭოთა კავშირის კოოპერაციის განდევნას საერთაშორისო ალიანსიდან. სცდილობენ ალიანსიდან განდევნონ საბჭოთა კოოპერაცია, ვინაიდან ის ენერგიულად ებრძვის კოოპერატიული ბიუროკრატიის რეაქციონურ კურსს კოოპერატიულ ალიანსში და მედგრად იცავს მშრომელი მასების კლასობრივ ინტერესებს.

პროლეტარულო კოოპერატორებო — მუშებო და მუშა - ქალებო, კოოპერაციის საერთაშორისო დღეს აღიმაღლეთ ხმა რეფორმისტული ბელადების მოღალატურ პოლიტიკის წინააღმდეგ. მოუწოდეთ მთელს მუშათა კლასს გაამტკიცოს კოოპერატიული მოძრაობა, მოუწოდეთ მას, რომ თავისი აქტიური მონაწილეობით გადააქციოს კოოპერაცია პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის იარაღად. ჩაატარეთ დემონსტრაციები იმის სასარგებლოდ, რომ ყველა ქვეყნის კოოპერაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდეს საბჭოთა წითელ კოოპერაციასთან. დაამტკიცეთ, რომ თქვენ დაიცავთ საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის მთლიანობას წინააღმდეგ გამთიშველთა ყველა ცდებისა. (ადს).

„რუდე პრავო“-ს აკრძალვა

პრაღა, 29 ივნისი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„გაზეთების ცნობით, კომუნისტური პარტიის ორგანო „რუდე პრავო“-ს გამომცემლებმა ხელისუფლებისა სათანადო ორგანოსაგან მიიღეს ცნობა, რომ „რუდე პრავო“-სა და საღამოს გაზეთი „რუდე ვეჩერნიკ“-ის გამოცემა აკრძალულია. ეს დადგენილება დაუყოვნებლივ არ შედის ძალაში, ვინაიდან ის გასაჩივრებულია. ფიქრობენ, რომ ხელისუფლებამ ამ ზომას მიმართა იმის გამო, რომ „რუდე პრავო“ აწარმოებდა აგიტაციას „წითელი დღის მოსაწყობად, მიუხედავად მისი აკრძალვისა (ადს).

იტალია-სპარსეთის შეთანხმება

რომი, 29 ივნისი. სტეფანის სააგენტო იუწყება: „იტალიისა და სპარსეთის მთავრობების წარმომადგენლებმა თეირანში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ურთიერთ დათმობის საფუძველზე იტალიას, იტალიის მოქალაქეებსა და იტალიის კომპანიებს ანიჭებს უპირატესობის უფლებას საქონლის შემოტანისა და გატანის დარგში და აგრეთვე საბაჟო ტარიფების გამოყენების დროს აძლევს მათ იურიდიულ და სასამართლო გარანტიებს. ანალოგიური შეთანხმებები სპარსეთთან დასდევს ინგლისმა, საფრანგეთმა, შეერთებულმა შტატებმა და სხვა სახელმწიფოებმა, რომლებთანაც წინად სპარსეთს დადებული ჰქონდა ხელშეკრულებები. ამრიგად, იტალიის ინტერესები სპარსეთში ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც იქნება უზრუნველყოფილი, რამდენადაც სხვა დიდი სახელმწიფოების ინტერესები. იტალია სპარსეთის შეთანხმებას აქვს დროებითი ხასიათი, რათა მხარეებს შესაძლებლობა მიეცეს დაწვრილებით მოლაპარაკების შემდეგ დასდონ ხელშეკრულება, რომელიც საბოლოოდ მოაწესრიგებს ორივე ქვეყნის ურთიერთ დამოკიდებულებას ახალ საფუძველზე. (ადს,

მდგომარეობა ჩინეთში

ფინ-იუ-სიანის განცხადება

პეკინი, 29 ივნისი. საუბარში „შუნტიან ში-ბაო“-ს კორესპონდენტთან ფინ-იუ-სიანმა განაცხადა, რომ ლოზუნგი „აზია აზიელებისათვის“ ძნელი განსახორციელებელი არ იქნება, თუ იაპონია და ჩინეთი შეთანხმებულად იმოქმედებენო.

ფინ-იუ-სიანმა განაცხადა, რომ ხმები მისი მჭიდრო კავშირის შესახებ საბჭოთა კავშირთან, სიცრუეა, ვინაიდან მას არავითარი ურთიერთობა არა აქვს საბჭოთა კავშირთან. ამას დასამტკიცებლად ფინ-იუ-სიანმა მოიყვანა ის მაგალითი, რომ როდესაც ბოროდინმა გამოსთქვა სურვილი შესულიყო მის ტერიტორიაზე, ფინ-იუ-სიანმა გასცა განკარგულება მისი გაძევების შესახებ. (ადს)

ჩან-სუე-ლიანი იაპონიასთან თანამშრომლობის მომხრეა

ხარბინი, 29 ივნისი. იაპონიის გაზეთ „ოსაკა მაინიჩი“-ს კორესპონდენტმა ჩან-სუე-ლიანისაგან მიიღო წერილი მის შეკითხვებზე. კერძოდ ჩან-სუე-ლიანი სწერს, რომ „მანჯურია მეტი დროდაა დაკავშირებული იაპონიის ინტერესებთან, ამიტომ იაპონიასთან თანამშრომლობა ადმინისტრატიულ მმართველობის საკითხებში და სრული შეთანხმება მასთან აუცილებელია“.

თეთრგვარდიელების გაზეთ „ნაშ პუტ“-ის დახურვა

პეკინი, 29 ივნისი. თეთრგვარდიელთა გაზეთ „ნაშ პუტ„-ის რედაქცია ხელმეორედ ინახულა ტიანძინის პოლიციამ. ამის შემდეგ რედაქციამ გამოუშვა უკანასკნელი ნომერი და გაზეთმა შეწყვიტა არსებობა (ადს).

ბრძოლა რეფორმისტულ ბელადებსა და კომუნისტებს შორის

ლონდონი, 29 ივნისი. ბრძოლა შოტლანდიის მემაღაროეთა პროფკავშირის რეფორმისტულ ბელადებსა და კომუნისტებს შორის, რომლებმაც (კომუნისტებმა) უკანასკნელ არჩევნებში ხმების უმრავლესობა მიიღეს, უკიდურესად გამწვავდა ლანკაშირის მემაღაროეთა პროფკავშირში.

ლანკაშირის მემაღაროეთა პროფკავშირის აღმასკომის სხდომაზე რეფორმისტულმა უმრავლესობამ, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუხსნია თავისი რწმუნება, კავშირის თავმჯდომარეს—კომუნისტ ანდრიუ მაკ ანიულტის მოსთხოვა გადადგომა.

ანიულტიმ განაცხადა, რომ ის თავმჯდომარედ არჩეულია კავშირის წევრების მიერ და რწმუნებას მოიხსნის მხოლოდ მათი მოთხოვნით.

აღმასკომის სხდომა ჩაშალეს რეფორმისტებმა. ასეთივე ისტორია განმეორდა აღმასკომის შემდეგ ორ სხდომაზედაც.

ლანკაშირის რაიონის რამდენიმე მაღაროში გაიმართა საპროტესტო მიტინგები რეფორმისტების მოქმედების წინააღმდეგ. (ადს).

პუანკარეს დეკლარაცია მოწონებულია

პარიზი, 29 ივნისი. დეპუტატთა პალატამ 455 ხმის უმრავლესობით 126 წინააღმდეგ მოიწონა მთავრობის დეკლარაცია. დეკლარაციის წინააღმდეგ ხმა მისცეს 12 კომუნისტმა, 100 სოციალისტმა, რამდენიმე რესპუბლიკანელ - სოციალისტმა და რადიკალმა. ორი უკანასკნელი ჯგუფის 30 დეპუტატმა თავი შეიკავა. 125 რადიკალმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას. (ადს)

პუანკარე ნაციონალური მთლიანობის მთავრობის მომხრეა

პარიზი, 29 ივნისი. პასუხი გასცა რა პალატაში მთავრობის საერთო პოლიტიკის შესახებ შემოტანილ შეკითხვაზე, პუანკარემ სთქვა, რომ აუცილებელია ნაციონალური მთავრობის დატოვებაო და ხაზი გაუსვა, რომ მთავრობის სტაბილიზაცია ისევეა საჭირო, როგორც ვალიუტის სტაბილიზაციაო.

ვანდერველდეს განცხადება

ბერლინი, 29 ივნისი. ბელგიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის ბელადმა ვანდერველდემ, რომელიც ბერლინში იმყოფება, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანამდებობის პირთა კრებაზე, სხვათა შორის, განაცხადა: „გერმანია ინგლისსა, საფრანგეთსა და ბელგიასთან ერთად აწარმოებს საერთაშორისო დემოკრატიის პოლიტიკას. ეხლა კვლავ დადგა დრო, როცა სოციალ-დემოკრატიამ თავის ხელში უნდა აიღოს ხელისუფლება. კერძოდ, გერმანიაში მუშათა კლასი დღესვე შესძლებდა ქვეყნის დამოუკიდებლად მართვას, რომ კომუნისტების გამთიშველი მოღვაწეობა არ უშლიდეს ხელს“.

განაჩენის წინ

სასამართლოს გამოძიება დონბასში მომხდარ კონტრ - რევოლიუციონურ შეთქმულების საქმეზე დაიწყო ცალკე ინჟენრების და ტექნიკოსების მიერ სხვადასხვა მაღაროებში ჩადენილ დანაშაულის გამორკვევით. გამოძიება დღითი-დღე ზევით და ზევით მიიწევდა ადმინისტრატიული და სოციალური კიბის საფეხურებზე და დამთავრდა გავლენიანი კაპიტალისტური ჯგუფის გამომჟღავნებით, ჯგუფის, რომელიც მოკალათებული იყო ევროპის სატახტო ქალაქებში და რომელსაც კავშირი ჰქონდა გაბმული მთავრობის დაწესებულებებთან. პატარა ტეხნიკოს ბესლენკოდან, რომელმაც თავისი სული მიჰყიდა ძველ ბატონ — კაპიტალისტს, ბობოლა ინჟენრების — ბოიარშინოვების, ბრატანოვსკებისა და რაბინოვიჩების მეშვეობით ბოროტმოქმედებათა მთლიანი ჯაჭვი მიდის დვორჟანჩიკებამდე, სოკოლოვებამდე, საერთაშორისო ბურჟუაზიის ზედაფენებამდე და მთავრობებში მოკალათებულ წარჩინებულ ანონიმებამდე. ბრალდების თვითეული პუნქტი უდაოდ არის დამტკიცებული ორ მხრივი დაკითხვით, გაშუქებულია სავსებით საჯაროდ და დაუფარავად. პროცესის ორმოცი დღიდან მხოლოდ ერთ დღეს დაიხურა სასამართლოს კარები. ეს იყო ანგარიშის გაწევა დიპლომატიურ ურთიერთობაში მიღებულ პოლიტიკურ წესებისათვის. საბჭოთა ხელისუფლება თავის თავს, თავის დაწესებულებებს როდი ფარავდა, როდესაც ხურავდა სასამართლოს კარებს. ის, რაც ერთი თვის წინად წარმოადგენდა მხოლოდ პროკურატურის საბრალმდებლო დასკვნას, ეხლა გახდა სასამართლოში დამტკიცებულ ჭეშმარიტებად. იმ უდიდეს მასალას, რომელიც შეკრიბა, გულდასმით გაცხრილა და შეამოწმა სასამართლოს გამოძიებამ. შეუძლებელია გვერდი აუხვიოს ვინმემ ირონიული მითითებით „საბჭოთა გამოგონებაზე“, „საბჭოთა ფანტასტიკაზე“ და სხვ...

შახტის პროცესი არ იყო მარტო საბჭოთა კავშირის შინაური საქმე, როგორც ცდილობდნენ ამის დამტკიცებას გერმანიის ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები. შახტის პროცესის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან დაწვრილებით, ყველა დეტალების გაშუქებით, გამოააშკარავა გაერთიანებული კაპიტალის შეუწყვეტელი ბრძოლა პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ. მხოლოდ ორმოცდაცამეტ ტეხნიკოსის ბოროტმოქმედება როდი წარმოადგენდა პოლიტიკურად პროცესის ძირითად მომენტს, არამედ საერთაშორისო ბურჟუაზიის ცდა ახალი ფორმით აღედგინა ინტერვენციის ძველი პოლიტიკა. თუ უვარგისია ერთი საშუალება, გამოდგება მეორე! როდესაც საერთაშორისო კაპიტალმა დაჰკარგა იმის იმედი, რომ პირდაპირ დაგვახრჩობდა ჯავშნიანი ხელით, როდესაც ვერ დაგვაქარცხა ბლოკადით და ფინანსიური ბოიკოტით, მან დაიწყო შემოტევა შინაურ ფრონტზე. დამაზიანებელთა ორგანიზაცია იყო ინტერვენტების თავისებური რაზმი. ჩვენი მტრები უკვე სტკბებოდნენ სოციალისტური აღმშენებლობის საბოლოო შეფერხების და პროლეტარული რევოლიუციის აუცილებელი დამარცხების სურათით.

იმედი გაუცრუვდათ! იმედი გაუცრუვდათ უცხოეთის მთელ რიგ იმ დაწესებულებებს, რომელთა „მორცხვობას“ ზოგავდა სასამართლოს დახურული კარები. იმედი გაუცრუვდათ დონბასში, ისე, როგორც უკრაინაში, ყირიმში, ოდესაში და არხანგელსკში, როდესაც ფარულად კი არა, აშკარად, გამოდიოდნენ ასეთივე ინტერვენციონისტური ძალები, იმედი გაუცრუვდათ იმავე მიზეზების გამო, რომლებიც იწვევდა ყველა კონტრ - რევოლიუციონურ შეთქმულებათა მარცხს. ჩვენს მტრებს სწამდათ ოქროს სასწაულთმოქმედი ძალა, ხოლო ამავე დროს სრულებით ვერ ამჩნევდნენ რეალურ ფაქტებს და ნამდვილ კლასობრივ ურთიერთობას. ისინი ბრალს სდებენ საბჭოთა მთავრობას, რომ თითქო ის ყველგან „შეთქმულებებს“ აწყობს, ისინი ყველგან ხედავენ „საბჭოთა ოქროს“. ამით ისინი მხოლოდ ააშკარავებენ თავის საკუთარ ბუნებას, თავის კლასობრივ შეგნების სივიწროვეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ მოღალატე ინჟენრების უმნიშვნელო ჯგუფის მოსყიდვით შესძლებდნენ გაეტეხათ მუშათა კლასის მედგარი მისწრაფება თავის ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისადმი. უბადრუკი, სასაცილო იმედი! შახტის პროცესი ბოლოს უღებს არა მარტო აღმოჩენილ კონტრ - რევოლიუციონურ დამაზიანებელ ორგანიზაციას. ბოლო ეღება მთელს ეტაპს ინტერვენციონისტულ დამაზიანებელ მუშაობაში. უცხოეთის კაპიტალს, იქ, სადაც მას იმედი ჰქონდა, რომ ტეხნიკური ინტელიგენციის მთელი ფენები იქნებოდნენ მის განკარგულებაში, დახმარება აღმოუჩინა მხოლოდ ძველი, მოღალატე ინჟენრების განმარტოებულ უმნიშვნელო ჯგუფმა. იქ, სადაც, მენშევიკების სიტყვების მიხედვით, ცალიერი ადგილი უნდა ყოფილიყო, უცხოეთის კაპიტალი წააწყდა ფხიზელ, ფრთხილ რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინააღმდეგობას. მართალია, მშვიდობიანი მუშაობის წლებში რამოდენიმედ შესუსტდა ჩვენი სიფხიზლე. ჩვენ დამსახურებული ნდობით მოვეპყარით მთელ ტეხნიკურ ინტელიგენციას, მთლიანად, მაგრამ, ამავე დროს მეტის-მეტი სულგრძელობა და ნდობა გამოვიჩინეთ ცალკე ბურჟუაზიულ ელემენტების მიმართ. ამასთან ერთად ბიუროკრატიზმის ელემენტებმა ჩვენს ორგანიზაციებში შეასუსტეს მასების კონტროლი წარმოებაზე. მტერმა არ დააყოვნა შემძვრალიყო ჩვენს აპარატში, კლასობრივი კონტროლის სისტემის შესუსტების გამო. ეს მან შესძლო, მაგრამ მისი ცდა, რომ გაეფართოებია მუშაობა, წინააღმდეგობას შეხვდა. კონტრ - რევოლ[illegible]ციონურმა ორგანიზაციამ სწორედ იმით დაილუპა თავი, რომ სცადა გაფართოებულიყო.

შახტის პროცესმა სწორედ მიტომ ააღელვა ასე ღრმად საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების პროლეტარიატი, რომ ინჟენრების ჯგუფის ტეხნიკურ დამაზიანებელ მუშაობაში მან იცნო 1918 — 1920 წლებში გაცნობილი თეთრგვარდიელები. პროლეტარული სასამართლო თავისი განაჩენით უჩვენებს ქვეყანას, რომ გაჩაღებული მშვიდობიანი მუშაობის წლებში ჩვენ არ მოვდუნებულვართ და შეგვიძლია ძველებური სიმკაცრით დავსაჯოთ ყველა ისინი, ვინც ბედავს ბოროტმოქმედი ხელის აღმართვას სოციალისტურ აღმშენებლობის წინააღმდეგ. საბჭოთა პროლეტარული სასამართლო შეასრულებს თავის მოვალეობას, და მუშურ - გლეხური საზოგადოებრივობა სათანადო დასკვნებს გამოიტანს შახტის პროცესიდან. მის მნიშვნელობას შეაფასებენ ის კაპიტალისტური ფირმებიც, რომლებსაც დღემდე აქვთ საქმიანი ურთიერთობა საბჭოთა ხელისუფლებასთან. მაგრამ საბჭოთა სასამართლოს მოქმედების ფარგლებს გარედ რჩებიან დვორჟანჩიკები და მათი მფარველი კონტრ - რევოლიუციონური ემიგრანტული ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ ყოფილ რუსეთის კაპიტალისტების კავშირის საფარით, და აგრეთვე მათი მფარველები უცხოეთის მთავრობების წრეებიდან. არ არის პრინციპიალური განსხვავება თეთრგვარდიელ ემიგრანტთა პოლონეთში არსებულ პოლიტიკურ კავშირსა და „სამთამადნო მრეწველთა ყრილობების საბჭოს“ შორის, რომელიც პარიზში არსებობს. პირველი თავის წევრებს გზავნის საბჭოთა წარმომადგენლების მოსაკლავად. ხოლო მეორე გზავნის ფრანკებს საბჭოთა მრ[illegible] ლობის დასაშლელად. სა[illegible] პროლეტარიატმა [illegible] თვალყური ხიზლით [illegible] რევოლიუციის მახინაციებს. კონტ[illegible]ლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„პრავდა“, 30 ივნისი.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ხუთი წლის თავი

მოსკოვი, 30 ივნისი. 1 ივლისს სრულდება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ხუთი წლის თავი. ამ დღისათვის მიძღვნილ წერილში ამხ. კალინინი, სხვათა შორის, სწერს:

„ბრძოლით მოპოვებული და დაწერილი საბჭოთა კონსტიტუცია ხრის ახალ სახელმწიფოს კანონმდებლობის გზით განმტკიცება. კონსტიტუციის მიღება და დამტკიცება თავისთავად არის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო აქტი, რომელიც ამტკიცებს ძალაუფლების სათავეში ჩამდგარი კლასის გამარჯვების შედეგებს. შეიძლება ითქვას, რომ პროლეტარიატმა უკვე შექმნა სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისეთი ფორმა, რომელიც მხოლოდ მას შეეფერება, მან დიდ წარმატებებს მიაღწია, რათა უფრო ღრმად და უფრო წინ წასწიოს სოციალიზმის საქმე. უკვე მარტო რესპუბლიკების კავშირის შექმნა დღის წესრიგში სვამს მრავალ ახალ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტამ უნდა დააჩქაროს სოციალისტური საზოგადოების შექმნა. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ და განვავითაროთ საბჭოთა კავშირის ხალხების ნაციონალური სახელმწიფოებრიობა და ამავე დროს დაუღალავად უნდა ვიმუშაოთ, რათა აღვზარდოთ ისინი, როგორც საერთო სოციალისტური სამშობლოს მოქალაქენი. ჩვენ იმისათვის ვმუშაობთ, რომ საბჭოთა კავშირი გადავაქციოთ სრულუფლებიან ხალხების კომუნისტურ ოჯახად, რათა ამით ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრად ისეთი რესტავრაციის შესაძლებლობა, რომლის დროსაც ძლიერი ხალხები გაბატონებული არიან სუსტებზე“. (ადს).

მიულერის კაბინეტში

მიულერის კაბინეტის პირველი სხდომა

ბერლინი, 29 ივნისი. შესდგა ახალი კაბინეტის პირველი სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა დეკლარაციის პროექტი. (ადს)

მწარე სანახაობა

ბერლინი, 29 ივნისი. კომუნისტური ორგანო „როტე ფანე“ სწერს:

„მთავრობის შედგენის ცდის სანახაობა კომიკური იქნებოდა, რამდენადაც ლაპარაკია სოციალ - დემოკრატიის უბადრუკ და სამარცხვინო როლზე და იმ მორალურ მუხლუგუნებზე, რომლებითაც სისტემატიურად აჯილდოვებდა მას ბურჟუაზია. მაგრამ ეს სანახაობა მწარე ხდება, როცა გაიხსენებ იმ 9 მილიონ ამომრჩეველს, რომლებმაც სოციალ - დემოკრატიას მისცეს ხმა“.

გაზეთი მოუწოდებს პროლეტარიატს გამართოს საპროტესტო კრებები ტრესტების მთავრობისა და სოციალ - დემოკრატების კლასობრივი გამცემლობის წინააღმდეგ (ადს).

სამხრეთ-სლავიაში

სკუპშჩინაში მომხდარი მკვლელობა წინასწარ იყო მომზადებული

ვენა, 29 ივნისი. სამხრეთ-სლავიის გლეხურ-დემოკრატიული კოალიციის საპარლამენტო ფრაქცია სკუპშჩინაში მომხდარ ამბების შესახებ გამოქვეყნებულ ცნობაში ამტკიცებს, რომ მკვლელობა წინასწარ იყო მომზადებული. მკვლელობის წინა დღით რადიკალები პოპოვიჩი, ზელჩი და რაკიჩი სტეფან რადიჩს მოკვლით დაემუქრენ. მკვლელობის დღეს მათ განიმეორეს მუქარა. თავდასხმამდე ცოტა ხნის წინ პრიბიჩევიჩმა, გაიმეორა რა მუქარა, სთხოვა თავმჯდომარეს შეეწყვიტა სკუპშჩინის სხდომა, მაგრამ თავმჯდომარე არ დაეთანხმა. (ადს).

მოლაპარაკება სესხის აღების შესახებ შესწყდა

ვენა, 29 ივნისი. იუწყებიან, რომ მოლაპარაკება, რომელსაც სამხრეთ-სლავიის ფინანსთა მინისტრი აწარმოებდა ლონდონში სესხის აღების შესახებ, შეწყდა სკუპშჩინაში მომხდარ ამბებისა და სამხრეთ-სლავიაში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობის გამო. (ადს).

მუშათა ბრძოლა

რეფორმისტები გაფიცვის ჩაშლას ლამობენ

ვენა, 29 ივნისი. კომპარტიის ორგანო „რიზოსპასტის“-ის ცნობით, საბერძნეთის შრომის რეფორმისტულ კონფედერაციის მდივან სტრატისა და სახალხო მეურნეობის მინისტრ ველენზას შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვით მთავრობა ვალდებულია განიხილოს თამბაქოს ფაბრიკების გაფიცულ მუშათა წმინდა ეკონომიური მოთხოვნილებები ეხლავე, ხოლო სხვა მოთხოვნილებები შემდეგ. შრომის რეფორმისტული კონფედერაციას კი გამოაქვს დადგენილება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ და უცდის ღონისძიებებს მთავრობის მხრიდან. (ადს).

გაფიცვა ბერლინის პურის საცხობებში

ბერლინი, 29 ივნისი. გაიფიცნენ ბერლინის პურის საცხობების მუშები. ჯერ - ჯერობით მხოლოდ მსხვილი წარმოებების მუშებია გაფიცული. გაფიცვა გამოწვეულია იმით, რომ მწარმოებლებმა არ დააკმაყოფილეს მუშების მოთხოვნილება ხელფასის გადიდების შესახებ. (ადს).

ლოკაუტი

პარიზი, 29 ივნისი. რუანის დოკერების გაფიცვის საპასუხოდ ნავთსადგურის საწყობების პატრონებმა გამოაცხადეს ლოკაუტი ერთი კვირით. მწარმოებლები გაფიცვის მოწყობაში ბრალს სდებენ კომუნისტებს. (ადს).

ახალი მთავრობა ეგვიპტეში

მახმუდ-ფაშას განცხადება

ლონდონი, 29 ივნისი. ეგვიპტის ახალი მთავრობის პოლიტიკის შესახებ პრემიერმა მახმუდ-ფაშამ განაცხადა: „ახალ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს დაიცვას ქვეყნის ინტერესები და კონსტიტუცია ისე, რომ არ გაუწიოს ანგარიში პარტიებს“. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამხ. მ. კალინინი პურის დამზადების მსვლელობის შესახებ

მოსკოვი, 30 ივნისი. ფაბრიკა „ნოვაია ზარია“-ს მუშების საერთო კრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საკავშირო ცაკის თავმჯდომარე ამხ. მ. კალინინი.

ორატორი თავის სიტყვაში შეეხო პურის დამზადების მსვლელობას და აღნიშნა, რომ პურის დამზადების საქმეს უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი წარმატება დაეტყო. ამხ. კალინინმა ამასთანავე განაცხადა, რომ ჩვენს სასურსათო ორგანოებს დამზადებული აქვთ პურის მარაგი იმისათვის, რომ შეუფერხებლად სწარმოებდეს მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამასთან დაკავშირებით ამხ. კალინინმა კატეგორიულად უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს პურის ბაზარზე მოსალოდნელია გართულებანი, რის გამოც შემოღებულ იქნება პურის ბარათები. ეს ხმები, განაცხადა ორატორმა, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ბრძოლა პროსტიტუციის წინააღმდეგ

მოსკოვი, 30 ივნისი. უკანასკნელ ხანებში მოსკოვის პრესა დიდ ადგილს უთმობს პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. ამ მიმართულებით გააცხოველა მუშაობა სათანადო საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანოებმაც, შრომის სახალხო კომისარიატმა გადასდო უმუშევართა ფონდიდან თანხა უმწეო ქალთათვის სახელოსნოებისა და პროფილაქტორების მოსაწყობად. ასეთი სახელოსნოები პირველ რიგში გახსნილი იქნება საბჭოთა კავშირის 27 ქალაქში, მათ შორის თბილისშიაც.

ახალი სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი

მოსკოვი, 30 ივნისი. განათლების სახალხო კომისარიატის დასტურით, ინჟენერთა ასოციაცია ხსნის უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელს, რომელშიაც შეიძლება დაუსწრებლად სწავლა. ამ მხრივ ეს პირველი უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი იქნება მთელ საბჭოთა კავშირში. სწავლის ვადა განსაზღვრულია ხუთი წლით. პირველ წლებში დაარსებული იქნება მექანიკური და სააღმშენებლო ციკლი. სწავლის დამთავრების შემდეგ მსმენელებს ეძლევათ უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელთა დამთავრებულების დიპლომი. მასწავლებლებად მოწვეულნი არიან ცნობილი პროფესორები და ტეხნიკოსები.

მხატვარი ბროდსკი უნდა აღდგენილ იქნას რევოლიუციონურ მხატვართა ასოციაციაში

მოსკოვი, 30 ივნისი. თავის დროზე გადმოგცემდით, რომ რევოლიუციონურ რუსეთის მხატვართა ასოციაციის (АХРР) ორგანოების დადგენილებით, მხატვარი ბროდსკი გამორიცხულ იქნა ასოციაციიდან, როგორც უცხო ელემენტი. მას ბრალს სდებდნენ საკუთარი ნამ[illegible]ით სპეკულიაციასა და ხელ[illegible] მხატვრების ექსპლოატაციაში.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი დაინტერესა ამ საკითხმა, რადგან მთელ რიგ რევოლიუციონურ სურათების ავტორი, ბროდსკი („კომინტერნის მეორე კონგრესი“, „26 კომუნართა დახვრეტა“ და სხ.) ფართოდ არის ცნობილი მშრომელ მასებში, როგორც რევოლიუციონური მხატვარი.

ამ მიზნით კავშირმა გამოჰყო სპეციალური საგამომძიებლო კომისია, რომელმაც უკვე დაასრულა თავისი მუშაობა. კომისიის დასკვნა ასეთია: მხატვარი ბროდსკი რევოლიუციონურ რუსეთის მხატვართა ასოციაციაში შევიდა იდეური მოსაზრებით, მის მხრივ ადგილი არ ჰქონია ვისიმე ექსპლოატაციას, ბროდსკის გამორიცხვა ასოციაციიდან შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. ამიტომ ის აღდგენილ უნდა იქნას რევოლიუციონურ რუსეთის მხატვართა ასოციაციაში.

ღამის ცნობები

კომუნისტების დევნა იტალიაში

რომი, 29 ივნისი. საგანგებო ტრიბუნალმა გამოიტანა განაჩენი კომუნისტების საქმეზე, რომლებსაც ბრალად ედებოდათ კომპარტიის რომის ორგანიზაციის აღდგენა მისი აკრძალვის შემდეგ. ერთს მიესაჯა 2 ნახ. წლის ციხე, ხუთს—21 წელი თითოს, ორს—ცხრა წელი, ერთს—6 წელი და ორი თვე და ოთხს ორ-ორი წელი. (ადს).

მოელიან პილსუდსკის განცხადებას

ვარშავა, 29 ივნისი. მთავრობასთან დაახლოებული გაზეთები იუწყებიან, რომ 1 ივლისს გამოქვეყნდება პილსუდსკის განცხადება იმის შესახებ, თუ რა მიზეზით გადადგა ის პრემიერის პოსტიდან. (ადს).

გერმანიის კომპარტიის მასიური კრებები

ბერლინი, 29 ივნისი. გერმანიის კომპარტიამ მოაწყო მასიური კრებები. კრებებზე მიღებული რეზოლიუციები მოუწოდებენ პროლეტარიატს შეერთებული ბრძოლისაკენ მუშათა კლასის მოთხოვნილებების განსახორციელებლად. (ადს).

„რუდე პრავო" ისევ გამოდის

პრაღა, 30 ივნისი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ზოგიერთ გაზეთების ცნობების გამო „რუდე პრავო"-ს (ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ორგანო) გამოცემის აკრძალვის შესახებ, ავტორიტეტულ წყაროებში აღნიშნავენ, რომ საქმე ეხება არა გაზეთის აკრძალვას პოლიტიკურ ხელისუფლების ბრძანებით, არამედ სასამართლოს განაჩენს, რომელიც გამოტანილია ჯერ კიდევ ორი თვის წინად. ამ განაჩენის მიხედვით გაზეთი აკრძალულია. ვინაიდან გამომცემლობამ თავის დროზე გაასაჩივრა ეს განაჩენი, გაზეთი ისევ გამოდის" (ადს).

დაპატიმრებანი ბუდაპეშტში

ვენა, 30 ივნისი. იუწყებიან, რომ უკანასკნელ დღეებში ბუდაპეშტში ხდება დაპატიმრებები ვითომ იმ მასალების მიხედვით, რომლებიც უნახავს ბელა კუნს. დაპატიმრებულია 22 მამაკაცი და 8 ქალი. პოლიცია ჯერ ჯერობით საიდუმლოდ ინახავს დაპატიმრებულთა გვარებს (ადს).

წყალდიდობა

სოხუმი, 30 ივნისი. კოკისპირული წვიმის გამო ძლიერ ადიდდა მდინარე ხუმი (გალის მაზრაში). წყალმა დაფარა მინდვრები და წალეკა ნათესების მნიშვნელოვანი ნაწილი. მდინარე ხუმმა იცვალა კალაპოტი და წალეკა სოფელი ხუმი. დანგრეულია ბევრი სახლი, დაიღუპა დიდძალი წვრილფეხა საქონელი და ფრინველი, ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. ზარალი ირკვევა. (ადს).

ნობილეს ჯგუფის დასახმარებლად

„ჩიტა დი მილანო"-ს ცნობა

რომი, 29 ივნისი. ნობილეს მცურავ ბაზის „ჩიტა დი მილანო"-ს ცნობით, მეტეოროლოგიური პირობები არქტიკაში კვლავ არახელსაყრელია საჰაერო დაზვერვისათვის დათბა. ყინულის მდგომარეობა გაუარესდა და გაუარესდა აგრეთვე აეროპლანების წარმატებით დაშვების შანსებიც (ადს).

ბაბუშკინი კარლოსის კუნძულზე

ოსლო, 29 ივნისი. იუწყებიან, რომ ფრინავმა ბაბუშკინმა მიაღწია კარლოსის კუნძულს და მოაწყო იქ ბაზა. წითელი კარავი, რომელიც აჩვენებს იმ ადგილს, სადაც ნობილეს ოთხი თანამგზავრი და მფრინავი ლუნდბერგია, ამჟამად ლი-სმიტის კონცხიდან მხოლოდ 10 მილითაა დაშორებული (ადს).

ინგლისი არ მიიღებს მონაწილეობას „იტალიის" ეკიპაჟისათვის დახმარების გაწევაში

ლონდონი, 29 ივნისი. თემთა პალატაში ავიაციის მინისტრმა ხორმა განაცხადა, რომ საკითხი ნობილეს ეკიპაჟის გადარჩენაში ინგლისის მონაწილეობის შესახებ დაწვრილებით განხილულ იქნა ავიაციის სამინისტროში და საადმირალოში და გადაწყვეტილ იქნა უარყოფითად. ეს გადაწყვეტილება აიხსნება იმით, რომ შეუძლებელია რაიმე არსებითი დახმარების გაწევა (ადს).

ნობილეს განცხადება

რომი, 29 ივნისი. იტალიის გაზეთებში გამოქვეყნებულია ნობილეს საუბარი ნორვეგიის პრესის წარმომადგენლებთან.

„ჩემზე უღრმესი შთაბეჭდილება მოახდინა—განაცხადა ნობილემ—რადიოთი მიღებულმა ცნობამ, რომ ამუნდსენი გამოფრინდა ჩვენ დასახმარებლად. პოლიარულ ქვეყნების სახელოვან მკვლევარის ამ კეთილშობილურმა ნაბიჯმა წაშალა ჩემს გულში იმ უსიამოვნების ყოველივე კვალი, რომელიც გამოიწვია წარსული წლის პოლემიკამ. ამ პოლემიკას მე სამწუხარო გაუგებრობის ნაყოფად ვთვლი (ადს).

ცნობები „მალიგინ"-იდან

ყინულისმჭრელი „მალიგინ"-ი, 30 ივნისი. მესამე დღეა ამინდი ხელს უშლის აეროპლანის გაფრენას. აეროპლანი ორჯერ გაფრინდა, მაგრამ ორჯერვე უკან დაბრუნდა, ვინაიდან ღრუბლები ძლიერ დაბლაა და თოვს.

შახტის კონტრ-რევოლიუციონერების გასამართლება

სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. კრილენკოს სიტყვა

პროცესის პოლიტიკური ხასიათი

მოსკოვი, 29 ივნისი. 28 ივნისს პროცესის საღამოს სხდომაზე თავისი სიტყვის პირველ ნაწილში ამხ. კრილენკო ანალიზს უკეთებს პროცესის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შინაარსს.

რით აიხსნება, რომ ტეხნიკურ ინტელიგენციის წარმომადგენლები სხედან ამჟამად საბრალმდებლო სკამზე? მათ თვით უპასუხეს ამ კითხვაზე, მათ მოუთხრეს სასამართლოს, რომ წინად, რევოლიუციამდე ისინი თავს გრძნობდენ კაპიტალის ობერ-ოფიცრებათ. ეს პროცესი არის იმ კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი სურათის დემონსტრაცია, რომელსაც მსოფლიო კაპიტალიზმი აწარმოებს პროლეტარიულ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს კლასობრივი მტრები გამოგზავნილი იყვნენ იმისათვის, რომ ჩვენს ზურგში ეწარმოებიათ მტრული მუშაობა ომის კანონებისა და პრინციპების მიხედვით.

პარიჟი—ვარშავა—ბერლინი

ძაფები, რომლებიც ბრალდებულთ აკავშირებს მსოფლიო კაპიტალიზმთან, მიდის სამი მიმართულებით: პარიჟი, ვარშავა, ბერლინი. საქმის მიხედვით შეიძლებოდა ლაპარაკი სხვა ქვეყნებზედაც, მაგრამ ეს არ ყოფილა სასამართლოს კვლევა-ძიების და განხილვის საგანი.

ახასიათებს რა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციის კავშირს რუსეთის სამრეწველო წარმოებათა ყოფილ მეპატრონეების პარიჟის და ვარშავის გაერთიანებებთან, საფრანგეთის კაპიტალისტების ზოგიერთ ჯგუფებთან და ცალკე ჯგუფებთან, რომლებიც მუშაობდენ გერმანულ ფირმებში,—ამხ. კრილენკო აღნიშნავს, რომ სასამართლოს დახურულ სხდომების შემდეგ სრულიად უდავოა, რომ ამ ჯგუფებსა და ცალკე პირებს იქით მოსჩანს უკვე სხვა დაწესებულებები, არა ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ხასიათისა.

შემდეგ ამხ. კრილენკო გადადის ორგანიზაციის წარმოშობისა და განსაკუთრებით დაწვრილებით ჩერდება დონეც-გრუშევსკის მაღაროთა სამმართველოზე.

საბჭოთა სასამართლოს პრინციპები

თავისი სიტყვის მეორე ნაწილს ამხ. კრილენკო იწყებს ზოგიერთი წინასწარ შენიშვნებით საბჭოთა სასამართლოს სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპების შესახებ. ის საჭიროდ სთვლის ამ პრინციპებზე შეჩერებას, უმთავრესად, იმიტომ, რომ აქედან გამომდინარეობს პრაქტიკული დასკვნები ბრალდებულთა მიმართ. ბრალმდებელი აცხადებს, რომ სისხლის სამართლის ჩვეულებრივი მეთოდი, რომელიც აგებულია სოციალურ დაცვის ზომის და ბრალდების ინდივიდუალურ დანაშაულის შეფარდებაზე, არ არის სწორი. საბჭოთა კანონი ითვალისწინებს სოციალისტური წყობილების დაცვას, ამიტომ, ცალკე პირის ბოროტმოქმედების შეფასებას რაღაც განყენებული სამართლიანობის საფუძველზე არ უნდა ექნეს ადგილი. პროკურატურა, სისხლის სამართლის კოდექსის მეექვსე და მერვე მუხლის აზრის თანახმად, თავის დასკვნებში არ დაეყრდნობა ამა თუ იმ ბოროტმოქმედების მხოლოდ ფორმალურ ფაქტს.

გადადის რა ცალკე ბრალდებულებზე პროკურორი აცხადებს, რომ დაიცავს იმ თანამიმდევრობას, რომლითაც ჩატარდა სასამართლოს გამოძიება. ის იწყებს ბერეჟოვსკიდან.

სიკვდილით დასჯის ღირსნი

ბერეჟოვსკი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფიგურაა. მთელ რიგ წლების განმავლობაში ის იყო ჯგუფური დირექტორი. მას აქვს საზიანო მუშაობის თვალსაჩინო აქტივი. ის სხვებს აბამდა ორგანიზაციის მუშაობაში. ის უარჰყოფს თავის მონაწილეობას ხარკოვის ცენტრში, რაც აშკარად სიყალბეა. პროკურორს მიაჩნია, რომ ბერეჟოვსკის „მონანიება" არ შეიძლება ჩაითვალოს გულწრფელად, მით უმეტეს, რომ ის უარჰყოფს ხარკოვის ცენტრში მონაწილეობას. ჩამოთვლის რა ბერეჟოვსკის მიერ ჩადენილ მთელ რიგ ბოროტმოქმედებებს, პროკურორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბერეჟოვსკი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოცდილი და საშიშარი დამზიანებელია. ის საშიში იყო წარსულში და საშიშია ეხლაც. ხანგრძლივი იზოლიაცია არ იძლევა გარანტიას, რომ ის აღარ იქნება საშიში. ასეთი ხალხი, მუშათა კლასის ასეთი მტრები ძირფესვიანად უნდა იქნას ამოფხვრილი. ბერეჟოვსკის მიმართ პროკურორი მოითხოვს სოციალური დაცვის უმაღლეს ზომას.

დონეც-გრუშევსკის მაღაროთა სამმართველოს ინჟენერის კალგანოვის მიმართ პროკურორი მოითხოვს სოციალური დაცვის უმაღლეს ზომას, სთვლის რა მას დამზიანებელთა ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებლად.

პროლეტსასამართლო შურს არ იძიებს

ყოფილ მწარმოებლის და კლასობრივი მტრის სამოილოვის შესახებ პროკურორი აცხადებს, რომ ბრალდება მის მიმართ არ ხედავს საჭიროდ განსაკუთრებით მკაცრ ზომას. მის ჩვენებებში არის ცოტაოდენი გულწრფელობა. სამოილოვის მიმართ ბრალდება მიზანშეწონილად სთვლის 5 წლით იზოლიაციას.

ტეხნიკოსი ბაბენკო ეკუთვნის იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელთაც არა აქვთ მტკიცე საზოგადოებრივი და მორალური შეხედულებები. პროკურორი მოაგონებს სასამართლოს, როგორ მიადო ბაბენკომ მუშას შუბლზე ნაგანი და ეკითხებოდა: „როგორ გრძნობ თავს—გცხელა თუ გცივა?" დეე, მან იცოდეს რომ პროლეტარიული სასამართლო შურს კი არ იძიებს, არამედ პატივს სცემს ადამიანის პიროვნებას, იმათაც კი, ვისაც ეს პატივისცემა არ დაუმსახურებია. დეე, მან იფიქროს იმაზე ციხეში ჯდომის დროს.

ინჟენერ ჩირნოკნიჟნიკოვს, რომლის მავნებლური მუშაობა გამოირკვა სასამართლოს გამოძიებაზე და რომლის პიროვნება დაახასიათეს მოწმე—მუშებმა, უნდა მიესაჯოს ხუთი წლით იზოლიაცია.

მუშათა კლასის მოღალატე

ინსტრუქტორი ნიკიშინი, რომელიც მავნებლებმა მოისყიდეს კარგი ბინით, არის მუშათა კლასის წრიდან გამოსული მოღალატე. ასეთ მოღალატეებს მუშათა კლასი მკაცრად ეპყრობა. მაგრამ, ანალიზს უკეთებს რა ნიკიშინის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს, პროკურორი აღნიშნავს, რომ ისინი არ იძლევიან იზოლიაციის მოთხოვნის საფუძველსაც კი. შეიძლება აქ უფრო მიზანშეწონილი იქნება პირობითი სასჯელი. შეიძლება საკმარისი იყვეს ის, რომ ნიკიშინმა სასამართლოში სასტიკი გაკვეთილი მიიღო. მუშისათვის აუტანელი უნდა იყოს ის, რომ მას ბრალს სდებენ ღალატში.

პატიება შეუძლებელია

„კლასიკურ საბოტაჟნიკ" ინჟენერ პეტროვსა და ინჟენერ ელიაძის მიმართ პროკურორი მოითხოვს იზოლიაციას იმ ვადით, რომელსაც საჭიროდ დაინახავს სასამართლო. ნაშივოჩნიკოვის მიმართ პროკურორს მოჰყავს მთელი რიგი ისეთი ბოროტმოქმედებანი, რომელთა „პატიება საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია". ნაშივოჩნიკოვისათვის პროკურორი საჭიროდ სთვლის ხანგრძლივ იზოლიაციას.

ტეხნიკოსი ვასილიევი არის პოლიტიკური ავანტიურისტი, არამზადა, რომელიც თავის თავს უწოდებს სოციალ-დემოკრატს. პროცესიდან აშკარად სჩანს, რომ ის ბოროტი დამზიანებელია. პროკურორი მოითხოვს ვასილიევის დახვრეტას.

ტეხნიკოს ბელენკოსათვის პროკურორი მოითხოვს იზოლიაციას ხუთი წლით.

სამთამადნო ზედამხედველობის ინჟენერი ანტონოვი დამნაშავეა არა მარტო საზიანო აქტებისა და ბოროტმოქმედებათა დაფარვაში, არამედ აგრეთვე იმაში, რომ არ იყო უზრუნველყოფილი მუშების უშიშროება.

„მეცნიერულ შრომის" ავტორი

სასამართლო გამოძიებიდან სჩანს, რომ ემელიან კოლოდუბმა იცოდა დამზიანებელთა ორგანიზაციის არსებობის შესახებ და დახმარებას უწევდა მას. ის ცნობილია აგრეთვე, როგორც „კოლოდუბის ჯოხი". პროკურორს მოჰყავს ციტატები კოლოდუბის „მეცნიერულ შრომიდან", რომელიც დამცველებმა წარმოადგინეს იმის დასამტკიცებლად, რომ ემელიან კოლოდუბი „თითქმის სოციალისტია". პროკურორი ამტკიცებს, რომ ეს არის მუშათა კლასის აშკარა მძაგვრელის ნაწრომი. ემელიან კოლოდუბისათვის აუცილებელია იზოლიაცია.

ანდრია კოლოდუბს პროკურორი სთვლის საშიშ და აქტიურ დამზიანებლად. პროკურორს მოჰყავს მისი მთელი რიგი ბოროტმოქმედება და დაწვრილებით ჩერდება მუშა ქალის პოლიას დახვრეტის ისტორიაზე. ანდრია კოლოდუბის მიმართ ბრალდება მოითხოვს სოციალური დაცვის უმაღლეს ზომას.

ინჟენერ პოტიომკინის მიმართ პროკურორი საკმარისად სცნობს მის გაგზავნას იძულებითი სამუშაოზე მისი სპეციალობის მიხედვით, სატარიფო განაკვეთის შემცირებით.

ინჟენერ სოკოლოვის მიმართ პროკურორი საჭიროდ სთვლის იზოლიაციას 2—3 წლით, აგრეთვე ინჟ. ოდროვის მიმართაც.

მთავარ ინჟენერის სუშჩევსკის შესახებ პროკურორი აცხადებს, რომ სუშჩევსკი არის დამზიანებელთა ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი „გმირი". პროკურორი ამტკიცებს ამას, ჩამოთვლის რა მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს. ის აცხადებს, რომ შეიძლება ყოფილიყო გამოხატული რაიმე გულწრფელობა სუშჩევსკის ჩვენებებში იმისათვის, რომ საკითხი სუშჩევსკის შესახებ დასმულიყო უფრო სხვანაირად, ვინემ კალგანოვის შესახებ. მაგრამ ეს ეწინააღმდეგება ლოღიკას. პროკურორს მიაჩნია, რომ მას არა აქვს საკმაო საფუძველი, რომ სუშჩევსკისათვის არ მოითხოვს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა.

ინჟენერ ლიურის მიმართ პროკურორი საჭიროდ სთვლის იზოლიაციას 5 წლით.

რბილი ხასიათის ხალხი

ინჟ. რუჟეცკი და კალინინი „რბილი ხასიათის ხალხია" და არა გვაქვს საფუძველი მივაკუთვნოთ ისინი საშიშ და აქტიურ მავნებლების კატეგორიას, მათთვის საკმარისი იქნებოდა ან იზოლიაცია მცირე ვადით ან იძულებითი სამუშაო შემცირებული სატარიფო განაკვეთით.

ტეხნიკოს გორლეცოვის მიმართ პროკურორი შესაძლოთ სთვლის მხოლოდ პირობით სასჯელს.

ინჟ. ი. ი. ნეკრასოვის მიმართ პროკურორი მოითხოვს იზოლიაციას.

ინჟენერ ვლადიმირსკის შესახებ სუშჩევსკის ჩვენებაში იყო მამხილებელი ადგილები. სუშჩევსკიმ სასამართლოში უარჰყო ეს თავისი ჩვენებები. შეიძლება აქ როლი ითამაშა არა მისმა სიმართლემ, არამედ ერთგვარმა განწყობილებამ. ყოველ შემთხვევაში არ არის არავითარი საფუძველი, რომ ვლადიმირსკი ჩაითვალოს აქტიურ ან საშიშ დამზიანებლად. მის მიმართ პროკურორი საკმარისად სთვლის იძულებითი სამუშაოს შემცირებული სატარიფო განაკვეთით.

სტოიანოვსკისა, სემენჩენკოსა და კუვალდინისთვის პროკურორი მოითხოვს თავისუფლების აღკვეთას სხვადასხვა ვადით.

ბანდიტი ტეხნიკოსის ქუდით

ა. ნეკრასოვი იყო აქტიური დამზიანებელი. ის განსაკუთრებით საშიშია. ა. ნეკრასოვი არის საზიანო მუშაობის ორგანიზატორი ნესვეტაევის მაღაროთა სამმართველოში, ყოფილი კონტრმზვერავი, ბანდიტი ტეხნიკოსის ქუდით. ნეკრასოვის მიმართ არავითარი შეღავათი არ შეიძლება. ნეკრასოვი დახვრეტილ უნდა იქნეს.

ბრალდებულ შტელბრინგის მიმართ—პროკურორის სიტყვით—საკმარისია იზოლიაცია მცირე ვადით.

ჯაშუში ბოიარინოვი

ბოიარინოვი, რომელიც მუშაობდა მთავარ ინჟენრათ ბაიროკის მაღაროთა სამმართველოში, არის მეფის არმიის არტილერიის ყოფილი ოფიცერი. ის არის დამზიანებელი, რომელმაც ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა ბაიროკი, რომ მის მოადგილეს რუჟეცკის აღარაფერი დარჩა გასაკეთებელი: ბაიროკი სრულიად დანგრეული იყო. ბოიარინოვი სისტემატიურ საზიანო მუშაობას აწარმოებდა აგრეთვე კადიევკაში. ასევე აგრეთვე ნესვეტაევის მაღაროთა სამმართველოში. ბოიარინოვს კავშირი ჰქონდა ვინმე კაზიმირთან, რომელსაც ის კონსპირატიულ შეხვედრის დროს სისტემატიურად აწვდიდა საიდუმლო ცნობებს ორგანიზაციის შესახებ. ბოიარინოვი შეჰპირდა დვორჟანჩიკს, რომ ომის ან ინტერვენციის შემთხვევაში ის მოახდენს სადივერსიო აქტს, რისთვისაც მას უნდა მიეღო 1.000 დოლარი. ჯაშუში ბოიარინოვი აუცილებლად უნდა იქნეს დახვრეტილი.

ბუდნი უნდა იქნეს დახვრეტილი

ბუდნის საშუალებით ორგანიზაციას გაბმული ჰქონდა კავშირი დვორჟანჩიკთან. ბრალდებულმა აღიარა, რომ მან სულ გადასცა 40 კონსპირატიული წერილი. ბუდნის კავშირი ჰქონდა აგრეთვე უცხოეთის დაწესებულებებთან, რომლებსაც ის აწვდიდა განსაზღვრული ხასიათის ცნობებს. ბუდნი რევოლიუციამდე იყო სამთამადნო მრეწველთა ყრილობების საბჭოს წევრი, ხოლო თეთრების ბატონობის დროს დონბასში მას მიანდეს დიქტატორული უფლებები სურსათ-სანოვაგის მომარაგების საქმეში. ეს იყო დამზიანებელთა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი და მეტად აქტიური მონაწილე. „მე ვითხოვ ბუდნის დახვრეტას"—ამბობს სახელმწიფო ბრალმდებელი.

ხარკოვის ცენტრის მავნებელი მუშაობა

29 ივნისს დილის სხდომაზე ამხ. კრილენკო გადადის ხარკოვის ცენტრის მიერ წარმოებულ მავნებელ მუშაობის გამორკვევაზე.

ვინ იდგა ორგანიზაციის სათავეში? ვინ იყო მისი სული და გული? ორგანიზაციის შექმნის ინიციატორი, პროკურატურის აზრით, იყო ბოიარშინოვი კონტრრევოლიუციონური ორგანიზაცია ჩაისახა ბახმუტში 1922 წელში. იგი წარმოიშვა ბიხოვსკისა, შადლუნის გორლეცკის და ბერეჟოვსკის ანტი საბჭოთა ჯგუფიდან. ჯგუფის სათავეში იდგა ბოიარშინოვი. ბოიარშინოვი იყო „დონუგოლის" ტეხნიკური დირექტორი და, რასაკვირველია, სათავეში ედგა ორგანიზაციას. ამას ადასტურებენ მრავალი ბრალდებულნი მისი საკუთარი სიტყვით, მან იცოდა, რომ არსებობდა ორგანიზაცია და იმართებოდა კონსპირატიული თათბირები, მაგრამ მთელი რიგი წლების განმავლობაში სდუმდა.

ბოიარშინოვი იყო „დონუგოლის" ტეხნიკური ხელმძღვანელი კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციის მეთაური. რეპრესიის ზომა ნათელია—ბოიარშინოვი დახვრეტილ უნდა იქნას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელ ჯგუფში შედიოდნენ: მატოვი, ბრატანოვსკი, კაზარინოვი, შადლუნი, დეტერი და მეშკოვი, მატოვი, რასაკვირველია, ყველაზე უფრო თვალსაჩინო ორგანიზატორი იყო ყველა ამ მოვლენებს შორის. იგი არის ისეთი ადამიანი, რომლისათვისაც არ არსებობს არავითარი პრინციპი, ადამიანი რომელიც გულდამშვიდებით ატარებდა მავნებელთა ორგანიზაციის ძირითად ხაზს. მატოვმა არ გაგვაცნო ყოველივე ის, რაც მან იცოდა. ასეთივე პოზიცია უჭირავს ბრატანოვსკის ეხლა ისინი ორივენი უარჰყოფენ სახელმწიფო ღალატის პირდაპირ აქტებს, რომლებიც წინედ აღიარეს და რომლებსაც ამტკიცებს მთელი საქმის ვითარება.

პროკურატურას არ მიაჩნია შესაძლოდ სოციალური დაცვის ზომის შემსუბუქება მატოვისა და ბრატანოვსკის მიმართ. მატოვი და ბრატანოვსკი დახვრეტილ უნდა იქნან.

კავშირი საზღვარგარეთთან

შემდეგ ამხ. კრილენკო ეხება ორგანიზაციის კავშირს საზღვარგარეთთან; ეს კავშირი ერთ დროს ხორციელდებოდა კაზარინოვის საშუალებით, საზღვარგარეთ მივლინებაში მისი ყოფნის დროს, კაზარინოვი—„დონუგოლ"-ის პასუხისმგებელი მუშაკი, რომელმაც გასცა საბჭოთა კავშირის ინტერესები. ამიტომ ის უნდა დაიხვრიტოს.

შემდეგ ამხ. კრილენკოს მოჰყავს დაწვრილებითი საბუთები მეშკოვის, დეტერის და შადლუნის დანაშაულთა შესახებ და მოითხოვს მათ დახვრეტას.

ცენტრალურ ორგანიზაციის მუშაკნი

იუსევიჩიც, რომელიც ახორციელებდა დანაშაულებრივ კავშირს საზღვარგარეთთან დიდი ხნის განმავლობაში, უნდა დაიხვრიტოს.

შემდეგ კრილენკო გადადის ცენტრალური ორგანიზაციის მუშაკებზე, რომლებიც სამოსამართლო გამოძიების ცნობებით, არ თამაშობდნენ პირდაპირ და ხელმძღვანელ როლს. ესენი არიან ფაიერმანი და მალიკოვსკი ფაიერმანი არ შეიძლება მივაკუთვნოთ მთავარ მავნებელთა კატეგორიას. ის შეიძლება მივაკუთვნოთ იმ პირთა ჯგუფს, რომლებსაც უნდა მიესაჯოს დაპატიმრება 2—3 წლით. იგივე უნდა ითქვას მალიკოვსკის შესახებ ჩიკოლს, „დონუგოლი"-ს მექანიზაციის განყოფილების გამგის ყოფილ მოადგილეს, რომელიც მონაწილეობას იღებდა ორგანიზაციის მუშაობაში, ამხ. კრილენკოს აზრით, უნდა მიესაჯოს დაპატიმრება არა ნაკლებ 5 წლის ვადით.

სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველსაყოფად

გორლეცკის საკითხი სხვანაირად უნდა დაისვას. გორლეცკი—ძველი მრეწველია, შეგნებული კლასიური მტერი, რომელსაც სძაგს ახალი წყობილება და რომელიც დარწმუნებულია ამ წყობილების აუცილებელ დანგრევაში. მას მთელი ათი წლის განმავლობაში არ გაუწყვეტია კავშირი ძველ მსოფლიოსთან და ძველ მეპატრონეებთან. 1922 წლიდან გორლეცკი არის აქტიური მავნებელი. გორლეცკის დახვრეტა—ერთად ერთი ზომაა, რომელიც უნდა გამოიყენოს პროლეტარულმა სახელმწიფომ თავდაცვისათვის.

ინჟ. კრუიჟანოვსკი ხარკოვის ორგანიზაციამ გამოჰყო საზღვარგარეთის ცენტრთან კავშირის დასამყარებლად, როცა ორგანიზაციამ გადასწყვიტა განსაკუთრებულ შემთხვევებში ეს კავშირი განეხორციელებია მოსკოვის ცენტრისაგან დამოუკიდებლად. კრუიჟანოვსკი არის ერთ-ერთი ფიგურა, რომელიც არიცხება ჯაშუშთა ჯგუფს კატეგორიაში კრუიჟანოვსკის დახვრეტა აუცილებელი აქტია, რომელიც უზრუნველჰყოფს სახელმწიფოს უშიშროებას.

ბაშკინს პროკურორი სთვლის აქტიურ მავნებლად. ის საჭირო არ არის პროლეტარული სახელმწიფოსა და მშრომელთა საზოგადოებისათვის, ამ პასუხიდან ცხადია პრაქტიკული დასკვნა.

უცხოელი ბრალდებულნი

პროკურატურა არ სცნობს მართებულად მხარი დაუჭიროს მაიერის მიმართ წამოყენებულ ბრალდებას და უარს აცხადებს მის წინააღმდეგ ბრალდებაზე. სხვაგვარად ისმება საკითხი ოტტოს შესახებ. ყველაზე უფრო სწორი ზომა იქნებოდა, რასაკვირველია, წინადადება მივეცა ოტტოსათვის დაეტოვებია საბჭოთა კავშირის თარგლები. მაგრამ იგი, ჩემის აზრით, მხოლოდ მადლობას გვეტყვის ამ ზომისათვის საკითხი ასე არ სდგას. ბრალმდებელი ოტტოსათვის მოითხოვს 6 თვით ან 6 წლით დაპატიმრებას.

ამხ. კრილენკო ბრალდებულ ბადშტიბერზე ამბობს, რომ მან იკისრა დავალება ქრთამის გადაცემის შესახებ, რაიც თვითონვე აღიარა. აქ, პროკურატურის აზრით, უნდა დაისვას საკითხი პირობითი სასჯელის შესახებ ქრთამის მიცემისათვის.

კუზმინი და მისი თანაშემწე

15 მოწმემ დაადასტურა, რომ კუზმინი მუშაობდა კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციაში. ეს, ამხ. კრილენკოს აზრით, უკვე დამტკიცებულია. ამხ. კრილენკო, დაწვრილებით უკეთებს რა ანალიზს პროექტს, რომელიც კუზმამ შეადგინა სკაჩინსკის მაღაროსათვის, მიდის იმ დასკვნამდე, რომ კუზმას პროექტი შეიცავდა მავნებლობის ელემენტებს. კუზმას მიმართ ასე უნდა დაისვას საკითხი: თუ კუზმა არის მავნებელთა ორგანიზაციის წევრი, ის უნდა დაიხვრიტოს, და თუ კუზმა არ არის ამ ორგანიზაციის წევრი, ის უნდა გამოვიყენოთ ბრალდება კატეგორიულად იცავს პირველ თეზისს. ამით სწყდება ოვჩარეკის საკითხი, რომელიც კუზმას თანაშემწე იყო ვლასოვის და ნესვეტაევის მაღაროებში. მაგრამ ოვჩარეკის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ მის მიმართ აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული სასჯელის უმაღლესი ზომა. მისთვის საკმაოა დაპატიმრება განუსაზღვრელი ვადით.

პროკურორი, შეეხო რა იმენიტოვს, ამბობს, რომ ძველი ინჟენერი იმენიტოვი, რომელიც მთელი რიგი ძაფებითაა დაკავშირებული ძველ წესწყობილებებთან და ძველ მეპატრონეებთან, არ შეიძლებოდა არ შეეყვანათ ორგანიზაციაში. შეიძლება იმენიტოვი უკანასკნელ წლებში არ თამაშობდა აქტიურ როლს ორგანიზაციაში, მაგრამ ის მაინც აუცილებელი იყო. ამხ. კრილენკო აღნიშნავს, რომ პროკურატურა არ სცნობს აუცილებლად რაიმე მკაცრი ზომების მიღებას მის წინააღმდეგ.

სკარუტო და რაბინოვიჩი

სკარუტო ეკუთვნის ბრალდებულთა იმ ჯგუფს, რომელთაც არ სურთ აღიარება, იმისა, რომ მათ უშუალო მოღალატური ხასიათის კავშირი ჰქონდათ საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან. მაგრამ ჩვენ გვაქვს პირდაპირი ცნობები, რომლებიც ახასიათებს მის მუშაობას სწორედ ამ დარგში. სკარუტო უნდა მივაკუთვნოთ იმ პირთა ჯგუფს, რომელთა მიმართ აუცილებელია უმაღლესი სასჯელის შეფარდება.

ამხ. კრილენკო, უკეთებს რა ანალიზს საბოლოო დასკვნებს რაბინოვიჩის შესახებ. სცნობს, რომ ორგანიზაციაში რაბინოვიჩის მუშაობის ფაქტი დამტკიცებულია. დამამტკიცებელი საბუთები საკმაო გვაქვს, რომლებიც სავსებით გამოხატავს ბრალდებულის საერთო სულისკვეთებას, მის ფსიქოლოგიას, მის წარსულს და ორგანიზაციის რიგებში მისი მუშაობის კონკრეტულ ფაქტებს. დამამტკიცებელი საბუთები საკმაოა,—აქედან გამომდინარეობს გარკვეული დასკვნა: რაბინოვიჩის სახელი უნდა შეუერთოთ იმ ჯგუფს, რომლის მიმართ სასჯელის ზომად წამოყენებულია დახვრეტა, როგორც რევოლიუციონური თავდაცვის მეთოდი.

დამაზიანებელი მუშაობა აღკვეთილი იქნება

„ადვილი არ არის ასეთი დასკვნების გამოყვანა,—ამბობს ამხ. კრილენკო. სასჯელის უმაღლესი ზომის—დახვრეტის ამგვარი პროპორციით გამოყენების საკითხის დასმა ამჟამად, რასაკვირველია, არ არის ადვილი საქმე, მაგრამ საკითხი აქ ამგვარად ისმება: ეს პროცესი არის ისეთი პროცესი, რომელმაც უნდა მოგვცეს საშუალება ვსთქვათ, რომ ყველა იმ მავნებლებმა, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ, რომლებიც აღმოჩენილია, ან ჯერ კიდევ არ არიან აღმოჩენილი ჩვენ მიერ, მათმა მეგობრებმა და სულის ჩამდგმელებმა საზღვარგარედ, რომელ სახელმწიფოშიაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი და როგორ ფუნქციებსაც არ უნდა ასრულებდნენ იქ, უნდა შეიგნონ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას საკმაო ძალა ძლიერ აქვს, რომ საბჭოთა ხელისუფლება კვლავ აქვს უნარი სათანადოდ გაუსწორდეს თავის მტრებს.

ამის შემდეგ სხდომა შესწყდა საღამომდე.

ღირსეული სასჯელი კონტრაბანდისტებს, მექთამეებს და მფლანგველებს

(საქ. სახელმწიფ. პოლიტიკურ სამმართველოს დადგენილება)

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველ კოლეგიამ განიხილა ბათომის საბაჟოს ყოფ. გამგის — ჟორდანიას (ყოფ. ოფიცერი), სასამართლო - საკონფისკაციო განყოფილების გამგის — მიავას (ყოფ. მენშევიკი), სარპის საგუშაგოს გამგის — კორტავას და კონტროლიორ გრ. ლოლობერიძის საქმე. პირები სისტემატიურად აღგენდნენ ყალბ საბუთებს, ითვისებდნენ სახაზო ფულს, ღებულობდნენ ქრთამს, არა კანონიერად ადებდნენ პლომბს ქონებაზე, ყიდულობდნენ და ყიდდნენ კონტრაბანდას, ფლანგავდნენ სახაზო ფულს და ჩადიოდნენ სხვა ბოროტმოქმედებას სამსახურში.

ასეთი გზით მიღებულ ფულს ისინი ხარჯავდნენ ქეიფობასა და ორგიებში.

ჟორდანიას, მონიავას და სხვ., როგორც პასუხისმგებელ მუშაკების, მოქმედება გამხრწნელ გავლენას ახდენდა დანარჩენ თანამშრომლებზე, ძირს უთხრიდა საბაჟო დაწესებულების მუშაობას და დიდ ზიანს აყენებდა სახელმწიფოს.

ჟორდანიას, მონიავას, კორტავას და გრ. ლოლობერიძეს, როგორც სავსებით გახრწნილ და სოციალურად მავნე ელემენტებს, კოლეგიამ მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა. განაჩენი შესრულებულია.

განაჩენის გამო

ზემოთ იბეჭდება საქართველოს პოლიტიკურ სამმართველოს განაჩენი ოთხი თანამდებობის პირის, ოთხი კონტრაბანდისტის, მექთამის, გამფლანგველის, სახელმწიფო ქონების მიმთვისებელის — ჟორდანიას, მონიავას, და სხვ. უმაღლესი სასჯელით დასჯის შესახებ. ერთი მათგანი, ჟორდანია პარტიის წევრი, დაწესებულების ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მუშაკი იყო. რას მოწმობს ფაქტი?

ბათომის საბაჟო, სადაც გაშლილ ფრთით აღნიშნულ პირების „მოღვაწეობამ", წარმოაჩენს იარას, რომელიც ბევრათ მოგვაგონებს საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რაიონებში ამ უკანასკნელად აღმოჩენილ უმზგავსოებებს. პარტიულ მუშაკის იდეურათ და მორალურად გახრწნა, კავშირი აშკარა ანტი საბჭოთა ელემენტებთან, წმინდა წყლის სისხლის სამართლის ხასიათის ნაშაულებანი, აი რა ჩაისახა და განვითარდა ჩვენი აპარატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უჯრედში, ბათომის საბაჟოში.

დამნაშავეებმა ღირსეული სასჯელი მიიღეს მაგრამ საკითხი ამით არ ამოიწურება. ბათომის საბაჟოს გაკვეთილებიდან ჩვენ შესაფერი დასკვნა უნდა გავაკეთოთ.

ფაქტი პირველ ყოვლისა იმას გვეუბნება, რომ საჭიროა გაასკეცებული სიფხიზლით ვაწარმოოთ მუშაობა. საჭიროა გაძლიერებულ იქნას მასიური კონტროლი, მისი სისტემატიური შემოწმება თუ რას ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ, საჭიროა გაძლიერებულ იქნას პასუხისმგებლობის გრძნობა და იმის შეგნება, რომ ჩვენს წინაშე სიძნელენი ბევრზე ბევრია. ამოცანა იმაში მდგომარეობს რომ ბოროტება ჩანასახშივე იქნას შენიშნული და აღკვეთილი.

მასიური თვითკრიტიკა, რასაც ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა, ასე უნდა იქნას გაგებული. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გაგვიტაცა არსებულ მიღწევებმა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მთელ რიგ გამარჯვებათა გამო ჩვენში ფეხი მოიკიდა თვითკმაყოფილების განწყობილებამ, შესაძლებელი გახდა აპარატს ზოგიერთ უჯრედების სახიფათოთ დაავადება, როგორც ეს გვიჩვენა შახტში, არტემოვსკში, სმოლენსკში და ამათ შორის ბათომის საბაჟოში აღმოჩენილ უმზგავსოებამ.

თავის თავად ცხადია, რომ კომუნისტური პარტია, როგორც პროლეტარიატის მეთაური, პირველ რიგში უნდა იდგეს თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარების მხრივ. ოქტომბრის რევოლიუციის ავანგარდი ლენინის პარტია არის და დარჩება პოლიტიკურად და მორალურად მტკიცე. თუ ჩვენ ვდევნით ყოველი სახის ბოროტებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მით უფრო ნიშანდობლივი უნდა ამოვძირკვოთ ის პარტიის შიგნით: სასტიკი პასუხი უნდა აგოს დამნაშავე პარტიის წევრმა. ბათომის საბაჟოს მაგალითით ჩვენ ერთხელ კიდევ დავინახეთ, რომ ეს აუცილებელია.

დამცველთა სიტყვები

29 ის საღამოს სხდომაზე დაიწყო დამცველების სიტყვები. პირველად სიტყვა წარმოსთქვა მერანვილმა, რომელიც იცავდა ბრალდ. კალგანოვს, ბუდნის, ბოიარინოვს, სოკოლოვს და შტელბრინგს.

მერანვილი სცნობს, რომ ბრალდებულნი არავითარ რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენენ ქვეყნისათვის. მერანვილი ამბობს, რომ ბოიარინოვი 1927 წლიდან მუშაობდა სინდისიერად, ცდილობდა გამოესყიდა თავისი დანაშაული და ამიტომ საჭირო არ არის მისი დახვრეტა, არამედ საკმარისია თავისუფლების აღკვეთა. ბოიარინოვი შეგნებულად იყო მავნებელი, მაგრამ მისი საზიანო მუშაობა არ იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი; [illegible] მკაცრად დაისაჯოს, მაგრამ არ უნდა დაიხვრიტოს. ბრალდებული ბუდნი არ შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზაციის ხელმძღვანელად, ის ორგანიზაციის უბრალო წევრი იყო, ამიტომ სასჯელი შემსუბუქებულ უნდა იქნას. რაც შეეხება ბრალდებულ სოკოლოვს და შტელბრინგს, ისინი, დამცველის აზრით, გამართლებულ უნდა იქნან.

პიატეცკი-შაპირო—ბრალდებულ სუშჩევსკის, ჩირნოკნიჟნიკოვის, ბაბენკოს, პეტროვის, ნიკიშინის და ელიაძის დამცველი, თავის სიტყვას იწყებს სუშჩევსკის დახასიათებით, რომლისთვისაც ბრალმდებელი მოითხოვდა დახვრეტას, მაგრამ ხაზი გაუსვა, რომ ამ ბრალდებულის საქმე შეიძლება სხვა გვარად დაისვას მისი სოციალური საშიშროების თვალსაზრისით. დამცველი ფიქრობს, რომ სუშჩევსკის მიმართ შეიძლება არ იქნას გამოყენებული სასჯელის განსაკუთრებული ზომა. სასჯელი, რომელიც ბრალდებულმა წამოაყენა ნიკიშინის მიმართ, დამცველის აზრით, დამაკმაყოფილებელია.

შემდეგ დამცველი ფიქრობს, რომ ჩირნოკნიჟნიკოვის და პეტროვის დანაშაული იმდენად უმნიშვნელოა, რომ საჭირო არ არის მათი იზოლიაცია. ელიაძისა და ბაბენკოს მიმართ ბრალდებული მოითხოვს რბილი განაჩენის გამოტანას.

ამით დამთავრდა 29 ივნისის საღამოს სხდომა (ადს).

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

პილსუდსკის გადადგომა.—ბელა კუნის გასამართლება.—კელოგის უკანასკნელი წინადადება „ომის აკრძალვის" შესახებ.—ინგლისელ რეფორმისტების ბანაკში.—მდგომარეობა სამხრეთ-სლავიაში

პოლონეთის მთავრობაში დიდი ცვლილებები მოხდა. პილსუდსკის კაბინეტი გადადგა. მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა ბარტელი. განათლების და გზათა მინისტრებად დობრუცკისა და რომოცკის მაგივრად მოწვეულნი არიან ახალი პირები—სვიტალსკი და კიუნი. პილსუდსკი ჯერჯერობით რჩება სამხედრო მინისტრად, მაგრამ უახლოეს დღეებში უნდა მოველოდეთ გენერალ სოსნოვსკის დანიშვნას ამ თანამდებობაზე.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ კაბინეტის რეორგანიზაცია ხდება მაშინ, როცა სეიმი „დასასვენებლადაა" დათხოვნილი. ხალხის უმაღლეს „წარმომადგენლობით" ორგანოს არაფერს ეკითხებიან ისეთი პირველხარისხოვან პოლიტიკურ საქმის შესახებ, როგორიცაა მთავრობის გადახალისება. განმარტება არ უნდა, რომ ეს პარლამენტიზმის აბუჩად აგდებაა, რაც ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული პოლონეთში (და არა მარტო პოლონეთში).

უფრო საყურადღებოა იმ მიზეზების გამორკვევა, რომლებმაც პილსუდსკის გადადგომა გამოიწვიეს. მიუთითებენ პოლონეთის დიქტატორის ავადმყოფობაზე, რის გამო ის ხანგრძლივ შვებულებაში მიდის. მაგრამ ეს ფაქტი არ შეიძლება პილსუდსკის წასვლის ერთად ერთ და ძირითად მიზეზად ვაღიაროთ: რატომ არ შეიძლებოდა მარშალის ავადმყოფობის დროს მისთვის დროებითი მოადგილის დანიშვნა და რა საჭირო იყო მთავრობის რეორგანიზაცია, რომელიც, აქვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება დამთავრებულად: მოელიან ბარტელის გადადგომასაც.

მთავრობაში მომხდარი ცვლილებები მეტ წილად შედეგია ერთი მხრივ ქვეყნის შინაურ ძალთა გადაჯგუფების, მეორე მხრივ—საგარეო პოლიტიკის ფაქტორების. პილსუდსკის რეჟიმი ბოლო დროს დიდ კრიზისს განიცდის. ამან სეიმშიც ჰპოვა გამოხატულება. თუმცა უკანასკნელ არჩევნებში პილსუდსკიმ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია და შეაგროვა მანდატების საგრძნობი რაოდენობა, მაგრამ ეს მოხდა ოპოზიციონურად განწყობილ ჯგუფების მიმართ უსასტიკესი რეპრესიების გატარებით. ასე რომ პილსუდსკის გამარჯვება სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ მოსახლეობის ფართო ფენები მას უჭერდენ მხარს; პირიქით—ამ ფენებში უკმაყოფილება პილსუდსკის დიქტატურის წინააღმდეგ სულ უფრო იზრდება. ეს ცოტაა: თვით ის ელემენტები, რომელთაც პილსუდსკის მისცეს ხმა, ოდნავადაც არ წარმოადგენდენ საიმედო დასაყრდენს მისი ბატონობისათვის. მათი შემადგენლობა მეტად ჭრელია—სამხედრო კასტა, სამღვდელოება, თავისუფალი პროფესიების ხალხი, კულაკობა, მემამულენი, მრეწველები, ვაჭრები და სხვ. ისინი მთლიანი ფრონტით ილაშქრებენ მშრომელ მასსების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს თვითონ მათ შორის დაუსრულებელი ბრძოლა სწარმოებს და ვერ ხერხდება თანამშრომლობის განხორციელება. მთავრობის ბლოკს უკანასკნელად აშკარად დაეტყო დაშლის პროცესი. წარმოებს მათი გადაჯგუფება, იქმნება ახალი კომბინაციები. ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ პილსუდსკის მთავრობამ, მაგ. თავისი ბიუჯეტი მთლიანად ვერ გაატარა სეიმში. უკანასკნელმა არ დაამტკიცა მთავრობის მიერ წარდგენილი საიდუმლო ფონდები, რომლებსაც ის უმთავრესად ხარჯავდა მოხელეებსა და ოფიცრობაზე, რომ მათი საშუალებით განემტკიცებია თავისი მდგომარეობა.

რაც შეეხება ზევით ხსენებულ საგარეო ფაქტორებს, ამ მხრივ აღსანიშნავია გენერალ სოსნოვსკის კანდიდატურის წამოყენება მთავრობის წევრად (სამხედრო მინისტრად). ეს გენერალი გადაჭრილი მომხრეა საფრანგეთის ორიენტაციის, საფრანგეთის ხელმძღვანელობით მცირე ანტანტასა, ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთ შორის კავშირის შექმნის. პილსუდსკი კი ირყეოდა ინგლისსა და საფრანგეთ შორის და უფრო ლონდონს ემხრობოდა, ვიდრე პარიზს. ამიტომ პილსუდსკის გადადგომას და სოსნოვსკის მომავალ დაწინაურებას უყურებენ, როგორც საფრანგეთის გამარჯვებას.

მაინც პილსუდსკის გავლენა ჯერ კიდევ ძლიერია. ამას მოწმობს თუ გინდ სკვიტალსკის შეყვანა მთავრობაში: სკვიტალსკი პილსუდსკის მარჯვენა ხელად ითვლება. ამავე დროს სამხედრო წოდება და საკმაოდ მძლავრი ფაშისტური ორგანიზაციები, [illegible] უნდა [illegible] პილსუდსკის ერთგული არიან.

საერთოთ პოლიტიკური მდგომარეობა პოლონეთში ეხლა საკმაოდ რთული და გაურკვეველია. პილსუდსკი, შეეცდება რა მოვლენათა წარმართვას თავის შერყეულ დიქტატურის განსამტკიცებლად, ალბად დაუცდის საზოგადოებრივ ძალთა უფრო ნათლად ჩამოყალიბებას, რომ საჭირო მომენტში კვლავ სთქვას თავისი „გადამჭრელი" სიტყვა. მაგრამ ერთი რამ აშკარაა: პილსუდსკის პოლიტიკა იმდენად გაკოტრებულია, რომ საეჭვოა მან შესძლოს წინანდელ მდგომარეობის აღდგენა.

***

ბელა კუნის პროცესის შედეგი უაღრესად საყურადღებოა მსოფლიო რეაქციის და რევოლიუციონურ მოძრაობის ძალთა განწყობილების თვალსაზრისით.

საერთაშორისო ბურჟუაზიამ ყოფ. საბჭოთა უნგრეთის მეთაურის ჩასვლა ვენაში გამოიყენა გაფთრებულ კამპანიისათვის კომუნიზმისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უნგრეთის ფაშისტურმა მთავრობამ კი ოფიციალურად მოითხოვა ავსტრიას დაპატიმრებულ კუნის გადაცემა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა მისი სიკვდილით დასჯა.

ვენის სააპელაციო სასამართლო ბელა კუნს შეხვდა, როგორც ვითომდა სისხლის სამართლის ბოროტმოქმედს, რომ იურიდიული საფუძველი ჰქონოდა უნგრეთის მთავრობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, და დაადგინა გადაეცეს ის უნგრელ ჯალათებს. ავსტრიის იუსტიციის მინისტრმა, რომელსაც მხარი დაუჭირა პრემიერ მინისტრმა ზეიპელმა და, მაშასადამე, მთელმა მთავრობამ, გააუქმა ხსენებული დადგენილება: მან ბელა კუნი აღიარა პოლიტიკურ დამნაშავედ, რომლის გაცემა არსებული კანონით შეუძლებელია. ამავე დროს კუნი გაასამართლა ვენის საოლქო სასამართლომ, რომელმაც იგი სცნო დამნაშავედ „ფარული საზოგადოების" მოწყობაში და აგრეთვე იმაში, რომ ცხოვრობდა ყალბი პასპორტით. სასამართლომ მას მიუსაჯა სამი თვით დაპატიმრება. სასჯელის მოხდის შემდეგ კუნი გადასახლებულ იქნება ავსტრიის საზღვრებიდან.

ამგვარად, ბელა კუნი არ იქნება გაცემული. ბავშური გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ავსტრიის მთავრობა ასე მოიქცა რაღაც ფორმალური მოსაზრებით, თავშეფარების უფლების დასაცავად. ჯერ ერთი, მას შეეძლო კუნი გამოეცხადებია სისხლის სამართლის დამნაშავედ, როგორც ვენის სააპელაციო სასამართლო მოიქცა, და სრულიად არ გაეწია ანგარიში თავის კანონებისათვის. რაიმე სერიოზული [illegible] არა აქვს იმ გარემოებასაც, რომ კუნის გაცემით, რამდენადაც ეს იქნებოდა მეზობელი სახელმწიფოს (უნგრეთის) მოთხოვნის [illegible] დეგი, ასე თუ ისე შეილახებოდა ავსტრიის სუვერენიტეტი. ყველაფერ ამას სიამოვნებით ჩაიდენდა ზეიპელი, რომელიც არა ნაკლებაა მოწყურებული რევოლიუციონერების სისხლს, ვიდრე ხორტი (უნგრეთის დიქტატორი).

მაგრამ ეს მან ვერ გაბედა. ვერ გაბედა მუშათა მასების აღშფოთების და აჯანყების შიშით. ხოლო ავსტრიის მთავრობამ წარსული ივნისის მაგალითზე (ვენის მუშების აჯანყება) კარგად იცის, თუ რას ნიშნავს პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლა, რომელიც უეჭველად გაჩაღდებოდა და ბურჟუაზიის ბატონობას საფრთხეს განუმზადებდა, თუ ზეიპელის მთავრობა კუნს გასცემდა. ეს ნათელი გახადა საერთაშორისო პროლეტარიატის მრისხანე საპროტესტო გამოსვლებმა ბელა კუნის დაპატიმრების და მისი გაცემის განზრახვის გამო.

აღსანიშნავია მეორე ინტერნაციონალის როლი კუნის საქმესთან დაკავშირებით. მისი ლიდერები ზეიპელისადმი მიმართულ წერილში სასტიკად ილაშქრებდენ დაპატიმრებულ რევოლიუციონერის წინააღმდეგ და აცხადებდენ მას ქვეყნის დამანგრეველად და მუშათა კლასის დამღუპველად. მათ ბურჟუაზიასთან ერთად კუნი დასჯის ღირსად მიაჩნდათ, მაგრამ ამასთანავე მოწიწებით თხოვდენ ზეიპელს არ გაეცა იგი, მიტომ რომ ჰენდერსონებს, როგორც ზეიპელებს, ეშინოდათ მასების ამხედრებისა გამცემელთა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მხოლოდ ამიტომ, და არა კუნის დაცვის მიზნით, მეგობრული გაფრთხილება მისცეს მათ ზეიპელს.

საგულისხმოა შემდეგი მომენტიც: „ნეიე ფრეიე პრესე" სწერდა: „კუნის გაცემა უნგრეთისათვის ნიშნავდა მეტად მწვავე კონფლიქტის შექმნას საბჭოთა კავშირთან, ავსტრია კი სუსტია და ღარიბი იმისათვის, რომ გაუძლოს ეკონომიურ რეპრესიებს". არა ნაკლებ საყურადღებოა ვენის პროკურორის განცხადება: „უცხოეთის კომუნისტურ მოძრაობისათვის კუნის საორგანიზაციო მუშაობას არავითარი კავშირი არა აქვს იმ საბჭოთა თანამდებობებთან, რომლებიც ეკავა კუნს. ამიტომ საბრალმდებლო აქტის მითითებანი არ უნდა იქნეს განმარტებული იმ მნიშვნელობით, რომ კუნი უცხოეთში აწარმოებდა პროპაგანდას, როგორც საბჭოთა სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირი". ბურჟუაზიული პრესა იმთავითვე იმას გაიძახოდა, რომ კუნი საბჭოთა მთავრობის აგენტიაო; საერთოდ ბურჟუაზია და მისი მთავრობები ყველგან, სადაც კომუნისტური მოძრაობა იჩენს თავს, საბჭოთა მთავრობის ხელს ხედავენ.

ვენის პროკურორი, ცხადია, თავის მთავრობის კარნახით, იძულებულია ეს დებულება გააბათილოს. ასეა თუ ისე, საბჭოთა კავშირმა, რომლის მოქალაქე კუნი არის, ობიექტიურად, (თუმცა ჩვენს მთავრობას ამ მხრივ რაიმე ნაბიჯი არ გადაუდგამს) საგრძნობი როლი ითამაშა, რომ კუნი უნგრეთის ჯალათებს არ ჩაუვარდათ ხელში. ეს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის სიმტკიცის მაჩვენებელია.

ბურჟუაზიულმა პრესამ განგაში ასტეხა ავსტრიის მთავრობის აღნიშნულ მოქმედების და ბელა კუნის საქმეზე მსუბუქი განაჩენის გამოტანის გამო. გაზ. „ნებზეტ უიშაგ" სწერს: „მთლიან ანტიბოლშევიკურ ფრონტის მისწრაფებასთან დაკავშირებით, მთელი ევროპა აღშფოთებულია ავსტრიის მთავრობის გადაწყვეტილებით".

ეს აღშფოთება გასაგებია: ბელა კუნის პროცესმა ცხადყო მსოფლიო რევოლიუციონურ პროლეტარიატის სიძლიერე და ბურჟუაზიის შიში მის წინაშე.

***

დაუსრულებლივ გრძელდებოდა ლაყბობა „მუდმივი მშვიდობიანობის" ხელშეკრულების გარშემო, რომლის პროექტი ჩრ. ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა კელოგმა წამოაყენა. როგორც ვიცით, თავისი პირვანდელი სახით ეს პროექტი, რომელიც შეიცავდა ყოველ პირობის გარეშე ომის, როგორც ნაციონალურ პოლიტიკის საშუალების აკრძალვას, უარყოფილ იქნა დანარჩენი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთავრობების, კერძოთ პარიზისა და ლონდონის მხრით. საფრანგეთის თვალსაზრისით, უნდა იქნეს აკრძალული მხოლოდ „შეტევითი" და არა „თავდაცვითი" ომი, ამასთან „მშვიდობიანობის" ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთა ლიგის წესდებით, ლოკარნოს შეთანხმებით და საფრანგეთის მიერ სხვა ქვეყნებთან დადებულ საკავშირო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ინგლისი მოითხოვს, რომ ომის აკრძალვის ხელშეკრულება არ გავრცელდეს მის კოლონიებზე. ეს ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავს „მშვიდობიანობის" ხელშეკრულებას, რადგან ინგლისის და საფრანგეთის ხსენებული შენიშვნები იმპერიალისტებს სავსებით უტოვებს ომის წარმოების „უფლებას". თუმცა ისიც ცხადია, რომ ამის გარეშეც კელოგის პროექტს არავითარი ფასი არა აქვს: ის უბრალო ქაღალდს წარმოადგენს, რომლის ნაკუწ-ნაკუწად გადაქცევა იმპერიალისტების ჩვეულებრივი საქმე იქნება, როცა ისინი საჭიროდ და შესაძლებლად დაინახავენ ზარბაზნების ამეტყველებას.

კელოგმა ამას წინედ კვლავ მიმართა დიდ ბურჟუაზიულ ქვეყნებს თავისი „სამშვიდობო" წინადადებებით, მხოლოდ ეხლა წინანდელ პროექტს წამძღვარებული აქვს შესავალი, რომელიც ეთანხმება მოყვანილ შენიშვნებს, რით აიხსნება ეს უკან დახევა?. ზედმეტია იმის განმარტება, რომ ვაშინგტონის მთავრობა, როცა თავის წინადადებებს აყენებდა, ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა მშვიდობიანობის განმტკიცებაზე. ამიტომ, საფრანგეთის და ინგლისის ხსენებულ შეხედულებებს მისთვის არც ისეთი ღირებულება აქვს. ამერიკისათვის უფრო საყურადღებოა საკითხის მეორე მხარე. კელოგის პროექტის ძირითადი მიზანი იყო ერთა ლიგის მნიშვნელობის გაქარწყლება და დასავლეთ ქვეყნების მოქცევა თავის გავლენის ქვეშ. თუმცა ამ მიზანს ჯერ ჯერობით ვერ მიაღწია, რამდენადაც ერთა ლიგაზე და ევროპის სახელმწიფოებ შორის დადებულ სათანადო ხელშეკრულებებზე თავდასხმა მოგერიებულია, მაგრამ ამერიკის გამარჯვება მაინც უდავოა: ომის აკრძალვის შეცვლილ პროექტზე ხელის მოწერა ევროპის ქვეყნების მხრით უკვე თავის თავად ხდის ამერიკას დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნების ჰეგემონად; მას იმედი აქვს (არა უსაფუძვლოდ), რომ „მშვიდობიანობის" ხელშეკრულების საშუალებით ის შემდეგში შესძლებს დასახულ ამოცანების გადაჭრას.

არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ მეორე ინტერნაციონალის დამოკიდებულებას კელოგის „სამოქალაქო" შემოქმედებისადმი. მან ის ახალ ხანის, მშვიდობიანობის ხანის დასაწყისად გამოაცხადა. ამნაირად, რეფორმისტები იმპერიალისტებთან ერთად ცდილობენ მასების მოტყუებას, მათი სიფხიზლის მიძინებას ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის საფრთხის წინაშე. მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ კელოგები, რომლებიც გამალებით იარაღდებიან და რომელთა „სამშვიდობო" პროექტი მსოფლიო ყაჩაღების ინტერესთა წინააღმდეგობის გამოხატულებაა, თითქო მშვიდობიანობის საქმეს ემსახურებოდენ.

***

კელოგის წინადადებებს შეუერთდენ, სხვათა შორის, ინგლისის ტრედიუნიონების გენსაბჭოთა და მუშათა პარტიის მთავარი კომიტეტი, რომელთაც მთავრობას მისცეს წინადადება მიიღოს ამერიკის „სამშვიდობო" პროექტი (ახალი რედაქციით). მაგრამ ინგლისელი რეფორმისტები მშვიდობიანობას „იცავენ" არა მარტო სახელმწიფოთა ურთიერთ დამოკიდებულებაში, ესე იგი არა მარტო ცდილობენ მასების მოტყუებას, რომ ვითომ კელოგების საშუალებით შესაძლებელი იყოს ომის შესაძლებლობის მოსპობა, —არამედ ამავე დროს ლამობენ, და გაცილებით მეტი ენერგიით, კლასობრივ მშვიდობიანობის დამყარებას თავის ქვეყანაში, ესე იგი მუშების დამორჩილებას მრეწველებისადმი.

როგორც ცნობილია, გენსაბჭო დიდი ხანია კაპიტალისტ მონდის ჯგუფთან მოლაპარაკებას აწარმოებს „სამრეწველო ზავის" შესახებ. ამ დღეებში შესდგა გენსაბჭოს საგანგებო სხდომა ამ მოლაპარაკების შედეგების შესაფასებლად. სხდომამ გადასწყვიტა შეიქმნას მუდმივი ნაციონალური სამრეწველო საბჭო მრეწველთა და პროფკავშირთა წარმომადგენლების მონაწილეობით. ამ საბჭოს ეკისრება სამრეწველო კონფლიქტების მშვიდობიანად მოწესრიგება.

ამგვარად, გენსაბჭო აღრმავებს თავის უმლობას. მიუხედავად იმისა, რომ მელებთან მოლაპარაკებამ, რა თქმა უნდა, არავითარი ნაყოფი არ გამოი[illegible] მუშების სასარგებლოდ, პირიქ[illegible] შეზღუდა მისი კლასობრივი ბრძოლ[illegible]—გენსაბჭო თავისას არ იშლის. [illegible] კაპიტალიზმი კრიზისს განიცდ[illegible] რეფორმისტები არაფერს ზოგავ[illegible] რათა იხსნან ის მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერების და მისი რევოლიუციონური ნებისყოფის [illegible] გზით.

მაგრამ ასეთი პოლიტიკა მუშათა მასებში იწვევს უკმაყოფილებას „ბელადების" მიმართ. ამ უკმაყოფილებამ გამოხატულება ჰპოვა გენსაბჭოს ხსენებულ სხდომაზედაც, სადაც „თვითონ" საბჭოს თავმჯდომარემ ხიქსმა განაცხადა, რომ მრეწველებთან მოლაპარაკება შემდეგისათვის უსარგებლოა უნდა იქნეს შეწყვეტილი. რა თქმა უნდა, ხიქსი არსებითად არაფრით განსხვავდება ტომასებისაგან, მაგრამ, როგორც უფრო წინდახედულ „ჭკვიან" კაცს, ესმის ის საფრთხე, რომელსაც რეფორმისტები [illegible] ბატონ[illegible] მუშათა კლასზე უმზადებ[illegible] მათი რა გადასვლა ბურჟუაზიის სამსახურში.

ამ მხრივ უფრო საგულისხმოა მექსტონის და კუკის გამოსვლები. მათ გამოაქვეყნეს განცხადება, რომ მუშათა პარტიის ზედა ფენები აცდენ სწორ გზას, დგანან კაპიტალიზმთან შ[illegible] რიგებზე. ეს „მემარცხენე" ბელადები ხალხებას იძლევიან ჩატარებულიყო კონფერენციები და მიტინგები, რათა პარტიის უბრალო წევრებს საშუალება მიეცეთ გამოთქვან თავისი აზრი შექმნილ მდგომარეობის გამო. აშკარაა, რომ მექსტონების ამ „რევოლიუციონურ" ჟესტს თავისთავად არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. ნამდვილად ისინი ვერ წავლენ და არც მოისურვებენ [illegible] მემარჯვენე [illegible] წინააღმდეგ. კუკი თვითონ აცხადებს, რომ მას სრულებით არა აქვს ჩაფიქრებული „ახალი მოძრაობის" შექმნა, მაშასადამე, მას მხოლოდ სურს [illegible] პარტიის მოღალატურ სახის თუ ისე შელამაზება, [illegible] უფრო [illegible] შეიძლება [illegible] ჯდომა: თავის გასალება [illegible] დამცველებადაც და კაპიტალის საფუძვლების შენარჩუნება.

ხიქსის, მექსტონის და კუკის გამოსვლები მაჩვენებელია, [illegible] ინგლისის მუშათა კლასში იზრდება უკმაყოფილება გამცემელ ბელადების [illegible] და რევოლიუციონ[illegible] ბრძოლის წყურვილი. „მემარცხენე" ბელადები თავის სიტყვიერებით ამ[illegible] ცდილობენ ამ პროცესის შეჩერ[illegible]

***

სამხრ. - სლავიის პარლამენ[illegible] მომხდარ მკვლელობათა პოლიტიკ[illegible] ედეგები ჯერ კიდევ არ გამორკვეულა. ეს გუშინდელი აქტი პარლამენტარიზმის ისტორიაში ერთი მხრივ გამოხატულებაა სამხრეთ - სლავიის საერთაშორისო მდგომარეობის, მეორე მხრივ, ამ ქვეყნებში გამეფებულ ნაციონალურ უმცირესობათა დევნის და [illegible] ლანდელ მთავრობის ფაშისტური პოლიტიკის.

სამხრეთ-სლავიის მთავრობას იტალიასთან დადებული აქვს ეგრედწოდებული ნეპტუნის კონვენცია, რომლის მიხედვით ამ დიდი შეღავათები ეძლევა დალმაციის ნაპირებზე და ილახება ადგილობრივი ბურჟუაზიის ინტერესები. მთავრობამ ეს კონვენცია ამას წინედ შეიტანა სკუპშჩინაში დასამტკიცებლად. ამის გამო დალმაციაში მოეწყო მთელი რიგი საპროტესტო დემონსტრაციები, როგორც სამხრეთ - სლავიის მთავრობის, ისე იტალიის წინააღმდეგ. მუსოლინის მოთხოვნით დემონსტრანტები უბრალებლად იქნენ დასჯილი, მით უფრო, რომ ბელგრადის მთავრობას საბაბი მიეცა ოპოზიციის, ეროვნულ - უმცირესობათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. ოპოზიციამ ამასთან დაკავშირებით ობსტრუქციები მოაწყო პარლამენტში, რასაც მოჰყვა მთავრობის პარტიის დეპუტატის მხრით ოპოზიციის (სტეპან რადიჩის პარტიის) ლიდერების მოკვლა-დაჭრა.

საერთოდ შინაური მდგომარეობა სამხრეთ - სლავიაში გამწვავებულია. მთავრობას სათავეში უდგანან რადიკალები, რომლებიც ემყარებიან სერბიის ბურჟუაზიას და კულაკობას. სამხრეთ-სლავიაში ჰეგემონები და ბატონები უნდა იყვნენ მარტო სერბები—ასეთია მათი ლოზუნგი. ისინი სასტიკად ებრძვიან სხვა ერების ნაციონალურ მოძრაობის ყოველგვარ გამოხატულებას. ამავე დროს კი სერბები შეადგენენ მთელი მოსახლეობის მხოლოდ 38 პროც.

სკუპშჩინაში მომხდარ სისხლის ღვრას მოსალოდნელია მთავრობის კრიზისი და პარლამენტის დათხოვნაც კი მოჰყვეს. ეხლანდელ მთავრობასთან ბრძოლაში ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლებს შესაძლებელია მხარს დაუჭერენ სერბიის ზოგიერთი ბურჟუაზიული პარტიები.

ნაციონალურ ურთიერთობა გამწვავებასთან ერთად სამხრეთ-სლავიაში ძლიერია გლეხთა მოძრაობა (მუშათა კლასი ქვეყნის სამრეწველო განვითარების დაბალი დონის გამო სუსტია), რომლის მიზანია შემამულეთა უღლისაგან თავის დაღწევა. სკუპშჩინაში დატრიალებული ამბები ახალი წყაროს გახდება ეროვნულ უმცირესობათა და მშრომელ მასების ბრძოლისათვის.

გ. კ—ლი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

კრიკა საჭიან და წინდახედული

საქმიანთვითკრიტიკ — ასია ჩვენი ლოზუნგი. და ეს ლოზუნგიც ვე ტარ ცხოვრებაში მან ჰვა მასიურიიხმაურებაც. მაგრამ ის შემთხვევ როცა ადგილი აქვს ვნე გადახვაც.

მთავარიზანი, რომელსაც ახავთ თვიტიკის გატრებით, ეს არის ჩვეპარატის, ჩვნი საზადოებრივ ტკივილებ ანუა, მათი ახვრისათვის სათახო ლონისძიეს გამონახვ ამან ერთად, კრიტიკის გარმავით, ჩვენ მიზ ვისახავთ მის აქტურად ამოიბას, რათა ან კვე უფრო ფე და უფრო ლექურ მონაწილეობა მიიღოს საციაის ტურ ალმბლობაში. ასეა თვიკრიტიკის ლოზუნგის მთავარი აზრი.

აქედან ისთავად ცხაა, თუ რათ უნდა ს მიმართულ თვითკრიტიკის „ცეცხლი" და როგორ ხასიათს უნდა ატარებდეს ის. ზოგიერთები თვითკრიტ იყენებენ ვისმეხან პირადი ანგარიშის გასასწორებლა, არის „ფური სამსახის" გზით ვის მაგალითიც. ბევ კრიტიკოსს გულწრფელად სწა რომ ის აკეთებს სგადო სასარბლო ხქმეს, ნამდვლ კი წინააღდეგს ჩადის. ასე მოითად, არა დაზღვეული არაალდომისაგანის შემთხვევები, აცა ესა თვ საქმისათვი თავდებული მუყი რამე შეცდომას ვებს. არ შეიძლება ამისათვის მასზე რისხვაავატეხოთ და ამით დაარგოთ ნაყიერ საქმიანობის ხსი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ამხგური, გულამშვიდებული მიდგ საქმისადმი.

არიან ჩვე წყობილე შეურიგებელი მტრები, არიანსეთებიც რომელნიც განზრახ და სისტემატიურად სჩადიან ამა თუ იმ უმსგავსოებას. ამნაირების წინააღმდეგ ჩვენი კრიტიკა მოურიდებელი და დაუნდობელი იქნება. შეგნებით ბოროტების ჩამდენი, რკინის ცოცხით უნდა გაიდევნონ დაწესებულება - წარმოებებიდან.

ამისათვის თვითკრიტიკის წარმოების დროს საჭიროა მტრისა და მეგობრის ერთმანეთისაგან გარჩევა და ამის მიხედვით შესაფერი მიდგომის გამოჩენა. სამეურნეო, ადმინისტრატიულ, კულტურულ და სხვა მრავალ დარგთა მუშაკების საქმიანობის კრიტიკის დროს, თუ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ მათ მუშაობაში ადგილი აქვს შეცდომას და არა შეგნებულ ბოროტებას, ჩვენ მიზნათ სრულიადაც არ უნდა ვისახავდეთ ამ მუშაკების მორალურად და პოლიტიკურად დამამარებას. ჩვენი სურვილია საქმის გამოსწორება. ამიტომ კრიტიკაც საქმიანი და ამხანაგური უნდა იყოს.

აქედან აშკარაა, რომ საჭიროა ყოველნაირად ვერიდოთ თვითკრიტიკის წარმოების დროს სენსაციას, გარეგნულ ეფექტს, რაიც თავისთავად ქმნის ფაქტის ერთგვარ გაზვიადების და ხშირად დამახინჯების საშიშროებასაც კი. სანამ კრიტიკას შეუდგებოდეთ, საჭიროა აგრეთვე საკითხის ყოველნაირად შემოწმება. უნდა ვერიდოთ მითქმა-მოთქმას, კარს უკან ლაპარაკს, ობივატელურ ჩურჩულს და სხვა ამის მზგავს, რასაც არაფერი საერთო აქვს ჩვენს თვითკრიტიკის ლოზუნგთან.

ეს განსაკუთრებით მტკიცედ უნდა დავიხსომოთ ეხლა, როცა თვითკრიტიკა ღებულობს მასიურ ხასიათს.

ხი.

სად და რატ იგვიანებს ღარიბთა სესხი

იმ ღონისძიება შორის, ღებსაც სახელმწიფო მიმავს სასოფლეურნეობის საწარმოო ძალთაღორძინებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვან რო თამაშობს სასოფლო-სამეურნეო კრედიტ.

მაგრამ კრედი დაჰკარგავს მნიშვნელობას, თუ მას დროულად არ აწოდებთ სასოფლო მეურნეობას.

თანხები, რომლებიც სახელმწ გადადებ გრძელვადიანი კრედიტის ს წარსულ წლებთან შედარებით გადიდდა სამჯერ. მაგრამ არსებობს კრედიტის სახე, რომელიც თავის დრო ვერ აღწევს მეურნეობამდე; სასოფლო მეურნ ამ კრედიტს იღებს მაშინ როცა სოფ დამთავრებულია ყველა სამთოო პროცე, რის მეოხებითაც კრედიტი იქცევა მხმარებლო კრედიტად და ვითარ ეჭ არ იძლევა სასოფლო მეურნეობაში.

ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ღარიბთა საკრედიტო ფონდზე. ჩვენ განკარგულებაშია ორი წლის განმავლობაში დაგროვ დოკუმენტები, რომლებიდაც შეიძლ გამოვარკვიოთ, თუ რამდენ ინსტანციაში გადის კრედიტი, სანამ ის დანიშნულ გლეხს მიაღწევს.

მაგალითისათვის ავიღოთ 27 წელი.

ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა 27 წლის აპრილის დასაწყ გაუხსნა კრედიტი ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო მაგრამ ამ ორგანოებს შორის ხელშეკრულების დადების პროცესი გაგრძელდა 17 აგვისტომდე ე. ი. თითქმის 5 თვე. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამ.-კავკ. სამეურნეო ბანკისაგან 21 აპრილს მიიღო სესხის ორიენტაციო თანხა, შეიმუშა სესხრებში განაწილების პროექტი 10 ივნისს შეიტანა სახელმწიფო საგეგმომისიაში განსახილველად, რომელსაც პროექტი დამტკიცებულად უნდა წარედგა ეკონომ საბჭოსათვის. მაგრამ ეკონსაბჭომ ეს პროექტი დაამტკიცა მხოლოდ 5 აგვისტოს ე. ი. თითქმის ორი თვის შემდეგ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ეკონომ საბჭოს მიერ დამტკიცებული სესხთა განაწილების პროექტი მიიღო სექტემბერს შემდეგ სამაზრო კომისიებმა ცნობა თანხის რაოდენობა, რომელიც დამტკიცებული პროექტის მიხედვით მიეცემათ ყოველმას.

ცალკე სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს შორის კრედიტების განაწილების პროექტები საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში სამაზრო კომისიებიდან მიღებულ იქნა 12 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე. ი. სამუშაოდ დაგვიანდა ვირით, ნორმალური იქნებოდა, რომ მაზრებს 3-4 თვით არ შეეჩერებინათ კრების განაწილება. დაბოლოს სესხმა საკრედიტო ამხანაგობებამდე მიაღწია. მხოლოდ სექტემბერში და ნოემბერში. როგორც ვხედავთ კრედიტები ყველა ამ ინსტანციების გავლას მოუნდა 6 თვე. მაშასადამე, იმ კრედიტმა, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებამდე უნდა მიეღწია გაზაფხულის დასაწყისში, ე. ი. სწორედ მაშინ, როცა სასოფლო მეურნეობაში ძალიან საჭირო იყო კრედიტი, მიაღწია მხოლოდ მაშინ, როცა იმდენად აღარ ესაჭიროებოდა სასოფლო მეურნეობას. მაგრამ საქმე ამით არ თავდება. ადგილობრივად არსებობს საკუთარი სასოფლო კომისია, რომელიც კრედიტების განაწილებას აგვიანებს 1 ნახ. 4 თვემდე.

აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ადგილი აქვს საძაგელ მოვლენას—კრედიტების გამტარებელი ყველა ინსტანციები ძალიან დაუდევრად ეკიდებიან ღარიბ მეურნეობათათვის კრედიტების მიწოდების საქმეს.

აუცილებელია გამარტივებულ იქნას კრედიტების მიწოდების წესი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამარტივება უნდა გამოიხატოს პირველყოვლისა ინსტანციების რიცხვის შემცირებაში

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულებით არ არის აუცილებელი ამ კრედიტმა გაიაროს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი. ამ. კავკ. ფინსახკომმა კრედიტი პირდაპირ უნდა გადასცეს რესპუბლიკანურ ფინსახკომებს, რომლებიც მექანიკურად გადასცემენ მას სასოფლო-სამეურნეო ბანკებს (ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ რესპუბლიკანურ ფინსახკომებს ერთმევა კონტროლის უფლება). სასოფლო - სამეურნეო ბანკებმა ეკონომიურ საბჭოს მიერ მიღებული პრინციპების მიხედვით უნდა გაანაწილონ კრედიტები მაზრებს შორის და ეკონომსაბჭოს დაუმტკიცებლად გაგზავნონ მაზრებში. რაიონებს შორის კრედიტების გასანაწილებლად სამაზრო კომისიებს ვადათ უნდა მიეცეს არა უმეტეს 2 კვირისა, რაც სავსებით საკმაოა.

რაც შეეხება სასოფლო კომისიებს, აქ საქმე ცოტა უფრო რთულია, ვიდრე ყველა მაღლა მდგომ ინსტანციებში. ღარიბ მეურნეობათა შორის მისაწოდებელი კრედიტების განაწილებაში დღემდე ჩაბმული არ იყო საზოგადოებრიობა, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებთან არსებულ ღარიბთა ჯგუფების სახით. ეს საზოგადოებრიობა საჭიროა არა მარტო იმიტომ, რომ მათი დახმარებით უფრო უზრუნველყოფილი იქნება კრედიტების სისწორით განაწილება, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოებრიობამაც აამოძრაოს სასოფლო კომისიები და დააჩქაროს მათი მუშაობა, რაიც ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ნ. ყალატოზოვი.

გულმავიწყი კომერსანტები

(სატყეო მრეწველობის ტრესტი)

ძალიან ცუდი ყოფილა თურმე, თუ კომერსანტი გულმავიწყია, ცუდია ეს თვით კომერსანტისათვის, თორემ კოოპერაციას ამით არაფერი დააკლდება. ეს დებულება, ეხლა უკვე შემოწმებულია, აღიარებული სატყეო მრეწველობის ტრესტში.

ამბავი იწყება 1927- წლის 1-ლ ნოემბერს. ეს დღე სატყეო მრეწველობის ტრესტის კომერსანტებისთვის კვიმატიანი იყო. სწორედ ამ დღეს ტრესტის წარმომადგენელმა „კომერსანტმა" ბიბინეიშვილმა ხელი მოაწერა „სევკავტორგის" ხელშეკრულებას 3.000 კონა ტკეჩის დამზადების შესახებ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო სულ 480.000 მანეთის სატყეო მასალის დამზადება. სწორედ ამავე ხელშეკრულებით ტკეჩი უნდა დაემზადებია ტრესტს და ჩაებარებია ქიათურაში სევკავტორგის განყოფილებისთვის ა. წ. 1-ლ მაისამდე. საქმე მხოლოდ გულმავიწყობაშია::

ხელშეკრულების დადების დროს ტრესტის კომერსანტებს დაავიწყდათ ტკეჩის ზომის აღნიშვნა, ყველა ტკეჩი ტკეჩია, მაგრამ „სევკავტორგს" ყოველგვარი ზომის ტკეჩი არ უნდა. დაიდო ხელშეკრულება და გათავდა. ხელშეკრულებას კი შესრულება უნდა, თორემ იქ შეტანილია მე-7 პუნქტი, სადაც აღნიშნულია იმ ჯარიმის რაოდენობა, რომელიც უნდა გადაიხადოს ხელშეკრულების დამრღვევმა მხარემ.

ხელშეკრულების ამბავი ყველამ დაივიწყა, მაგრამ მესამე თვეს ვიღაცას გაახსენდა, რომ ხელშეკრულება დასდო სატყეო ტრესტმა და ამ ხელშეკრულებას შესრულება უნდა. ნახეს, წაიკითხეს და გამოარკვიეს, რომ ტკეჩის ზომა არაა აღნიშნული. მიაკითხეს „სევკავტორგს" და მიიღეს ცნობები, რომ ამა და ამ ზომის ტკეჩი გვინდაო. ეს ამბავი მოხდა იანვრის შუა რიცხვებში. ეხლა ყველაფერი მზად იყო იმისთვის, რომ საქმე გადასცემოდა ტრესტის საწარმოო განყოფილებას, რომელიც ხელმძღვანელობს უშუალოდ დამზადების საქმეს. კომერსანტებს დაავიწყდათ საწარმოო განყოფილების გაფრთხილება. მხოლოდ 9 თებერვალს, ე. ი. ერთი თვის შემდეგ იწერება ქაღალდი № 60887, რომელსაც კომერციული განყოფილება უგზავნიდა საწარმოო განყოფილებას. ეს განყოფილებები მოთავსებულია მეზობელ ოთახებში. ერთი ოთახიდან მეორე ოთახამდე სწორედ ორნახევარი ფეხის ნაბიჯია. მიმართვამ № 60887, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ საჭიროა ტკეჩის დამზადება სასწრაფოდ დაიწყოთ, იარა ერთი განყოფილებიდან მეორე განყოფილებამდე 8 დღე. დღეში რომ ამ მიმართვას ერთი სანტიმეტრის მანძილი გაევლო, მე-4 დღეს მაინც მიიღებდენ. საწარმოო განყოფილებამ მიიღო შეკვეთის ქაღალდი 16 თებერვალს. აქ თავი იჩინა კიდევ გულმავიწყობამ. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, სახელდობრ ა. წ. 21 თებერვალს ეგზავნება შამგონის სახერხ ქარხანას შეკვეთა.

შამგონის ქარხანაში ზის ახალი გულმავიწყი. მისი გვარი კეჭაყმაძეა, ხოლო სახელი ნიკოლოზი. მიიღო კეჭაყმაძემ შეკვეთის განკარგულება № 51.210, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ქარხანამ მასალა უნდა დაამზადოს 1-ლი მაისისთვის.

ამავე ქაღალდში აღნიშნული იყო ისიც, რომ ქარხნის გამგეს შეეტყობინებია ტრესტისთვის, შეძლებს თუ არა ქარხანა ამ მასალის თავის დროზე დამზადებას. თანხმობის პასუხი თბილისში ჩამოდის მხოლოდ მესამე თვეზე.

დადგა აპრილი და ახლოვდება 1-ლი მაისი. ჩააბარებენ თუ არა მასალას?

აქ კიდევ გულმავიწყობა: კეჭაყმაძეს დაავიწყდა, რომ ტკეჩისათვის შეკვეთაში განსაზღვრული ზომაა აღნიშნული. დაამზადა მართალია 1000 კონა ტკეჩი, ე. ი. შეკვეთის მესამედი და გადაგზავნა დანიშნულ ადგილას. მაგრამ ტკეჩი არ მიიღეს—ასეთი ზომის ტკეჩი არ შემოგვიკვეთიაო.

ამბავი ისევ თავიდან იწყება.

ტრესტის კომერსანტები ღელავენ. რაღა ვქნათ, ჯარიმას გადაგვახდევინებენ და თავს მოგვეჭრებაო. მიდის დეპეშა შამგონში კეჭაყმაძესთან, მიდის წერილიც, მიდის კაციც. მოვიდა მაისის 5 რიცხვი. მასალა კი უნდა ჩაებარებიათ 4 დღის წინეთ.

მასალის ჩაბარება ტრესტმა ვერ მოახერხა. დაიწყო ისევ მოლაპარაკება სევკავტორგსა და ტრესტს შორის.

— გვაცალეთ ცოტა, ხოლერობა ხომ არაა, რა ეშმაკათ გეჩქარებათ ასე ამ ტკეჩის მიღება—ეუბნებიან სევკავტორგს ტრესტის წარმომადგენლები.

მოლბა „სევკავტორგი" და გააგრძელა ცოტა ხელშეკრულების ვადა, მაგრამ ტრესტმა ამ ვადის განმავლობაშიაც ვერ შესძლო შეკვეთების შესრულება.

დასასრული ამ გაუთავებელი ამბის ასეთია: მოახდინეს შეკვეთის შესრულების გამოკვლევა და დაადასტურეს, რომ ტრესტს შეკვეთის მიღებიდან მოგების მაგიერ უნახავს ნაღდი ზარალი ჯარიმების გადახდით. ჯერ-ჯერობით ეს ზარალი უდრის 3.460 მანეთს. შემდეგ რა იქნება არავინ უწყის.

გამოკვლევის შემდეგ შესაფერი ზომებიც იქნა მიღებული დამნაშავეთა წინააღმდეგ.

ცუდი ყოფილა გულმავიწყობა. შეიძლება ასეთი გულმავიწყობით კაცი გამასწორებელ სახლამდე მივიდეს.

კიდევ უფრო ცუდი იქნება, თუ სათანადო ორგანოებმაც გულმავიწყობა გამოიჩინეს და დამნაშავეებს პასუხი არ აგებინეს ასეთი გაუგონარი დაუდევრობისათვის.

გრ. მალანია.

ნათლიმამა რიონჰესიდან

(რიონჰესი)

სტუდენტების პრაქტიკაზე მიზანშეწონილად გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი კადრების მომზადებისათვის. მიუხედავათ ამისა ბევრგან სათანადო ყურადღებით არ ექცევიან მოსწავლე ახალგაზრდობის პრაქტიკულ მუშაობის საკითხს. ზოგჯერ ადგილი აქვს ჩვეულებრივ სენს, ნათლიმამობას, მიკერძოებას და პირად სიმპატია-ანტიპატიას. ხშირად ანგარიშს არ უწევდენ სტუდენტის ცოდნას მის გამოცდილებას და ასე ნიშნავენ ამა თუ იმ სამუშაოზე, ხშირად კი გადამწყვეტ მომენტადაა მიჩნეული პრაქტიკანტისადმი ნათესაური განწყობილება.

ამის საუკეთესო მაგალითი გვაქვს ჩვენ რიონჰესის მშენებლობაზე. რომ სიტყვა არ გაგვიგრძელდეს, მოვიყვანთ აქ ერთ დოკუმენტს, რომელიც გაგზავნილია ოდესის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებლის პროფესიონალურ კავშირის ბიუროსაგან ქუთაისის აღმშენებელთა კავშირის სახელზე. აი, ეს დოკუმენტიც:

„ქ. ქუთაისის აღმშენებელთა კავშირს!

ოდესის პროფბიუროს აღმასკომსა და „აღმშენებელ მუშათა" კავშირის პროფკომის მიერ მიღებული ცნობებით — ოდესის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ი. მ. ვინცენტინი რიონჰესის სამუშაოთა ინჟინერის კლიმოვის მეშვეობით დეპეშით გაწვეულია, როგორც სპეციალისტი, ჯამაგირით 250 მან. თვეში და სამგზავრო ხარჯით 250 მანეთი.

გარდა ამისა იგი სამსახურში ჩარიცხული ყოფილა უკვე 1 ივნისიდან და ეს მაშინ, როცა იგი 11 ივნისამდე ვერსად ვერ წავა, რადგან დროებით იგი ჯარისკაცათაა გაწვეული და, მაშასადამე გასვლა მას ძალუძს მხოლოდ 12 ივნისიდან.

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში პროტექციონიზმს აქვს ადგილი, რომლის მეოხებით უნდა ჩაიშალოს სტუდენტთა სწორი საპრაქტიკო განრიგება, სტაჟი და გარდა ამისა უსწოროთ უნდა დაიხარჯოს სახელმწიფო ფული, რადგან მას იწვევენ როგორც სპეცს, იგი კი მხოლოდ მეოთხე კურსის სტუდენტია.

ამასთანავე დავსძენთ, რომ სტუდენტი ვინცენტინი საზოგადოებრივსა და პროფესიონალურ საქმიანობას ეპყრობოდა და ეპყრობა უარყოფითად, რის გამო არ გირჩევთ მის დაშვებას ზემოხსენებულ სამუშაოზე.

პროფბიუროს აღმასკომის თ-რე ტიჩკინი.

პროფკომის თ-რე ბელოზოვიჩ.

პროფბიუროს აღმასკომის მდივანი ზვერევიჩი".

ვფიქრობთ, რომ კომენტარიები ამ დოკუმენტს არ ესაჭიროება.

ვაუჟა.

ის, ვისზედაც „სდგას" აბრეშუმის ტრესტი

დღემდის ვერავის გაუგია, თუ რა სასარგებლო მუშაობას ეწევა აბრეშუმის ტრესტის საწარმოო განყოფ. გამგე სპირიდონ (ვარდენ) ჩომახიძე.

ტრესტში ის ცნობილია ძაფის ამოხვევის მცოდნეთ, ხოლო „26 კომუნარის" ქარხანაში — როგორც „ინჟინერი" ხელმძღვანელობს ერთ-ერთ საამქროს და ამისათვის ცალკე ჯამაგირს ღებულობს.

დიდი მოხერხებული კაცია ჩომახიძე. ამოიღებს იტალიიდან მიღებულ მანქანების პრეისკურანტიდან საჭირო ნახატებს, შეუკვეთავს სახელოსნოში, დაამზადებს და შემდეგ თავის შემოქმედებათ ასაღებს.

ვინ რას გაიგებს, საკუთარი შრომაა თუ ნათარგმნი, მე კი ჩემ გვარს დავაწერო, ასე მსჯელობდა ჩომახიძე, როცა შეუდგა ერთ-ერთ იტალიური ფირმის მიერ გამოშვებულ ბროშიურის „სიმპლექსის" თარგმნას.

ნათარგმნი „სიმპლექსი" ჯერ „საქართველოს აბრეშუმს" მიჰყიდა, შემდეგ თურქესტანის და აზერბეიჯანის აბრეშუმის ტრესტებს ესტუმრა და მათთან დაიწყო ვაჭრობა.

რასაკვირველია, ამით არ დასრულდა ჩომახიძის შემოქმედება. მან დაიწყო საკუთარი სახლის აშენება. ამისათვის ფულია საჭირო, ფულის მისაღებათ კი—ახალი კომბინაცია. ჩომახიძემ აიღო იტალიიდან მოსული პრეისკურანტი, გადმოიღო იქედან გამხარისხებელ მანქანის ნახაზები (ისიც სხვისი საშუალებით), შეადგინა ხარჯთაღრიცხვა და ერთ მშვენიერ დღეს აბრეშუმის ტრესტის მმართველს შესთავაზა თავისი „მორიგი გამოგონება". საქმე გათავდა, ჰონორარს ჩომახიძე მიიღებდა, მაგრამ, მის საუბედუროდ ასეთივე მანქანა უკვე დადგმული აღმოჩნდა ტრესტის ერთ-ერთ საგრენაჟო სადგურში.

კოვზი ნაცარში ჩაუვარდა „გამომგონებელს", მაგრამ გამომგონებელი რის გამომგონებელია თუ გასაღების საშუალებაც ვერ გამოიგონა. ჩომახიძე ადგა და „თავისი" მანქანა შეატყუა თურქესტანის აბრეშუმის ტრესტს. ფასათ ჯერჯერობით 1.400 მან. ჩაიჩხრიალა, დანარჩენს კიდევ მოელის.

„მალადეცი" ბიჭია ჩომახიძე. წელიწადი იტალიაში დაჰყო, ენაც შეისწავლა, ლიტერატორიც გახდა („საკუთარ" წიგნებს სცემს) და ინჟინერიც გამოვიდაო, — ამბობენ ჩომახიძის ახლო მეგობრები.

ამას წინედ გულისწყრომას გამოსთქვამდა: „მივლინებაში ვერ მივდივარ, ქარხნების საჭირბოროტო საკითხებს ვერ ვაწესრიგებ"-ო, ნუ იფიქრებთ, რომ მას მართლა ქარხნების ბედი აწუხებს, მისი გულის ტკივილის ნამდვილი მიზეზი აი რა არის: წინად ის ქარხნებს ევლინებოდა, როგორც გასტროლიორი, მიიხედ - მოიხედავდა, ჩაიქეიფებდა და შემდეგ, რომ თავის მივლინება გაემართლებია, დასტოვებდა ერთ-ორ უმნიშვნელო განკარგულებას.



ჩომახიძის მოღვაწეობა თქვენ გგონიათ ამით თავდება? არა—ის საბჭოთა ხელისუფლების ნამუშევარსაც თავის პირად შემოქმედებათ ასაღებს. ხონის ახალი ძაფსაღები ქარხნის აშენებას ჩომახიძის გულკეთილობას და სამშობლო კუთხის სიყვარულს მიაწერენ. უნდა ითქვას, რომ ვარდენი თვითონაც იფერებს ასეთ პატივს, მას არასოდეს არ წამოცდება „ჩვენი ქარხნები", „ჩვენი ქარხანა", ის საუბარში მუდამ „ჩემი ქარხანაზე და ჩემ ქარხნებზე" გაიძახის.

ასეთია მოკლედ ჩომახიძის მოღვაწეობა. რა უწოდოთ ყველა ამას? პასუხის გაცემისათვის დიდი ფიქრი საჭირო არაა.

ჩხაკუნა.

ვინ შეკრა ეს „თაიგული"

გაზეთებში უკვე იყო ცნობა იმის შესახებ, რომ რკინის გზის სახანძრო განყოფილებაში თავდაყრილია თეთრგვარდიელთა ჯგუფი.

საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ მოახერხა ამ „თაიგულის" შეკვრა? დავიწყოთ მაღლიდან. მოქ. კელჩევსკი, სახანძრო განყოფილების უფროსი, მიიღო სამსახურში ლეონტიევმა. ერთიც და მეორეც თეთრ-გვარდიელებია. აქედან დაიწყო ძმა-ბიჭების რაზმის გაძლიერება. მათ ხაზმასიდან ჩამოიყვანეს პლატონ ეროშენკო, მუშების სისხლის მსმელი, 1 რაიონისთვის კარგათ ცნობილი ჯაშუში.

ეროშენკოს გაუგეს წარსული და ერთ კვირაზე მეტი პოლიტიკურ სამმართველოში იყო დაპატიმრებული.

კელჩევსკიმ ამის შემდეგ მიიღო ყოფილი ბაქოელი პრისტავი ნოლკინი ბრანდმეისტერის თანაშემწედ. ნოლკინი ღებულობს სამსახურში, სამტრედიის უბნის ინსტრუქტორად ყოფილ ოფიცერს, მუშების ცნობილ ჯალათს სემიონოვს. ამის შემდეგ ის ყოფილ ოკოლოდოჩნიკს ლუგაევის გზავნის სამსახურში აჯიკაბულის ბრანდმეისტერათ.

ამას წინეთ ქ. თბილისის 1 ნაწილში სახანძრო რაზმიდან მოხსნეს, როგორც არა საიმედო პირი, ბრანდმეისტერი ზავერტიაევი. მას ძმა ბიჭებმა ურჩიეს მიემართა კელჩევსკისთვის. და აი, მუდამ დღე ზავერტიაევი ატუზულია კელჩევსკის კაბინეტთან. უნდა ვიფიქროთ, ცდა უნაყოფოდ არ ჩაუვლის.

სამაგიეროდ როგორ ხვდება პარტიისა და პროფკავშირისაგან დაწინაურებულ მუშებს მოქ. კელჩევსკი? აი რას ღაღადებენ ფაქტები? ამ რამოდენიმე ხნის წინეთ პარტიამ და კავშირმა დააწინაურა ძველი, გამოცდილი და ტრანსპორტის ერთგული მუშა კესინოვი. როგორ შეხვდა მას კელჩევსკი? „ქვა ააგდო და თავი მიუშვირა", სეტყვასავით მიაყარა შეკითხვები: რა განათლებით ხართ, შეგიძლიათ თუ არა მოხსენების დაწერა და სხვა.—თავიდანვე აშინებს მას, აქ თქვენ ვერ ივარგებთ, დაიღუპებითო.

რომ რაიკომი არ ჩარეულა საქმეში, მოქ. კელჩევსკის თავისი გაყავდა. ხოლო ამის შემდეგ, როცა მას თავისი არ გაუვიდა, სხვა ხერხს მიმართა. ამხ. კესინოვს არ აცნობს საქმეებს და ამით უნდა იძულებული გახადოს თვითონ წავიდეს.

როგორც ბაქოს, ისე თბილისის მეხანძრეები აღელვებულნი არიან იმ ცნობით, რომ სახანძრო განყოფილებაში მოკალათებულია თეთრ გვარდიელების ხროვა.

სიტყვა მუშგლეხინს ეკუთვნის.

ძველი.

თამაში ხელი

„ჩვენში ხშირად ერიდებიან ერთი-მეორის წყენას, ამიტომ არ ეუბნებიან შენიშნულ ნაკლს, არ ამხელენ. ფარავენ მას ყალბი მეგობრული გრძნობის ზეგავლენით".
(ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვიდან).

ერთ კაცს ტბაში დიდხანს ცურვით
დაღლოდა მკლავში ძალა,
ირჩობოდა ის საბრალო,
ლხინი ჭირად შეეცვალა.
იქვე ნავით ტრიალებდა,
გულმოკლული მეგობარი,
ჭირში მყოფის ხსნას ცდილობდა
უზუნური გრძელი ხარით.
ჩაუგდებდა წყალში ხარის და
კიოდა:—„სტაცე ხელი,
გამოსცურე, გამოსცურე,
აქ მოდი და მე გიშველი".
ნაპირიდან დაუძახეს:
„მიეშველე კაცო, ჩქარა,
ველარ ხედავ, რომ საწყალ კაცს
აღარა აქვს ცურვის ჩარა?
გაანძრიე ეგ ნიჩბები,
რას ტრიალებ ხარით ტბაში,
ახლოს მიდი, ახლოს უფრო
ხელი სტაცე, ხელი თამაში".
— „თამაში ხელი... როგორ ვსტაცო—
გაიკვირვა: ეტკინება,
ტკენას თავი გავანებოთ —
ჩემს მეგობარს ეწყინება",
სთქვა და ისევ დაიჭყივლა—
— აბა ბიჭო, მხარით, მხარით...
მაგრამ უკვე არსად ჩანდა
საცოდავი მეგობარი.

* * *

ხშირად ხდება ჩვენში ასე:
ყალბ გზაზე სდგას მეგობარი,
ფლანგავს, მრუშობს, ერთი სიტყვით
უქიქინებს თავში ქარი.
ხედავს ამას ბევრი მაგრამ,
ერიდება კაცის წყენას,
არას ჰკადრებს მეგობარ კაცს,
კბილს აბჯენს მაგრად ენას.
ის კი, რაკი არვინ ხედავს
რომ დატუქსოს, შეუძახოს,
თვალი დროზე აუხილოს,
და ყალბი გზა დაანახოს,
კიდევ უფრო მეტს თავხედობს,
კვლავ ღრმად სტოპავს ბინძურ ტბაში,
სტოპავს, სანამ მეთევზეური
არ გააწნავს ხილას ყბაში.

* * *

მეგობარო, თუ მეგობრის
გულწრფელად გსურს გადარჩენა,
თამაში ხელი, თამაში დროზე,
რას მიქვია ტკენა-წყენა!

ხოზიკა.

მარჯვენამ არ იცის რას აკეთებს მარცხენა

ხულოს სამაზრო აღმასკომში საქმეთა მმართველის თანამდებობაზე მსახურობდა ვინმე მოქ. ტარასი ჯობავა, რომელიც თავის დანიშნულებას საუკეთესოდ ასრულებდა. არ გასულა დიდი დრო, რომ სამაზრო აღმასკომმა მოხსნა ის სამსახურიდან. პროფსამდივნომ ჯობავა კავშირიდან გამორიცხა, საერთო კრებამ ამას საყვედური გამოუცხადა. საკითხავია რისთვის? მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა: „ამხანაგებო, დღეს ჩვენს დღის წესრიგში ერთი საკითხი გვაქვს, მოქ. ტარასი, ჯობავას კავშირის რიგებიდან გარიცხვა და მისთვის საყვედურის გამოცხადება." მერე რატომ? შევეკითხე დამსწრენი კავშირის წარმომადგენელს. იმიტომ, რომ ჩვენს ორგანიზატორ ქალს რომანი გაუმართა, ცოლად არ მიჰყავს. დიდი დავიდარაბის და კამათის შემდეგ, კრებამ დაადგინა: „გამოირიცხოს კავშირის რიგებიდან მოქ. ტარასი ჯობავა და მოიხსნას ის სამსახურიდან". არ სძინავდა არც მოქ. ჯობავას ის მივიდა სამაზრო აღმასკომში შემდეგი განცხადებით: „გთხოვთ მომცეთ ჩემი მუშაობის დახასიათებაო" აღმასკომის თავმჯდომარემ წითელი მელნით დააწერა: „მიეცეს მოქ. ჯობავას დახასიათება, რომ ის მუშაობდა ენერგიულად და ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად. ახალმა საქმეთა მმართველმა გააშალაშინა რეზოლიუცია და მისცა ჯობავას საუკეთესო დახასიათება. აღმასკომიდან ჯობავა პროფსამდივნოში მივიდა, იქაც გამოართვა დახასიათება, რომ ის კავშირის ხაზით ენერგიულად მუშაობდა. ამ დოკუმენტებით ჯობავა გაყვა ბათომის გზას და მიადგა შრომის სასამართლოს. შრომის სასამართლო გაკვირვებაში მოვიდა, როდესაც ჯობავას საბუთებს დახედა. მან ჯობავა აღადგინა ნაცდური ხელფასის ანაზღაურებით. ჯობავა ისევ ხულოს სამაზრო აღმასკომს მიადგა სასამართლოს განაჩენით. დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ აღმასკომმა როგორც იყო შრომის სასამართლოს დადგენილება ნაწილობრივ დააკმაყოფილა. ნაცდური მისცეს ჯობავას, სამსახურში აღდგენაზე კი უარი უთხრეს. რისთვის? არავინ იცის რისთვის. მხოლოდ ეს კი ვიცით, რომ ჯობავა ისევ სასამართლოს ეწვია და ხელ-ახალი დადგენილება გამოიტანა სამსახურში აღდგენისა და ნაცდური 6 თვის ხელფასის ანაზღაურების შესახებ. ეს დადგენილება მაზრაღმასკომმა არ სცნო, მან შუამდგომლობა აღძრა აჭარცაკის წინაშე, რომ გაეუქმებია შრომის სასამართლოს დადგენილება. ამ შუამდგომლობის საპასუხოთ პროკურატურამ აცნობა სამაზრო აღმასკომს, რომ შრომის სასამართლოს დადგენილება არის სწორი და მისი გაუქმება არ იქნებაო. ჯობავა კიდევ მიადგა სამაზრო აღმასკომს, მაგრამ იქიდან უარი მიიღო, რის შემდეგ ჯობავა იძულებული შეიქნა საქ. მუშ. გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში მისულიყო თბილისში, საიდანაც წამოიღო შემდეგი შინაარსის მოწერილობა: მუშგლეხინის რწმუნებულის სახელზე აჭარისტანში: „წინადადება მიეცი ხულოს სამაზრო აღმასკომს დააკმაყოფილოს მოქ. ჯობავა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიეცი პასუხისგებაში მაზრაღმასკომის თავმჯდომარე და საქმე გადაეცი პროკურატურას".

ამის შემდეგ სამაზრო აღმასკომი მოვიდა გონს და აღადგინა მოქ. ჯობავა სამსახურში განაცდენ თვეების ხელფასის (660 მანეთი) სრული ანაზღაურებით.

რა ეწოდება ამას? 12 თვე უსამსახუროთ იყო თანამშრომელი, და შემდეგ კი აღმასკომის სალაროდან მთელი ერთი წლის ხელფასი 660 მანეთი ერთად აიღო. რას ფიქრობდა სამაზრო აღმასკომი და პროფსამდივნო, როდესაც უდანაშაულოთ თანამშრომელს ქუჩაში აგდებდა, კავშირიდანაც რიცხავდა? თუ ჯობავა სამსახურიდან მოხსნის ღირსი იყო, რატომ მისცეს მას ქვის გამხეთქი დახასიათება. ჭეშმარიტად მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა. და ეს ხალხია სამაზრო მუშაკები. ესენია მაზრის ადმინისტრატორები და პროფესიონალისტები.

მებრძოლი.

ბოროტმოქმედება ტყვიავის სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში

გორის მაზრაში ტყვიავის თემი ითვლება ერთ-ერთ ეკონომიურად ძლიერ რაიონათ. მეურნეობის მთავარ დარგს ამ რაიონში შეადგენს მებაღეობა. ტყვიავის რაიონში არსებობს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც ოთხი წლის ისტორია აქვს. უკანასკნელ დრომდე ამხანაგობა „სოფლის კავშირი"-ს სისტემის გარეშე იყო. „სოფლის კავშირში" ტყვიავის ამხანაგობა შევიდა წევრათ 2—3 თვის წინად.

ამ რამოდენიმე დღის წინად „სოფლის კავშირმა" მოახდინა ამხანაგობის რევიზია. გამოირკვა, რომ ამხანაგობა აერთიანებს 509 წევრს (2500 კომლიდან), რომლებიც ამხანაგობის წევრებად ითვლებიან თითქმის ამხანაგობის დაარსების დროიდან. ამხანაგობის ხელმძღვანელ ორგანოს არავითარი ზომები არ მიუღია წევრთა რიცხვის გასადიდებლად. უკანასკნელი ცხრა თვის განმავლობაში ამხანაგობაში ჩაწერილა მხოლოდ სამი ახალი წევრი. ამხანაგობა სრულ უმოქმედობას იჩენდა როგორც საორგანიზაციო, ისე კულტურულ და აგრიკულტურულ დარგებში.

— ამხანაგობას „სოფლის კავშირთან" დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ამხანაგობას „სოფლის კავშირი"-სათვის უნდა დაემზადებია 18.000 ფუთი ხილი. ამ დამზადების ანგარიშში ტყვიავის ამხანაგობამ „სოფლის კავშირი"-საგან მიიღო ავანსი 13.560 მან. რაოდენობით.

ამხანაგობამ ფაქტიურად დაამზადა მხოლოდ 7.167 ფუთი ხილი, მაგრამ სოფლის კავშირისათვის არ ჩაუბარებია არც ერთი ფუთი. დამზადებული ხილის ნაწილი ამხანაგობამ მიყიდა „ტიფტორგს", ნაწილი „გრუზგოსტორგ"-ს და სხ. ორგანიზაციებს, ხოლო 2.670 ფუთი თავისი პასუხისმგებლობით წაიღო ლენინგრადსა და ხარკოვში. ლენინგრადში საქონელს გაჰყვა გამგეობის თავმჯდომარე მოქ. კოლა კორინთელი, ხოლო ხარკოვში გაგზავნილი იქნა თანამშრომელი ფორაქიშვილი. ამ მოგზაურობას მოქალაქე კორინთელმა მოანდომა 129 დღე, ფორაქიშვილმა—149 დღე. მოგზაურობის დროს მათ ორივემ დახარჯეს გზის ქირა, დღიური, ჯამაგირი და სხვა სულ 3.027 მან. 44 კაპ.; ამ ოპერაციების შედეგად ამხანაგობამ მიიღო ზარალი 9.155 მან. რაოდენობით. საერთოდ ხილის ოპერაციებით ამხანაგობამ დაამთავრა 12.196 მან. ზარალით.

ამ ოპერაციის შემდეგ ტყვიავის ამხანაგობამ სოფლის კავშირის საშუალებით ახალი ხელშეკრულება დასდო „გრუზგოსტორგ"-თან, რომლის ძალითაც ამხანაგობა ვალდებულია გრუზგოსტორგისათვის დაამზადოს — 100.000 ფუთი ხილი. ამხანაგობამ გლეხებისათვის დასარიგებლად მიიღო ავანსი 40.000 მან.

ავანსების გაცემის დროს ამხანაგობა ცდილობდა უპირველესად ავანსი მიეცა იმ გლეხებისათვის, რომლებზედაც ირიცხებოდა დავალიანება, აძლევდა მათ ავანსს და უკავებდა დავალიანებას. ამრიგათ, გაცემულ ავანსებიდან ამხანაგობამ გლეხებს დაუკავა დავალიანებაში—4.113 მან. 35 კაპ., ხოლო სესხის ობლიგაციებში 3.400 მანეთი. სულ 7.513 მანეთი და 35 კაპ. (აქედან ამხანაგობამ დავალიანების დასაფარავად შეიტანა სას.-სამ. ბანკში—7.500 მანეთი). გლეხობაზე დარიგებული იქნა სულ 36.000 მან. ამჟამად გამორკვეულია, რომ ვინაიდან ავანსი მიზანშეწონილად არ იყო დარიგებული, ამხანაგობა შესძლებს დაამზადოს არა უმეტეს 40.000 ფუთი ხილისა.

მიღებული ავანსიდან დანარჩენი 4.000 მანეთი ამხანაგობამ ვითომ ხილის ავანსის ანგარიშში ფიქტიურად გადასცა ტყვიავის თემაღმასკომს. ეს ოპერაცია შესრულებულია შემდეგნაირად: აღმასკომმა ფული მიიღო ორდერით, ხოლო მეორე ორდერით ეს ფული ანაბარების სახით შეიტანა ამხანაგობაში (აღმასკომს ხელი უწერია მხოლოდ ფულის მიღების ორდერზე, ხოლო ხელშეკრულებაზე აღმასკომი ხელს არ აწერს).

გარდა ზემოჩამოთვლილი ბოროტმოქმედებათა, აღმოჩენილი იქნა შემდეგი ბოროტმოქმედება: გლეხები, როდესაც ბანკიდან ღებულობდენ სესხს, თამასუქი იწერებოდა მთელ თანხაზე, ხოლო გლეხს აძლევდენ ნაკლებ თანხას და ეუბნებოდენ, რომ დანარჩენი ფული რჩება ამხანაგობაში ანაბარების სახით.

რევიზიის დამთავრების შემდეგ სოფლის კავშირმა გადააყენა ამხანაგობის გამგეობა (კ. კორინთელი და ვ. ქარელი) და საქმე გადასცა პროკურორს.

ძ.

რაც ასავლენ ზოგჯერ ჩვენს სკოლებში

როცა ჩვენ ვამოდ და დაუზოგავად ვებრძ საბჭ აპარატის და საზოგადოებრივობის ცხოვრებაში არსებულ ნაკლებს, ერთი წუთაც კი ვივიწყებთ, რომ მრავალი ნაკლი ძველი დროის მემკვიდრეობას მოადგენს. დღევანდელ მთ რიგ უავსოებათა ასე ვთქვათ „ორიულ ფესვები" შორეულ წარსულშია ჩამული. ამიტომაა, რომ ბრძა ბევვენი მტკიცნეული მხარე წინძლევ სისტემატიური, ხაძლივი შეუპოვარი უნდა იყოსკა პირიში. მაშინ, როცა ბოროტქმემოხვით და წარმავალ ხასიათს რებს, მ ალმოფხვრა არც თუ ისე ლი საა, ამიტომ იპყრობს მემკვეობითიოროტების წინააღმდეგ ბლა ჩვე განსაკუთრებულ ყურაას. მამ სწორეთ მაშინ, როცა ქვით ას ბოროტებას, ჩვენ თვალ და ჩიდა შეუმჩნევლად საბჭსაზოგადოებრივობის წიაღში იქმნება ბოროტქმედებათა ახალი მემკვიდრობა. ჩვ ვლაპარაკობთ სკოლე შესახ. აქ ჩვენ, ზბილათ რომ ვათ, „ყველაფერი რიგზე" არა გვაქვს სუთესო მაგალითს წარმოვენენ შავის მაზრის სკოლებმოხელიამ შემთხვევაში გამოსადგა არაითვლება.

საბჭოთა ხელისუფლების წარსული 7 წლის მანძილზე ბევრი წარმატება ამ სკოლის დარგში, გვყავს ახალი სახელმძღვანელო საიმედო კადრი, მეიდ დაგვიახლოვდა ძველი პედაგოგიური პერსონალის დიდი ნაწილი, თანა მტკიცდება სკოლაში შრომის პრინციპები და სხვა. მაგრამ... რაც ყოველთვის, აქაც ვერ აუქცევიარ „მამამს", რომელიც ამ ძველში ბევ სიგულისხმო რამეს ნება.

სჯობს ვიდეთ მაგალითებზე. შორაპნის საზანოსვმში არის შვიდწლედნაური ავი ხდება ამ სკოლამასწავლებელი 3 წელიწადია ერთს ერთი სახელისაწავლი ან ერთ სხი, ხშირად ერთ და იმავე ჯგუ პედაგოგიურ საბჭოს კრებაზე ემაგიდის ირვლივ სხე დან, მეცადის შემდ ყოველდღე ორლო ხვდებიანერთმანეთს და მაინც მხნევენ ერი მეორეს. პირველისი არ არსებებს მეორეს, მეორესთვის პირველი, პირველისთვის მესამე, მესამესთვის მეორე, მეორესთვის მეოთხე და ასე შემდეგ. რა უნდა გაკეთდეს ასეთ სკოლაში? იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი დაწესებულება, სადაც კოლეგიალობა იმდენადვე საჭიროა, როგორც სკოლაში. აქ კი კოლეგიალობას თავი დაანებეთ, მასწავლებლების ერთმანეთის შეხვედრას მდუღარეში ფეხის ჩაკვრა ურჩევნიათ. და მერე რატომ მოხდა ეს? მიზეზი რომ საპატიო იყოს, კიდევ ჰო!

არის საზანოს შვიდწლედში სხვა მასწავლებელთა შორის ვინმე აბაშიძის ქალი. არის ამავე შვიდწლედში მასწავლებლად ერთი „უჯიშო" ახალგაზრდა, შთამომავლობით გლეხი, რომელმაც მოინდომა აბაშიძის დის ცოლათ შერთვა. თანხმობაც მიიღო საცოლოსაგან, მხიარულად გატარდა, მაგრამ ბეწვზე მოუსწრო „დალუპვის პირას" მდგომ აბაშიძის ქალს მშობლებმა და ნათესავებმა. ასტყდა ერთი განგაში და უბედურება, შეინძრა საზანოს თემი. სად უგვარო, მურტალი გლეხი და სად აბაშიძე! „ვინ ქებულიძე და ვინ მეცხვარე"! ასეთ შეურაცყოფას ვერ გადაიტანდა აბაშიძის ქალის ჭირისუფლები, კიდევ უფრო საბედისწეროთ იმოქმედებდა ეს მასწავლებელ აბაშიძის ქალის ფაქიზ ჯანმრთელობაზე. ის ამიტომ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ანტი-ტრადიციულ შეუღლების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში. ბრძოლის ფარგლები გაფართოვდა, დისკუსია ქორწინების შესახებ სკოლის კედლებშიაც გადავიდა. საქმეში გაეხვია სხვებიც, შედეგი აქედან ასეთია: აბაშიძის გვარი გაადარჩინეს სამუდამო სირცხვილისაგან, ქორწინება ჩაშალეს, ხოლო სკოლაში ოთხი მასწავლებელი სამკვდრო-სასიცოცხლოთ ჩამოშორდა ერთმანეთს..

ზოგჯერ ჩვენი სკოლები გარეგნულათ სავსებით ითვისებენ ახალ ცხოვრების ელფერს. შეხედავ კაცი შორიდან და გული სიამით აგევსება. მაგრამ ისეთ ადგილას წამოჰკრავს ძველი ჩვეულებები, სადაც სრულიადაც არ მოელი მათ. აი, მაგალითად, ზესტაფონის რკინისგზის სკოლა, რომელმაც გამართა საღამო მუშათა კლუბში. საღამო გაიხსნა ინტერნაციონალით და ინტერნაციონალითვე დამთავრდა. პროგრამაც მოხდენილად იყო შედგენილი და შესრულებული, მაგრამ, სიურპრიზი, ერთ-ერთი მოქმედებაში სცენაზე დაბინდდა, ჩირგვების ძირას ზის გლეხი და გულსაკლავად აკვნესებს სალამურს. გამოდის მოწაფე, ჯერ აუდიტორიას რევერანსით ესალმება და შემდეგ „პატარა კახი"-დან ამბობს შოვინიზმით მოზიმულ ლექსებს.

ვინ აუკრა ზესტაფონელ რკინისგზელის ბავშვს კეთილშობილთა ინსტიტუტის ჩვეულებები, ვინ ასწავლა რევერანსით მისალმება, ვინ დაავალა მას ასეთი დებიუტით გამოსვლა მუშურ-გლეხურ აუდიტორიის წინაშე?

ან კიდევ მეორე მაგალითი იმავე ზესტაფონის ცხოვრებიდან. არის აქ ცხრაწლედი; მოწაფეების საკმაო დიდი ნაწილი ამ სკოლაში კომკავშირლებია, გამგეც ძალიან ახლო სდგას პარტიასთან და ხელისუფლებასთან. ის გამოცდილი კაცია. და ასეთ სასწავლებელში მოწაფეები კითხულობენ რეფერატს შემდეგ თემაზე: „ქმუნვა და სევდა". რეფერატი, მთლიანად აგებულია რუსეთის გინებაზე. ეროვნულ სევდამ, საზოგადოებრივ პესიმიზმმა საქართველოში რუსეთის მჩაგვრელი პოლიტიკის გამო მოიკიდა ფეხი და ფართო გავრცელება ჰპოვა. ასეთია რეფერატის აზრი. არც ერთი სიტყვა არ არის დაძრული იმის შესახებ, თუ რომელ რუსეთზეა აქ ლაპარაკი, თითქოს განზრახ ურევენ ცარისა და საბჭოთა რუსეთს შორის თანასწორობის ნიშანია დასმული.

კიდევ უფრო ოსტატურად იქცევა ხარაგოულის ცხრაწლედის მასწავლებელი ვინმე დეკანოსიძე. ის მეფუტკრე გახლავთ და ამასთან ერთად ბზიკივით გესლიანი შოვინისტიც. მაგრამ არც ისე ბრიყვი ვინმეა, რომ აშკარათ გამოაჩინოს თავისი შხამიანი ისარი. ამიტომ ფრთხილად და წინდახედულად „მუშაობს". ასე ვთქვათ, კომპლექსიური მეთოდით მოქმედობს. შოვინისტურ იდეების პროპაგანდას და ფუტკარს ერთმანეთს უთანხმებს, თაფლსა და ზუზრულ გესლს ერთად ასაღებს.

არსებობს თურმე კავკასიის ჯიშის ფუტკარიც. ჩვენ აქ ამაზე დაობას არ დავიწყებთ, ეს სპეციალისტების საქმეა. მაგრამ გვეინტერესება, რა განსხვავებაა კავკასიელ ჯიშსა და, ვთქვათ, მაგალითად, ყირიმელ ან თურქესტანელ ფუტკარს შორის? ყირიმელი ან თურქესტანელი ფუტკარი კავკასიელ ფუტკარზე მეტს ან ნაკლებ თაფლს იძლევა, მეტს ან ნაკლებ გემოის ნაყოფს ამზადებს, დიდი ან უფრო პატარაა და სხვა? ვინ იცის, შეიძლება ყველაფერი ეს ასედაც არის, მაგრამ დეკანოსიძე ამგვარი წვრილმანების ახსნით თავს არ იცხელებს. მალე უყვარს შედარებები. პედაგოგიკაში შედარებითი მეთოდი დიდ პატივშია. და აი, დეკანოსიძეც მოკლეთ სჭრის საკითხს. „კავკასიის ჯიშის ფუტკარი ისე განსხვავდება სხვა ფუტკრისაგან, როგორც ქართველი ერი სხვა ერებისაგან"-ო, ასე უხსნის გაკვეთილს მოწაფეებს მეფუტკრე.

დეკანოსიძეს საერთოდ სჩვევია ასეთი სიბრძნეები არა მარტო მეფუტკრეობის დარგიდან. მისი მსოფლმხედველობის ჰორიზონტი უფრო ფართეა. მას თავისებური შეხედულება აქვს სიმდიდრეზე. აი, მაგალითად, როგორ ახასიათებს ის ვიღაც ვაჭარ მესხიშვილს გაკვეთილის დროს: „მესხიშვილი მენშევიკების დროს ხავსს სჭამდა, კაპეიკს კაპეიკზე აწებებდა და ისე იძენდა ქონებას. ეხლა კი ქონებას ვინ შეიძენს, ხვალვე ჩამოართმევენ. ამიტომაა, რომ ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის საქმე უკან მიდის"-ო.

სიმდიდრის აპოლოგეტებს მკვიდრად დაუბუდებიათ ხარაგოულის რაიონის სკოლებში. არის ამ რაიონში ერთ - ერთი ოთხწლედი, რომლის მოწაფეებიც სცემენ კედლის გაზეთს. გამოსცემ, ამაზე უკეთესი რაღა იქნება? მაგრამ რომ ჩვენი სიხარული ნაადრევი არ აღმოჩნდეს, საჭიროა ამ გაზეთის შინაარსსაც გავეცნოთ.

ჩვენში მეტად უყვართ ლექსების წერა. ბევრისთვის ეს სენი ავადმყოფობადაა გადაქცეული. აკვნიდანაც კი იწყებენ გარითმულ ტიტინს. რა გასაკვირველია, რომ ოთხწლედის მოწაფეებიც სწერდნენ ლექსებს. და ისინი მართლაც სწერენ: აი, ხსენებულ ოთხწლედის კედლის გაზეთში მოთავსებული ლექსი:

ზამთარი

ბარში თოვლი გვეწვია,
შეშა არ გვაქვს სახლშია,
ცივ ბუხარს შემოვსხდომივართ,
ვკანკალებთ ამ ზამთარშია.
ბუხარიც დანგრეულია,
ჩამოგუგუნებს ქარია,
ვახშმათ ლობიო შევჭამეთ,
სადილად გვქონდა ფხალია.
სიღარიბემ დაგვტანჯა,
აღარ ვართ ამის მეტია,
მდიდრები არ გვეხმარება (?)
სინდისი (?) არ აქვთ მეტია".

ვინ ჩაუნერგა ხარაგოულის რაიონის გლეხის ბავშს თავში ამგვარი სისულელეები? ნუ თუ დანგრეულ ბუხარის, ლობიოსა და ფხალის მეტი ვერაფერი შენიშნა მან დღევანდელ სოფელში? ვინ დასწამა ცილი მდიდრებს, ვინ უწოდა მათ უსინდისო? ნუ თუ ოთხწლედის ბავშმა, რომელიც პოეტობს კიდეც, არ უნდა იცოდეს, რომ საქართველოში დღეს მდიდრების სინდისს, ძალიან დიდი სინდისის პატრონიც რომ იყვნენ ისინი, არავინ უწევს ანგარიშს, რომ „სიღარიბისაგან დატანჯულებს" სათხოვარი არაფერი აქვთ მდიდრებთან? ან კიდევ მეორე მაგალითი, უკეთ „მარგალიტი".

იმავე ხარაგოულის მახლობლად, სოფელ ლაშე-ღვერკის ოთხწლედის გამგის ინიციატივით მოწაფეებმა სცენაზე წაიკითხეს ლექსები. ულექსოთ, არც აქ მოეწყო საქმე. აი ამ ლექსების თაიგულიდან ერთი დამახასიათებელი ტაეპი:

„კონტრაბანდა არ შემოდის
ლორიგანი და კოტი,
კიდეც ამიტომ შეგვექნა,
პურის ფქვილის კრიზისიო".

რა არის ეს? კონტრაბანდა გადაიქცა რაღაც თავისებურ სოციალურ ბოროტებათ. ჩვენ დაუზოგავად ვებრძვით მას. აქ კი ლაშე-ღვერკელი გლეხების ბავშები კონტრაბანდის პროპაგანდისტების როლში გამოდიან. რა იცის ლაშე - ღვერკელ ბავშმა ლორიგანი და კოტი? რატომ ხმას არ ამოიღებს მასწავლებელი, სად არის აქ საბჭოთა პედაგოგის ჯანსაღი გავლენა სკოლაზე?

კიდევ მაგალითი იმავე ლაშე - ღვერკის სკოლიდან.

ვახტანგ ორბელიანი ამბობდა: „ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა"-ო. და მართლაც, არსად ისე გავრცელებული არაა ეს ფეოდალური, ბატონყმური, მონური „ზრდილობა", როგორც შორაპნის მაზრაში. ის მაგრად ზის განსაკუთრებით ამ მაზრის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებაში. სიტყვა „ბატონო" ჩვეულებრივი ენის მასალაა აქ. „ბატონო", გაისმის თითქმის ყველა გზა-ჯვარედინზე. ექსპლოატაციის, ადამიანის ღირსების დამცირების, ფეოდალურ ურთიერთობის სინონიმს — „ბატონო"-ს, სამკვდრო - სასიცოცხლოდ ებრძვის ნამდვილ თავისუფლების, უთანასწორობასთან ბრძოლაში გამარჯვების, კულტურიოსნობის სინონიმი სიტყვა — „ამხანაგო".

სკოლის ადგილი ამ ბრძოლაში თითქო ყველასათვის გარკვეულია. ლაშე-ღვერკის ოთხწლედში კი, სხვანაირად ფიქრობენ. აქ სკოლის გამგის ინიციატივით მოწაფეები სცენაზე კითხულობენ ასეთ კუპლეტებს:

„იხლანდელსა მოწაფეებს
თავი ღმერთი გონია,
„ამხანაგო", თუ არ უთხარ,
შენ გონიხარ მტერიო"!

რა არის ეს გალექსილი სისულელე, თუ არ ძველ, თავად-აზნაურულ საზიზღარ იდეოლოგიის შემოპარვა ჩვენი სკოლის კედლებში? რა არის ეს, თუ არ „ბატონო"-ს მოციქულთა შემოტევა ახალ ყოფა - ცხოვრების, ახალ თანასწორ, კომუნისტურ დამოკიდებულების განმტკიცების წინააღმდეგ.

მაგრამ საქმე მარტო ამით როდი თავდება! თავად - აზნაურობის ტრადიციებს იშვიათი თავშესაფარი უნახავს ლაშე - ღვერკის სკოლაში. აქ მარტო სერიოზული საკითხებით არ კმაყოფილდებიან. ხანდისხან საჭიროა სიცილიც. ამიტომ, სოლომონ მეფის დროის მასხრული ოხუნჯობა ლაშე-ღვერკის სკოლასაც კარგათ შეუთვისებია.

„ეხლა უნდა გავათავო,
წასვლის დრო მოაწია.
ვინც ნათქვამისთვის დაგვძრახოს,
მას უჩვენოთ ბრაწია!

ასე ათავებს მოწაფე თავის ლექსს სცენაზე. ვინ არის ამგვარი კუპლეტების დამძრახავი და ვის უჩვენებენ „ბრაწს" ლაშე - ღვერკის სკოლის მესვეურნი თავიანთ ღირსეულ შეგირდის სახით, ეს, ვფიქრობთ, აშკარაა. მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს ერთი რამ, როგორ რჩება ასეთი ხალხი დღემდე შეუმჩნეველი, როგორაა, რომ მათ სათანადო ორგანოებმა მართლაც ვერ უჩვენა დღემდე „ბრაწი"?

ვათავებთ იმით, რითაც დავიწყეთ. ჩვენ ვებრძვით ბიუროკრატიზმს, ყოველი სახის აშკარა და ფარულ ბოროტმოქმედებას, ჩვენ ვებრძვით ძველი რეჟიმისაგან მემკვიდრეობით ნაანდერძევ ტკივილებს. საჭიროა ვიფიქროთ, იმაზე, რომ ეს ტკივილები არ განმტკიცდეს, საჭიროა ვიზრუნოთ ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდა - განვითარების უფრო სწორ და საღ ნიადაგზე დაყენებისათვის.

დავ. კომახიძე.

რა გამოირკვა

(ც. ს. კომისიის მასალებიდან)

27 მაისს გაზ. „კომუნისტ"-ში მოთავსებული იყო წერილი: „ბიჭო გრიგოლი"-ს სათაურით.

ამ წერილის გამო ც. ს. კ. მოახდინა საჭირო კვლევა-ძიება და აღმოაჩინა, რომ ყველა ის წერილები, რომლებიც „კომუნისტ"-ში იყო გამოქვეყნებული მართლაც გაუგზავნიათ გაზეთში დასახელებულ პირების შრომის ბირჟაში ამხ. თალაკვაძისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს არც ერთი წერილში დასახელებული პირი არ გაუგზავნია სამსახურში. გაუგზავნია მხოლოდ ერთი მოქ. სირაძე, მაგრამ ისიც არა ვისიმე წერილის გავლენით, არამედ კანონიერ ფარგლებში.

რაც შეეხება საპროტექციო წერილ-ბის ავტორებს, ა. ზაქარაძეს, ა. [illegible]შვილს, ნ. გამყრელიძეს, და მ. გერ. მეგრელიშვ ს. თე[illegible]შვილს და გ. [illegible] მათ გამოეცხადათ სასტიკი საყვედური გაფრთხილებით.

პარტიული ცხოვრება

საშ. სკოლებში გასაგზავნ ახალგაზრდობის შერჩევა

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომ. და ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

იმ კამპანიასთან დაკავშირებით, რომელიც ტარდება სამხედრო სასწავლებლების შესავსებათ საქართველოს ცაკთან დაარსებულია ცენტრალური მიმღები კომისია.

კომისიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს — სამხედრო სკოლებში გასაგზავნ კანდიდატების შერჩევა. კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად საჭიროა ავტონომიურ რესპუბლიკებმა ცაკმა და აღმასკომებმა დაარსონ ადგილობრივი მიმღები კომისიები, რომელთა შემადგენლობაშიაც შევლენ: ცაკის ან აღმასკომის თავმჯდომარე, პარტკომის სააგიტ.-საპროპ. განყ. გამგე; ლ. კ. კ., პროფკავშირის, თავდაცვა-ავიაქიმის ხაზ.ბის და ჯარის ნაწილის წარმომადგენლები. მიმდინარე წელს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულია საპასუხისმგებლო ამოცანა. სამხედრო სკოლებში გასაგზავნთა შორის მუშები უნდა შეადგენდენ 50 პროც. მაინც.

ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მიმღებ კომისიების მუშაობას ისეთ რაიონებში, როგორიცაა ფოთი, ბათომი, ხაშური და თბილისი, სამტრედია; ქიათურა.

ადგილობრივ მიმღებ კომისიებმა უნდა გაითვალისწინონ ის გარემოებაც, რომ სამხედრო სკოლებში მიიღებიან ისეთი მუშები და გლეხები, რომელთაც ნათლად და გარკვევით აქვთ წარმოდგენილი თავისი მომავალი მუშაობა, სრულის შეგნებით ეკიდებიან სამხედრო ცოდნის შეძენის საქმეს, და მიაჩნიათ ეს უკანასკნელი თავის ნამდვილ პროფესიად.

სამხედრო სკოლაში შესვლის მსურველთა შერჩევა უნდა დაიწყოს დაუყონებლივ; საჭიროა:

ა) მტკიცე კავშირის დამყარება მიმღებ კომისიებსა და პარტკომებთან დაარსებულ კომისიებს შორის, რომლებიც არჩევენ კანდიდატებს მუშფაკებს, პარტსკოლებისა და სხ. სასწავლებლებისთვის, რათა ამ კომისიების რეზერვიდან შესდგეს სამხედრო სკოლებისთვის გამოსადეგი კონტინგენტი;

ბ) ჩატარდეს გადარჩევა სამოქალაქო სკოლების გამოსაშვებ კლასებში იმ მოსაზრებით, რომ საშუალო სკოლის დასრულება საგრძნობლათ აადვილებს სამხედრო სკოლაში მიღების და მასში სწავლების საქმეს;

გ) მოეწყოს მოხსენებები სამრეწველო წამოწყებებში და სოფლის ღარიბთა შორის—სამხედრო სკოლების როლისა და ჩასატარებელ კამპანიის მნიშვნელობის შესახებ (ადგილობრივ პრესაში გაშუქებასთან ერთად).

ადგილობრივ მიმღებ კომისიებმა უნდა იხელმძღვანელონ „მივლინებულ" კანდიდატების თანდართულ განაწილებით, და არავითარ შემთხვევაში არ გაადიდონ მათი რიცხვი.

როგორც „მივლინებული", ისე წარგზავნილი" კანდიდატები გამოცდების დროს, რომელიც ტარდება თბილისში, იმყოფებიან ცენტრალურ მიმღებ კომისიის ხარჯზე.

შენიშვნა: ა) „მივლინებულებათ" ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც შერჩეული არიან ადგილობრივ მიმღებ კომისიების მიერ დაიგზავნებიან გამოცდებზე სამხედრო უწყების ხარჯზე (უფასო ლიტერებით, რომელსაც ღებულობენ ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებიდენ).

ბ) „წარგზავნილებად" ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც შერჩეული არიან ან ადგილობრივ მიმღებ კომისიების მიერ დაიგზავნებიან მისაღებ გამოცდებზე საკუთარ ან და აღმასკომების ხარჯზე (მათ ეძლევათ ფული და შეღავათიანი სამგზავრო ბილეთები).

გ) თუ სკოლაში მისაღები კანდიდატები იგზავნებიან აღმასკომების ხარჯზე, ადგილობრივ მიმღებ კომისიებმა უნდა გაიღონ მათი უკან დასაბრუნებელი ხარჯიც. ვინაიდან მიუღებლობის შემთხვევაში ცენტრალური კომისია მათ არ მისცემს არც შეღავათიან სამგზ. ბილეთს, და არც ფულს.

1. საარტილერიო (ქ. ტაშკენტი) და საკავალერიო (ქ. კრასნოდარი) სკოლებში მივლინებული და წარგზავნილი კანდიდატები უნდა იყვნენ მისაღებ გამოცდებზე ქ. თბილისში ა. წ. სექტემბრის პირველს.

2. ამიერ-კავკასიის ფეხოსანთა სკოლაში (ქ. თბილისი) სექტემბრის 12.

ადგილობრივ მიმღებ კომისიებმა შერჩევა უნდა აწარმოონ განრიგებაში აღნიშნული სკოლებისათვის და იხელმძღვანელონ ნაჩვენები ნორმით.

სამხედრო სკოლებში წარგზავნილი ყველა კანდიდატები, გამოცდებს გაითვლიან ამიერკავკასიის ფეხოსანთა სკოლაში (ქ. თბილისი), რისთვისაც ისინი უნდა ჩამოვიდნენ ზემოაღნიშნულ ვადებისათვის. აქედან რასაკვირველია, არ შეიძლება დასკვნის გამოყვანა, რომ თითქოს შეიძლებოდეს ისეთ კანდიდატების გამოგზავნა, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს საერთო განვითარების მხრივ. პირიქით, მიმღებ კომისიებმა, სახელმწიფო თანხების ზედმეტი ხარჯვების თავიდან აცილების მიზნით, მტკიცეთ უნდა დაიცვან მიღების პირობები.

სამხედრო სკოლებში უფრო ღირსეულ კონტინგენტის მიღების გასაადვილებლად, ადგილებმა დაუყოვნებლივ უნდა მოაწყონ გამოყოფილ და წინასწარ შემოწმებულ კანდიდატების მოსამზადებელი მეცადინეობა. ასეთი მეცადინეობის აქტიურ მონაწილეთ და ხელმძღვანელებად მიწვეულ უნდა იქნენ ადგილობრივი ორგანიზაციები — თავდაცვა-ავიაქიმი, სახალხო განათლების განყოფილება და ის სკოლები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოყოფენ სამხედრო სკოლის კანდიდატებს.

ეს მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს ადგილობრივ პოლიტგანის ორგანოებისა და ნაწილობრივ თვით კანდიდატების ხარჯზე.

რათა სამხედრო სკოლებში „მივლინებულ" და „წარგზავნილ" კანდიდატების რიცხვში არ მოჰყვნენ ისეთი პირები, რომელთა ფიზიკური მხარე ვერ აკმაყოფილებს სამხედრო სკოლებში მიღების პირობებს, ადგილებმა მათ მიერ შერჩეული კონტიგენტი უნდა გაატარონ საექიმო კომისიებში.

სამხედრო სკოლებში „მივლინებულ" და „წარგზავნილ" კანდიდატების სია ადგილებმა უნდა გადმოგზავნონ ცენტრალურ მიმღებ კომისიაში (ქ. თბილისი—საქ. ც. ა. კ.). არა უგვიანეს ა.-წ; აგვისტოს პირველისა.

მიღების პირობები დაგზავნილი იქნება დამატებით.

საქ. კ. პ. (ბ) ცკას მდივანი: ლოლოგბერიძე.
ცკას საგიტ.-საპროპ. განყ. გამგე: ს. მამულია.

საქ. კ. პ. (ბ) ცკას მომართვის დამუშავება თბ. ორგანიზაციაში

ერთი შეცდომა 2.000 მანეთი დაჯდა

(რკ. გზ. სამმართველოს უჯრედი)

ღია კრებას ხსნის ამხ. ხაჩატუროვი. საქ. კომპარტიის ცკას უკანასკნელი მიმართვის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. ქავთარაძეს. მომხსენებელი დაწვრილებით აშუქებს თვითკრიტიკის ლოზუნგის მნიშვნელობას და ფართედ უმარტავს აუდიტორიას ცკას მომართვის თვითეულ მუხლს.

კამათში გამოსულ ამხანაგებს მოჰყავთ ბიუროკრატიზმისა და უყაირათობის მრავალი ფაქტი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამხ. მირონოვის გამოსვლა. „რკინის გზის სამმართველოს საკავშირო ნაწილში—ამბობს ორატორი,—ს.-ტელეფონო კავშირის მოწყობის დროს გაიყვანეს ორი მიწის ქვეშა ხაზი—ერთი შინაური და ერთიც—სხვა დაწესებულებებთან შემაერთებელი.

როდესაც მუშაობა დაამთავრეს, გამოირკვა, რომ ადგილი ჰქონია „პატარა" შეცდომას—ვეღარ გაიგეს, რომელი იყო შინაური და რომელი „საგარეო". ამას შემდეგ იძულებული გახდენ გაეყვანათ მესამე ხაზი, რაც 2000 მანეთზე მეტი დაჯდა. ამგვარად ერთი წინდაუხედაობა რკინის გზას 2000 მანეთი დაუჯდა.

ს—ა

საზღვევის „ეკონომია"

(საზ. დაზღვევის უჯრედში)

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს კომუჯრედის ღია კრებაზე, სადაც დაესწრო თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა განხილული იქნა საქ. კომპარტიის ცკას მიმართვა პარტიის წევრების და მშრომელებისადმი. მომხსენებელმა ფართოთ გააშუქა თვით-კრიტიკასა და მასების კონტროლის მნიშვნელობა სახელმწიფო აღმშენებლობაში.

საკითხის ირგვლივ გაიმართა ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 8 ამხანაგმა.

პირველი ორატორი შეეხო ტრამვაის აბონემენტების მოხმარების წესებს, და აღნიშნა რომ საზღვევის ზოგიერთ თანამშრომელს ხშირი მიმოსვლა უხდება სამსახურის საქმეებზე. ტრამვაის ბილეთებით სარგებლობისათვის კი საჭიროა წერილობითი ანგარიშის წარდგენა (სად იმგზავრა, როდის, რა საქმეზე და სხვა), ამ ანგარიშის შედგენა იმდენად ძნელი და უხერხულია, რომ ბევრი თანამშრომელი არჩევს ფეხით სიარულს და უარს აცხადებენ ბილეთებით სარგებლობაზე. შედეგი კი არის ის, რომ უნაყოფოდ იხარჯება დრო და საქმე ზარალობს, ტრამვაის აბონემენტების ღირებულებაზე ათჯერ მეტს.

მეორე ორატორი შეეხო დაწესებულების ბინის უვარგისიანობას და აღნიშნა, რომ დაწესებულების განყოფილებები მოთავსებულია სხვადასხვა სართულებში, რაც ამცირებს შრომის ნაყოფიერებას და იწვევს ზედმეტ ხარჯებს.

მესამე ორატორი მოითხოვს უზრუნველყოფილ იქნეს ახალი კადრის მომზადება.

დანარჩენი ორატორები ეხებიან სხვადასხვა საკითხებს, და მოითხოვენ, რომ პერიოდულად, ყოველ თვეში ერთხელ, იწვევოდეს ასეთი საქმიანი კრებები.

დასასრულ კრებამ ეკონომკომისიას დაავალა კრებაზე გამომჟღავნებულ ყველა ნაკლის შესწავლა და საჭირო ღონისძიებების გატარება მის აღმოსაფხვრელად.

დამსწრე.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი, 30 ივნისი. 3 ივლისს იხსნება საქართველოს კომპარტიის (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

დღის წესრიგშია: მოხსენება აფხაზეთის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას პლენუმების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით; ამხ. ლაკობას მოხსენება სამეურნეო ნაკლოვანებათა შესახებ. (ადს).

ბიუროების გადარჩევის შედეგები

1-ლ ქართულ დივიზიაში

(ქუთაისი)

პოლიტგანყოფილებამ ნაწილებში კამპანიის დაწყებამდე დაგზავნა საინსტრუქციო წერილები და შემდეგ რაც მთავარია, სადაც მოსახერხებელი იყო ცოცხლად ხელმძღვანელობას უწევდა ბიუროს გადარჩევებს.

მოსამზადებელ მუშაობის დროს ფართედ გაშუქდა საკითხი ბიუროების ამოცანების შესახებ. ამ საქმეში მიზიდული იქნა კომკავშირის ორგანიზაცია და უპარტიო მასაც.

პარტორგანოების მუშაობის გაშუქება დაკავშირებული იყო ნაწილების სამხედრო პოლიტიკური სასწავლებლის და აღმშენებლობის საკითხებთან., მაგალითად—პარტბიუროების გადარჩევის დროს, დღის წესრიგში ისმებოდა მოხსენებები ნაწილის საომარი მომზადების შესახებაც.

ასევე შეიძლება ითქვას კომკავშირის ჯგუფების გადარჩევაზე, კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად ეხებოდენ „კაზიონშჩინის" წინააღმდეგ ბრძოლასა და წ. არმიელების ლენინურად აღზრდის საკითხებს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პრესა (როგორც ადგილობრივი კედლის გაზეთები,ისე გაზეთ „წ. არმიელი") სუსტად აშუქებდა ამ კამპანიას. ერთ-ერთი ნაკლი იყო კიდევ ის, რომ პარტ და კომკავშირის ბიუროების გადარჩევის ერთად ჩატარებამ შეასუსტა პარტიის ხელმძღვანელობა კომკავშირის გადარჩევებზე.

მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიუროებში მეტი მუშური ელემენტების გაყვანას.

ამჟამად ბიუროებში სულ არჩეულია 119 კაცი, აქედან: 42 მუშა, 51 გლეხი, დანარჩენი კი მოსამსახურე.

ს. გეგია.

თბილისის კომიტეტში

მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის

ს.კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა გამოიკვლია ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობა ყარაიის, სართიჭალის, ასურეთის და ზარმაქსიზის რაიონებში: გამოკვლევა შეეხო თურქებს; გერმანელებს, რუსებს, ბერძნებს, ოსებს, ასირიელებს და ნაწილობრივ სომხებსაც.

გამოკვლევის საფუძველზე დამუშავებულია მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები, რომლებშიაც უმთავრესად გათვალისწინებულია: მიწათ-მოწყობის საკითხის მოგვარება; პოლიტ-განათლების ქსელის გაფართოება ეროვნულ უმცირესობათა შორის; საბიუჯეტო თანხების გადიდება ეროვნულ უმცირესობათა სკოლებისათვის; ლექციების ჩატარება ყოფაცხოვრების, რელიგიურ, სანიტარიის და სხვა საკითხებზე; ეროვნულ უმცირესობათა საუკეთესო ნაწილის ჩაბმა პარტიაში და კომკავშირში და სხვა.

მუშათა ცხოვრება

შვებულთა შორის მუშაობის შესახებ

სოფლის და ქალაქის კავშირის საზოგადოების ამ დღეებში დასრულებულმა საქალაქო კონფერენციამ, მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები წამოაყენა აღნიშნულ საზოგადოების წინაშე, ამ საკითხთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შვებულებაში მიმავალ მუშებ შორის მუშაობა. კონფერენციის მოწვევამდე ეს საკითხი ვერ იყო სერიოზულად მოგვარებული, არც კონფერენციის შემდეგ არის მაინც და მაინც შვებულთა შორის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, მაგრამ საშეფო უჯრედების მუშაობის ამ დარგში, ერთგვარი გამოცოცხლება მაინც დატყობა. ეს რასაკვირველია არ კმარა საკმარისი. სოფლისა და ქალაქის კავშირის საზოგადოების უჯრედების მუშაობა ამ მხრივ უფრო გაცხოველებული ტემპით უნდა მიმდინარეობდეს.

რა უშლის ხელს შვებულთა შორის მუშაობას? ამაზე ბევრი რამ ითქვა საზოგადოების საქალაქო კონფერენციაზე, მაგრამ შვებულთა შორის მუშაობის ხელის შემშლელი მიზეზები მაინც ვერ იყო სავსებით გაშუქებული.

მთავარი მიზეზი, რაც უშლის ხელს შვებულთა შორის მუშაობას, ეს არის შვებულებაში წამსვლელთა მუდმივი წრეების უქონლობა წარმოება-დაწესებულებებში. ბევრ ადგილას შვებულთა შორის მუშაობას შემთხვევითი ხასიათი აქვს. შვებულებაში მიმავალ მუშებს თავს მოუყრიან და აწარმოებენ მათთან ბაასს მხოლოდ შვებულებაში წასვლის წინა დღეებში.

ასე მაგალითად პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბაში, აქ არ არსებობს შვებულებაში წამსვლელთა მუდმივი წრე. შვებულებაში მიმავალთა შორის მუშაობა გამოიხატება იმაში რომ შვებულებაში წასვლის წინა დღით მოუყრიან თავს მუშებს და აძლევენ დარიგებებს ამ თუ იმ სოფლის მეურნეობასთან და გლეხების ყოფა - ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ. ასეთივე მდგომარეობაა სხვა დაწესებულებებშიც. შვებულთა შორის მუშაობის ამოცანა კი მარტო ამით არ ამოიწურება. არ კმარა მარტო ერთხელ მოხსენების გაკეთება და საუბრის ჩატარება შვებულებაში მიმავალთა შორის. ამ მუშაობით, საშეფო უჯრედები ორ დიდ სიკეთეს აკეთებენ, ერთის მხრივ აძლიერებენ კავშირს სოფელსა და ქალაქ შორის და მეორეს მხრივ თვით მუშების კულტურულ დონესაც სწევენ მაღლა. ამიტომ ერთხელ ჩატარებული მოხსენებით, ვერც მუშების კულტურულ დონის ამაღლებაში და ვერც სოფლისა და ქალაქის კავშირის განმტკიცებაში. ბევრს ვერაფერს გავაკეთებთ. საჭიროა მთელი შვებულების სეზონის განმავლობაში შვებულთა შორის მუშაობის წარმოება.

ამისათვის კი აუცილებელი საჭიროა ყველა წარმოება-დაწესებულებებში დაარსდეს შვებულთა მუდმივი წრე, რომელშიაც განსაზღვრულ დღეებში იწარმოებს მუშაობა. ამ წრეების ჩამოყალიბება უნდა იკისრონ ფაბკომ-ადგილკომებმა და თვით საშეფო უჯრედებმა. მხოლოდ ასეთი საშუალებით შეიძლება შვებულთა შორის მუშაობის გაცხოველება და სოფლისა და ქალაქის კავშირის განმტკიცება.

პროლეტარი.

„შინაურულად"

შრომის კანონთა კოდექსის 114 მუხლის თანახმად, ყველა გონებრივ მომუშავეთ უნდა მიეცეს ორი კვირის შვებულება. ეს წესი სწორად და უცვლელად ტარდება რკინის გზებზე, მაგრამ აქ აღსანიშნავია ერთი უწესობა, რომელსაც ადგილი აქვს რკინის გზებზე, შვებულების მიღების დროს.

რკინის გზაზე ჯერ კიდევ ბევრი მოგვეპოვებიან ისეთი ადმინისტრატორები, რომლებიც შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებულ ორი კვირის შვებულებას არ ჯერდებიან, მათ სურთ უფრო ხანგრძლივი შვებულების მიღება, რომ საშუალება მიეცეთ ამ ზაფხულზე სადმე პროვინციაში გაისეირნონ და უდარდელად იცხოვრონ აგარაკზე. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ერთი განცხადება, რომელსაც ექსპლოატაციის დარგის ერთი ადმინისტრატორი აძლევს რკინის გზის გამგეობას.

განცხადებაში აღნიშნულია, შემდეგი: „ვგრძნობ დიდ დაღლილობას. ექიმები მირჩევენ კისლოვოდსკში წასვლას... „დამატებითი" შვებულებით არ მისარგებლია... ამიტომ გთხოვთ მომცეთ „დამატებითი" შვებულება ჯამაგირის „შენახვით". თხოვნას არ ახლავს არც საექიმო უწყების მოწმობა, არც ცნობა და არც სხვა რაიმე საბუთი.

უნდა აღინიშნოს, რომ „დამატებითი" შვებულების მიცემა, გონებრივი მუშაკებისათვის შრომის კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული, მაგრამ როგორც ჩანს ამ პატივცემულ სპეცს განზრახული ჰქონია შრომის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა „შინაურულად", „ძმა-ბიჭურად" და აი, რკინის გზის გამგეობამაც აღნიშნული თხოვნა „ძმაბიჭურად" დააკმაყოფილა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა მიაქციოს ყურადღება და მიიღოს ზომები, რათა შემდეგში აღარ განმეორდეს მსგავსი მოვლენები.

უცნობი.

შეცდომა უნდა გამოსწორდეს

(შრომის კომისარიატის საყურადღებოდ)

ყველა დარგის ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეებს უფლება აქვთ უქმე დღეების წინ, ორი საათით ადრე შესწყვიტონ მუშაობა, ჯამაგირის შენახვით. ეს უფლება მუშებმა ბრძოლით მოიპოვეს, და დღემდე მტკიცედაც ტარდებოდა ცხოვრებაში, მაგრამ პოლიგრაფტრესტმა ეს წესი რატომღაც ერთი კალმის მოსმით მოსპო. ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების მე-29 პარაგრაფით უქმების წინა დღეებში შეუმოკლებელ სამუშაო საათების ხელფასის დამატებითი გაცემა არ უნდა სწარმოებდეს.

პირველად მუშები ყურადღებას არ ექცევდნენ ამას, რადგან ეს უბრალო გაუგებრობა ეგონათ, მაგრამ როდესაც ჯამაგირიდანაც იწყეს გამოქვითვა, მაშინ კი ყველამ ყურები ცქვიტა. ეხლა ორი საათის ხელფასის გამორიცხვა სისტემატიურად სწარმოებს.

საჭიროა მბეჭდავთა კავშირმა აღძრას საკითხი ხელშეკრულების ამ მუხლის ხელმეორედ განსახილველად. შრომის კომისარიატმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

ასოთ-ამწყობი.

საწარმოო თათბირი

(ნაფარეულის სახალხო მამული)

ნაფარეულის სახალხო მამულში, დღემდე საწარმოო თათბირის მუშაობა ძალზე მოიკოჭლებდა, იშვიათად ხდებოდა თათბირები და თუ ხდებოდა,იმ შემთხვევაში მუშების ძალიან მცირე ნაწილი ესწრებოდა. დღეს ეს ასე აღარ არის; საწარმოო თათბირის მუშაობა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა ამის წინაზე, საწარმოო თათბირს დაესწრო მუშების მთელი შემადგენლობა. თათბირზე მამულის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა მოქ. ბ. მაჭავარიანმა, რომელიც შეეხო ტყის მოშენების, მის მოვლას, შემდეგ ღვინის დამზადების და ვენახის გაფართოების საკითხებს.

მოხსენების შემდეგ მუშებმა აურაცხელი შეკითხვები მისცეს მომხსენებელს. შეკითხვები უმთავრესად შეეხებოდა წარმოების გაუმჯობესებისა და მუშების ყოფა-ცხოვრების. უნდა ითქვას, რომ მომხსენებელმა მუშების ვერც ერთი კითხვა ვერ დააკმაყოფილა.

კამათში გამოსულმა მუშებმა მიუთითებდნენ მომხსენებელს ადმინისტრაციის საქმიანობაში აღმოჩენილ ნაკლოვანებაზე და მოითხოვდნენ მის გამოსწორებას. ორატორების აზრით ხშირია შემთხვევა, როდესაც სულ ტყუილა უბრალოდ იხარჯება წამალი და სცდება რამოდენიმე მუშა, რასაც დიდი ზარალი მოაქვს მამულისათვის. გარდა ამისა ყოფ. დიდზურაბის ვენახში უნდა ყოფილიყო 7 მუშა. მუშაობდა კი 14.

დასასრულ კრებამ მამულის ადმინისტრაციის მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად და დაავალა გამოსასწორებლად კრებაზე აღნიშნული ნაკლოვანებანი.

შავსოფლელი.

დამნაშავენი არ ისჯებიან

სადგურ თბილისის რკინის გზის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გამგე მოქ. ციბაძე კანონიერად არ იქცევა. ამის წინად ჯულფის ხაზის საფოსტო ვაგონის გამგემ—ცატუროვამ ჯულლეგრაფის კანტორის გამგე მოქ. ციბაძე არ იქცევა კლბთრდ სუვოზე კლბთრდ კლბთრდ ფაში ჩასაბარებელი ამანათები, რიცხვით 14 ცალი დანიშნულებისამებრ არ ჩააბარა და დატოვა საფოსტო ვაგონში, რომელიც ორი კვირის შემდეგ იპოვეს სავაგონო ფარეხში მდგარ ვაგონში. ამ გვარად აღნიშნული ამანათები 12 დღის დაგვიანებით გადაიგზავნა დანიშნულებისამებრ. საქმისადმი ასეთ დაუდევრობისათვის, ციბაძემ სიტყვიერი შენიშვნაც კი არ მისცა ცატუროვს.

თანამშრომელ კიბორძალიძეს გზიდან ჩამოუტანეს ერთი პატარა ამანათი, რაშიც ციბაძემ გადაახდევინა ორმაგი გასაგზავნი ღირებულობა, იმ დროს, როდესაც თითონ ციბაძემ, ქუთაისიდან თბილისში საფოსტო ვაგონით აურიცხელი ოჯახის ნივთები ჩამოიტანა უფასოდ როგორც თავისი, აგრეთვე თავის ძმა ბიჭის ყოფილ უფროს ინსპექტორ შავგულიძესი. ამის შესახებ ადგილობრივ კედლის გაზეთშიც დაიწერა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

ციბაძემ ქუჩიდან მოიყვანა ვინმე ტრაპაიძე. არა კავშირის წევრი და საფოსტო საქმის არმცოდნე და ჩარიცხა შტატში. ეს კომბინაცია მოწყობილი იყო ტრაპაიძეს ძმის მიერ, რომელიც იმ ხანებში დიდი კაცი იყო მთავარ ფოსტის კანტორაში.

მეფურნიშვილმა, დიდი მუშაობის გამო, კლიენტს ერთ ჩერვონეცის მაგიერ გადააყოლა სამ ჩერვონეციანი, რაზედაც ციბაძემ შეუდგინა მას არასწორი ოქმი, თითონ ციბაძემ კი ფოსტალიონ კახიანს 5 მან. მაგიერ გადააყოლა 14 მანეთი. გარდა ამისა ციბაძემ ოჯახის საჭიროებისათვის მორიგე თანაშემწე მეფურნიშვილს, სალაროდან გამოართვა სახაზინო ფული და წინადადება მისცა მას ეს ფული არ გაეტარებინა იმ დღის ბრუნვათა კრებულში.

ჯერ-ჯერობით ეს ფაქტები საკმარისია სად. თბილისის რკ. გზის ფოსტა-ტელეგრაფის გამგის მოქ. ციბაძის ბოროტმოქმედების დასახასიათებლად. დანარჩენ მაგალითებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია თითონ მოსძებნის.

ქუთაისელი.

მუშა და გლეხ კორესპონდენტის კუთხე

ჩვენი განყოფილება

დღეიდან ჩვენს გაზეთში შემოღებული იქნება მუშა და გლეხ კორესპონდენტთა ცალკე კუთხე. მისი დანიშნულებაა მუშგლეხკორთა მოძრაობის სპეციალური საკითხების გაშუქება.

უკანასკნელ წლებში მუშგლეხკორთა მოძრაობა ჩვენში მნიშვნელოვნად გაიზარდა. არის მთელი რიგი მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობის სპეციფიური საკითხები, რომლენიც დღემდე თითქმის სრულიად გაუშუქებელი რჩება, რადგან ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობს ცალკე პერიოდული გამოცემა, რომელიც იკისრებდა ამ ამოცანას. ეს კი დიდი ნაკლია.

კერძოთ ჩვენი განყოფილების მიზანს შეადგენს, მიაწოდოს ადგილობრივ კორესპონდენტებს ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ და რაზე უნდა იწერებოდეს კორესპონდენციები. ამასთან ერთად მუშა და გლეხ კორესპონდენტთა განყოფილებაში გაშუქებული იქნება კედლის გაზეთების ორგანიზაციისა და გამოცემის საკითხები. არა ნაკლები ადგილი დაეთმობა განყოფილებაში მუშა და გლეხ კორესპონდენტთა საორგანიზაციო საკითხებსაც, ადგილობრივ წრეების, კრებების და კონფერენციების მუშაობას და ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთების რედაქციების ხელმძღვანელობას მუშგლეხკორთა მოძრაობაზე.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მუშგლეხკორთა დევნის საკითხებს. ჩვენ ვიცით, რომ მუშგლეხკორთა დევნა არც თუ ისე იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს. მართალია, აშკარა თავდასხმებისა და ფიზიკურად შეურაცხყოფის შემთხვევები უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ აკლო მუშგლეხკორთა დევნამ. ის კვლავ გრძელდება, ოღონდ ფარული სახით, უფრო მოხერხებული ფანდებით. ჩვენ უნდა ვეცადოთ მუშგლეხკორთა დევნის არც ერთი შემთხვევა არ დაგვრჩეს შეუმჩნეველი.

სააშკარაოზე უნდა იქნას გამოყვანილი და სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ყველა ის, ვინც სდევნის და ავიწროვებს მუშა და გლეხ კორესპონდენტს.

თავისთავად ცხადია, მუშგლეხკორთა განყოფილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებს წარმატებით თავის მოვალეობას, თუ ყველა იმ საკითხების დამუშავება - განმარტებაში, რომელიც წამოყენებულია განყოფილების მიერ, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ თვით მუშა და გლეხი კორესპონდენტები.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მუშგლეხკორთა მასა, ისე როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც გაამართლებს იმედებს.

ვემზადოთ მეოთხე საკავშირო თათბირისათვის

თათბირის ამოცანები

უკვე ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მოწვეული იყო მუშკორების, გლეხკორების, სამხკორების და აბკორების მე-3 საკავშირო ყრილობა. მუშგლეხკორთა მოძრაობამ დიდი გამოცდილება მიიღო ამ ხნის განმავლობაში (საზოგადოებრივი შემოწმებანი, ქარხნის ბრძოლითი გაზეთები, ცეხების გაზეთების ზრდა, მუშაობა მკითხველებს შორის, ფოტოკორობის განვითარება და სხვა). ჩვენ ეხლა შევედით ჩვენი მშენებლობის ისეთ პერიოდში, როცა მუშგლეხკორთა მოძრაობას, როგორც საშუალებას მუშათა და გლეხთა ფართო ფენების დასაახლოვებლად პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებასთან, მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა. აპარატის რაციონალიზაცია, თვითღირებულების შემცირება აპარატის გაუმჯობესება, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, თვითკრიტიკის განვითარება, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ყველა სხვა მორიგი ამოცანები მოითხოვს, რომ უდიდესი ყურადღება მიექცეს პროლეტარიატის ფართო ფენების აქტიურ მონაწილეობას ჩვენს მშენებლობაში. ამ საქმეში მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევდა და შეიძლება გაგვიწიოს მუშგლეხკორთა მოძრაობამ.

ამიტომ ეხლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჯამი გავუკეთოთ მუშგლეხკორთა მუშაობის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მუშგლეხკორთა ყურადღება მივაქციოთ პარტიის მე-15 ყრილობის მიერ მუშათა კლასის წინაშე დასმულ მორიგ ამოცანებზე, და მივსცეთ პრაქტიკული მითითებანი კედლის გაზეთების, წრეების და მუშგლეხკორთა შემდგომი მუშაობისათვის. ამისათვის „პრავდა"-ს და „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტ"-ის რედაქციამ დაადგინა ამ წლის ოქტომბერში მოწვეულ იქნას მუშკორთა, გლეხკორთა, სამხკორთა და აბკორთა თათბირი.

რედაქციამ, გაითვალისწინა რა წარსულ თათბირის გამოცდილება, გადაწყვიტა მე-4 თათბირის მზადება იმგვარად, რომ:

1) უზრუნველყოფილ იქნას თათბირში მონაწილეობა ყველაზე უფრო აქტიური მუშკორების, გლეხკორების, სამხკორების და აბკორების მხრივ, რომლებიც კედლის გაზეთების ნამდვილი მონაწილენი არიან.

2) წარმოებულ იქნას მასიური მზადება თათბირისათვის, რათა ამ თათბირმა ხელი შეუწყოს კედლის გაზეთების და წრეების გამოცოცხლებას და მუშათა და გლეხთა სულ უფრო და უფრო ფართო ფენების ჩაბმას ამ მოძრაობაში.

3) უზრუნველყოფილ იქნას საკავშირო თათბირზე აღნიშნულ გამოცდილებათა გადატანა წარმოებებში და სოფლებში.

თათბირზე გაიგზავნებიან საუკეთესონი

ამისათვის რედაქცია ძირიან-ფესვიანად სცვლის სრ. საკავშირო თათბირის მოწვევის დღის წესრიგს. მე-4 საკავშირო თათბირზე წარდგენილი იქნებიან საუკეთესო კედლის გაზეთების და მუშგლეხკორთა წრეების. წრეები და კედლის გაზეთები, რომლებიც წარსულ მუშაობაში და უმთავრესად უახლოესი თვეების განმავლობაში გამოიჩენენ მეტ ენერგიას, ინიციატივას და აქტობას, ფართოდ განავითარებენ მუშაობას, კედლის გაზეთებში და წრეებში მონაწილეობას მიიღებენ მუშათა და მუშა-ქალთა ან გლეხთა და გლეხქალთა რაც შეიძლება მეტ რაოდენობას, და იქნებიან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საუკეთესო თანაშემწენი მორიგ ღონისძიებათა გატარებაში,—ასეთ წრეებს და კედლის გაზეთებს მიეცემათ უფლება აირჩიონ დელეგატები და უშუალოდ გაგზავნონ ის მუშგლეხკორთა მე-4 საკავშირო თათბირზე.

იმ მიზნით, რომ გამოირკვეულ იქნას, თუ რომელი წრეები და კედლის გაზეთები არიან საუკეთესო, ადგილობრივი პარტორგანოების და გაზეთების ხელმძღვანელობით, „პრავდა"-ს და „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტ"-ის მონაწილეობით ყველგან ჩატარდება მოკლევადიანი შემოწმებანი.

ეს შემოწმებანი ზედმიწევნით უნდა იქნას მომზადებული. თუ როგორ უნდა ჩატარდეს შემოწმებანი, როგორი მოთხოვნილებანი უნდა წარედგინოს წრეებსა და კედლის გაზეთებს,—დირექტივებს ამის შესახებ დაგზავნის მე-4 საკავშირო თათბირის მოწვევის საორგანიზაციო კომისია. (საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკამ დაამტკიცა ამ წერილში აღნიშნული ძირითადი დებულებანი მე-4 საკავშირო თათბირის მოწვევის ვადისა და წესრიგის შესახებ; ცკამ დაამტკიცა აგრეთვე საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: „პრავდა"-ს და „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტ"-იდან შედიან — მ. ი. ულიანოვა, ა. სლეპკოვი, ა. რომანოვსკი, ტ. ევგენოვი და ი. ბოგოვოი; ცკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებიდან — ნ. ი. სმირნოვი და ვორომშილოვი, გარდა ამისა კომისიაში შედიან: ამხ. ოლხოვოი (ცკას აგიტპროპი), კარაევი (ცენტრ. საკონტრ. კომისია), შიფერი (არმიის პოლიტ-სამმართველო), ლაზიანი (მოსკოვის კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის ქვეგანყოფილება), კოსტროვი („კომსომოლსკაია პრავდა"), გრანდოვი მ. („ბედნოტა" და „კრესტიანსკაია გაზეტა"), ანტოშკინი („რაბოჩაია მოსკვა") და ერთი წარმომადგენელი ლენინგრადიდან).

საორგანიზაციო კომისია გამოარკვევს აგრეთვე იმას, თუ რამდენი ადგილი უნდა მიეცეს ყოველ ოლქს და გუბერნიას.

საკავშირო თათბირის შემდეგ მოწვეულ იქნება საოლქო და საგუბერნიო. შემდეგ სამაზრო და საოკრუგო, დაბოლოს, საოლქო და სარაიონო თათბირები. ამგვარად, საუკეთესო წრეების მუშაობის გამოცდილება მიაღწევს ფაბრიკამდე და სოფლამდე.

როგორ უნდა ვემზადოთ

საორგანიზაციო კომისია შეიმუშავებს შემოწმებათა ჩატარების წესრიგს, მოამზადებს დღის წესრიგს, პრაქტიკულ წინადადებებს დღის წესრიგის ყველა საკითხზე (ეს პრაქტიკული წინადადებანი გამოქვეყნებულ იქნება არა უგვიანეს 1 ნახ. თვისა თათბირის მოწვევამდე) და სხ. მაგრამ მოსამზადებელი მუშაობის წარმატებით ჩატარებას ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ ყველა მუშგლეხკორები, მუშგლეხკორთა შორის მომუშავენი და პარტორგანოები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მოსამზადებელ მუშაობაში. ფართო მზადება თათბირისათვის დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. აუცილებელია:

1. „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტ"-ის ფურცლებზე, ადგილობრივ პრესაში, მუშკორთა საერთო-საქალაქო, სარაიონო კრებებზე, საქარხნო კრებებზე. გლეხკორთა სასოფლო კრებებზე და სხ. ფართოდ იქნას განხილული დღის წესრიგი და ის საკითხები, რომლებიც უნდა დაისვას მე-4 საკავშირო ყრილობაზე.

ყველა დაინტერესებულმა პირებმა უნდა მისწერონ „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტ"-ს იმის შესახებ, თუ როგორი საკითხები უნდა დაისვას, მისი აზრით, მე-4 საკავშირო თათბირზე და როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხები. ასეთ წერილის მიწერის დროს საფუძვლად უნდა იქნას მიღებული საკუთარი მუშაობის გამოცდილება. მოყვანილ უნდა იქნას ფაქტები და მაგალითები.

2. წრეები და კედლის გაზეთები აუცილებლად ეხლავე უნდა შეუდგენ თავისი მუშაობის გაუმჯობესებას. ყოველ კედლის გაზეთს და წრეს შეიძლება ეყოლოს თავისი წარმომადგენელი თათბირზე. ამისათვის საჭიროა მხოლოდ საკუთარი მუშაობის კარგად მოგვარება.

3. წრეებმა და სარედაქციო კოლეგიებმა მუდამ კავშირი უნდა დაამყარონ „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტ"-თან, რომლის ფურცლებზედაც წარმოებულ იქნება მთელი მზადება თათბირისათვის. გაზეთების რედაქციები განსაკუთრებით ეხლა ვალდებული არიან შეეცდონ ჟურნალისა და მუშგლეხკორთა ლიტერატურის ფართოდ გავრცელებას მასებში.

4. რედაქციების მუშაკებმა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრებმა ისე გვარად უნდა გაანაწილონ თავისი შვებულება, რომ არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული მუშაობის ჩაშლა, თუნდაც ერთი თვით, და რაც შეიძლება სასწრაფოდ იქნას დამთავრებული საშვებულებო კამპანია. ვინაიდან მუშაობა მე-4 საკავშირო თათბირის მოწვევისათვის გაძლიერებული ტემპით უნდა სწარმოებდეს აგვისტოში და სექტემბერში.

მაშ შეუდგეთ მუშაობას—ჩვენ ვიწყებთ მასიურ მზადებას მე-4 საკავშირო თათბირისათვის.

„რაბ.-კრისტ. კორესპონდენტი", № 9.

გავაცოცხლოთ მუშკორ- [illegible]

გაზეთ „კომუნისტი"-ს ყოლია თავს იყრის რამოდენიმე ასეული მ და გლეხი კორესპონდენტი, რომელთაც არის რედაქცია აწარმოებს ორგანიზაციულ აღმზრდელობით მუშაობას.

დღემდე რედაქცია მეტ ამბავს აწარმოებდა თბილისის მუშკორებზე, ვინაიდან რედაქციას ქონდა ამისათვის უფ მეტი შესაძლებლობა. რაც შეეხება პროვინციას, იქ მუშგლეხკორთა შორის ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობა თითქმის არ სწარმოებდა. [illegible] წარმოებული მუშაობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ რედაქცია გზავნიდა [illegible] წარმომადგენელს სარაიონო მუშგლეხკორთა თათბირსა და კონფერენციებზე მოხსენებების გასაკეთებლად. რედაქციის მიერ გაგზავნილი წარმომადგენელი აცნობდა კონფერენციას რედაქციის მუშაობას, უთითებდა მუშგლეხკორთ თუ რა სახის [illegible] უნდა იგზავნებოდეს რედაქციაში, [illegible] გამოგზავნილი [illegible] რა ზომებს ხმარობს რედაქცია [illegible] საყურადღებო წერილების [illegible], რომ მან გამოიღოს შესაფერი ნაყოფი.

სუსტი იყო აგრეთვე [illegible] წერილობითი კავშირი პროვინციის მუშგლეხკორებთან.

აუცილებელი იყო ამ [illegible] რედაქციას ჯეროვანი ყურადღება მიექცია და [illegible] მეტი ხელმძღვანელობა გაეწია მუშგლეხკორთა მოძრაობისადმი. ამ მიზნით [illegible] უკვე გახსნილია ცალკე კუთხე, რომელიც სპეციალურად იმუშავებს მუშგლეხკორთა შორის.

სამუშაო, საკუთრივ ბევრია პროვინციაში. აქ კიდევ საერთოდ არ არის ჩამოყალიბებული მუშგლეხკორთა წრეები, [illegible] ასეთი [illegible] სრულიადაც არ არსებობს, სადაც არსებობს [illegible] არ სწარმოებს საჭირო მუშაობა, [illegible] თემებში არა აქვს კედლის გაზეთი, [illegible] კედლის გაზეთებიც [illegible] ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას, რომ [illegible] გაზეთების [illegible].

ჩვენი მიზანი ყველა [illegible], ყველა თემში, ყველა [illegible] დაწესებულებებში და [illegible] სოფელშიაც გვქონდეს მუშგლეხკორთა წრეები, რომლებიც [illegible] რიგში თავს უყრიდეს [illegible] გაზეთის ირგვლივ.

მუშგლეხკორთა მოძრაობის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია [illegible] კორესპონდენტ ქალთა რიცხვი ძალზე ცოტაა. დაახლოვებით შეიძლება ითქვას, რომ კორესპონდენტთა საერთო რიცხვის ქალი 5 პროცენტსაც არ შეადგენს. [illegible] გავაძლიეროთ მუშაობა, რომ [illegible] რაც შეიძლება მეტი რიცხვი [illegible] გაზეთების კორესპონდენტება.

ჩვენმა რედაქციამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი და [illegible] ვიმედოვნებთ, რომ შემდეგში მუშგლეხკორები გაცილებით უფრო მეტ შედეგს [illegible].

ნ. ტ.

როგ[illegible] უდა ვიმუშა[illegible] შედეგში

მუშკორთა [illegible] და თვით მუშკორთა [illegible] კიდევ საკმაოდ ბევრი ნაკლია. წერილში შევეხებით მხოლოდ „კომუნისტი"-ს მუშკორთა შორის მუშაობის მდგომარეობას.

„კომუნისტის" თბილისელ მუშკორთა შორის მუშაობა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა; თვეში ერთხელ რედაქცია იწვევს მუშკორთა საერთო კრებებს, სადაც [illegible] როგორც მუშკორთა მოძრაობის ამოცანები, ისე ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მიერ წამოყენებული ლოზუნგები. ამ კრებებზე ამუშავებენ ყველა საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია ამ ლოზუნგებთან და [illegible] ის გარემოება, რომ თბილისის მუშკორთა ორგანიზაცია, როგორც რიცხვით, ისე ხარისხითაც საკმაოდ გაიზარდა. თვითკრიტიკის ლოზუნგთან დაკავშირებით [illegible] შეადგინეს თავიანთი მოქმედების პროგრამა, სადაც გათვალისწინებულია ის საკითხები, რასაც უნდა მიაქციონ ყურადღება და რაც უნდა გააკეთონ თვითკრიტიკის დარგში.

ამ პროგრამის [illegible] უკვე ჩატარდა მოხსენებები: თვითკრიტიკა და მუშკორთა ამოცანები, [illegible] თათბირების, დროებითი [illegible] კომისიებისა და მუშკორთა მოვალეობის შესახებ და სხვა. გარდა ამისა მუშკორ [illegible] უმრავლესობა ეხება წარმოებრივ მხარეებს. მუშკორები თავიანთ [illegible], არამც თუ მარტო ამჟღავნებენ [illegible] ნაკლს, არამედ სათანადო ორგანოებს [illegible] კიდეც ღონისძიებებზე ამ [illegible] გასასწორებლად.

საერთოდ [illegible] ის, რომ მუშკორებმა უკანასკნელ [illegible] თავი იმ წვრილმან და უმნიშვნელო საქმეებზე წერას, რომელსაც არავითარი [illegible] არ ჰქონდა წარმოებასთან. მათ ზრდას ის გარემოება, რომ [illegible] უკვე წავიდა, დღეს აღმშენებლობის [illegible] და აი მუშკორებმაც მთავარი [illegible] აღმშენებლობას მიაპყრეს. ისინი [illegible] აღმშენებლობის ნაკლოვანებებს [illegible] საკონტროლო ორგანოებს.

მაგრამ ეს მარტო მუშკორთა მოძრაობის ამოცანა მარტო ამით ამოიწურება. საქმე იმაში კი არ არის, რამდენს და რანაირ ხასიათის წერილს წერენ, არამედ საქმე ისაა, რომ მუშკორები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ [illegible] საკითხებზე, საწარმოო თათბირების მუშაობაში, [illegible] ადგილობრივ კულტურულ საზოგადოებრივ მუშაობაში და [illegible] ადგილობრივ ორგანიზაციაში.

მუშკორი, [illegible] წინავე მუშათ ითვლება [illegible] ყოფაქცევით და მუშაობით [illegible] დანარჩენ მუშებისა. სამწუხაროდ ისეთი მუშკორები, რომლებიც არავ [illegible] მონაწილეობას ადგილობრივ [illegible] ღებულობენ. [illegible] თათბირების მუშაობაში, [illegible] და კულტურულ [illegible] არც სხვა რაიმე საზოგადოებრივ [illegible] კედლის გაზეთებს ხომ [illegible]. ასეთი მუშკორი, რასაკვირველია ვერ [illegible] მუშკორთა ამოცანებს [illegible] მუშკორის დანიშნულებას.

ეს საკითხი [illegible] განიხილეს ჩვენმა მუშკორებმა [illegible]. მაგრამ ასეთი მუშკორი [illegible].

რედაქცია [illegible] უნდა უყურებდეს მუშკორებს [illegible] და აქვე [illegible] მუშა ასეთ პირობებში [illegible] მუშკორი იძულებული გახდება დაუკავშირდეს [illegible] როგორც კედლის გაზეთს, ისე სხვა ორგანიზაციებს [illegible] ჩვენ [illegible] არ ვიქცევით. ჩვენ, მუშკორთა კრებებს ვიწვევთ რედაქციაში. ე. ი. [illegible] ვშორებთ მუშკორ და [illegible] იგი რედაქციაში. ამიტომ [illegible] მუშკორთა შორის, არ [illegible] მასიურ ხასიათს. საჭიროა [illegible] მუშკორებში, [illegible] საერთოდ ყველა კედლის გაზეთის მუშაკთან მუშაობა და მათი დაახლოება რედაქციასთან. ამას კი შევსძლებთ მხოლოდ იმ დროს, როდესაც მუშკორთა [illegible] გადავიტანთ წარმოებაში. [illegible] არ ნიშნავს იმას, [illegible] სრულებით არ მოვიწვევთ [illegible] მუშკორთა. რედაქციებშიც უნდა ხდებოდეს მუშკ. კრებები, მაგრამ არა სისტემატიურად, [illegible] დროგამოშვებით.

ჩემის აზრით ასეთი [illegible], გარდა იმისა, რომ [illegible] მუშკორთა შორის მუშაობას [illegible] დაუკავშირებთ, ამ დროს [illegible] უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება [illegible]. ჩვენ უნდა შევსძლოთ [illegible]. ამას მოითხოვს [illegible] განვითარების ინტერე[illegible].

ვ. ნ—ლი.

მეცნიერება და ტექნიკა

მეტყველების დეფექტები და მათი გამოსწორება

ყველასათვის ცხადია, თუ რა სატანჯველია მეტყველების ნაკლი, მაგალითად ენაბლუობა (ischnoponia), ენაჩლუნგობა (traolotes) და გამოურკვეველი მეტყველება (afasia). ენაბლუობას უწოდებენ მეტყველების ისეთ შერყევას, როდესაც ნორმალური ლაპარაკის დროს ადამიანი უცებ კრთება.

მეტყველების ნაკლის მეორე შემთხვევაა ენაჩლუნგობა, როდესაც სიტყვას აკლებენ ბგერას, ან მარცვალს, ანდა საჭირო ბგერის მაგივრად ხმარობენ სხვას, ე. ი. ადამიანი მოკლებულია ბგერის დიფერენციაციას, მაგ. ცხენის მაგიერ ამბობს—თხენი, სურა—შურა, კარი—არი, რუქა—უქა—ლუქა.

მესამე ნაკლი მეტყველებისა არის აფაზია. აფაზია ორგვარია: მოტორული და სენსორული. პირველ შემთხვევაში აზრის შემეცნება სწორია, მხოლოდ გამოთქმის არა აქვს ალაგი, მეტყველება გამოურკვეველია, მოგვაგონებს ბავშვის ტიტინს. დიდი კამათია ამ დეფექტის გასწორების გარშემო. ზოგს სრულებით არ სჯერა ამგვარი ნაკლის გამოსწორება, მაგრამ არა ერთმა მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ მოტორული აფაზიის გამოსწორება შესაძლოა, მხოლოდ ითხოვს ენერგიას და დროს, როგორც ლოგოპატისათვის, ისე ლოგოპედისთვის*), მეცნიერებას, რომელიც გვასწავლის თუ რა საშუალებით შეიძლება ენაბლუთა, ენაჩლუნგთა და აფატიკების გასწორება, ლოგოპედია ეწოდება.

მეტყველების ზემოდ აღნიშნული დეფექტები კაცობრიობისათვის ცნობილია შორეულ დროიდან. მთელი რიგი ცნობები მოეპოვება ამ საკითხის გარშემო ჰეროდოტეს, ჰიპოკრატს და არისტოტელს.

ისტორიკოსი პლუტარხი გადმოგვცემს ალკივიადის, ბერძენთა სარდალის შესახებ, რომ იგი „რ"-ს მაგივრად ხმარობდა „ლ". ენაბლუ იყო დემოსფენი, ორატორი ძველი საბერძნეთისა. მან გაინთავისუფლა თავი ამ სატანჯველისაგან დიდი ცდის და შრომის მეოხებით. რის შემდეგ მისი სახელი, როგორც საუკეთესო ორატორის, უკვდავი გახდა.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი ხანა, როდესაც ლოგოპედიის საკითხი არ მდგარიყო მწვავედ. საშუალო საუკუნოებშიც-კი, რომელიც მეცნიერების დაქვეითების ხანად ითვლება, ცდილობენ ამ საკითხის გამორკვევას.. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მაშინ ამ დარგში ბევრი არა გაკეთებულა რა, რადგან ბრძოლას მეტყველების დეფექტებთან აწარმოებდენ კლასიკური მედიცინის მიბაძვით, ე. ი. ქირურგიული და ფარმაცევტიული ზომებით.

მე-18 საუკუნეში ფრანგი პეტი დიდი წინააღმდეგი იყო ლოგოპატების ქირურგიული საშუალებით მკურნალობისა, რადგან არა ერთი ადამიანი იმსხვერპლა ამგვარმა მკურნალობამ. მე-19 საუკუნეში ლოგოპატების მკურნალობა დაკანონებულ იქნა. ამ ხანებში ენაბლუობის საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს იყო ის ხანა, როდესაც ამერიკელ ექიმის ცოლმა ლიმ მოარჩინა 18 წლის ენაბლუ ქალი. 1825 წელს ლიმ ნიუ-იორკში დაარსა ენაბლუთა ინსტიტუტი და ორი წლის განმავლობაში განკურნა 150 ავადმყოფი; ამ ამბავმა დიდი სენსაცია მოახდინა მთელ ევროპაში. ლიმ ენაბლუთა მკურნალობის საიდუმლოება გადასცა ძმ. მალბუშებს. ეს ახალი მეთოდი მათ გადაიტანეს ევროპაში და მათგან იგი (მკურნალობის მეთოდი) შეიძინა ჰოლანდიის მთავრობამ.

რაც შეეხება რუსეთს, იქ მხოლოდ ათი წელია, რაც დიდი მუშაობა სწარმოებს მეტყველების გასწორების დარგში. 1922 წელს მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან დაარსდა ლოგოპედიის კათედრა, რომელსაც სათავეში უდგას პროფ. რაუ. წელს უკვე მეორე წყებამ დაამთავრა დეფექტოლოგიის კურსი. გარდა ამისა, როგორც მოსკოვში, ისე ლენინგრადში დაარსდა მრავალი დამხმარე სასწავლებლები. ამ სასწავლებლებში უვლიან თავს სუსტ მოწაფეებს. მათ რიცხვში უმრავლეს რიცხვს შეადგენენ ლოგოპატები. მოწაფეები გამოსწორების შემდეგ გადაყავთ ნორმალურ სასწავლებლებში. იქვე დაარსეს მეტყველების გასაჯანსაღებელი კოლექტივები. უკანასკნელნი იმყოფებიან მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილების გამგებლობაში. ამ კოლექტივებში მოთავსებულია მრავალი ახალგაზრდა (16-24 წლ.). მეთოდი მუშაობისა ერთი მხრით ფსიქოტერაპიულია, მეორე მხრივ ბგერისა, სიტყვისა და ფრაზის გაგრძელებითი დაკავშირებული წარმოთქმა, ე. ი. როგორც რითმი, ისე ტემპი უნდა იყოს დაცული. ფსიქოტერაპიის დანიშნულება შემდეგია: ლოგოპედი ცდილობს ჩაუნერგოს ლოგოპატს რწმენა, რომ მას შეუძლია ნაკლის გამოსწორება. ამ მეთოდს უწოდებენ კოლექტიურ ფსიქოლოგიურ მეთოდს: „ჯანსაღი ფსიხიკით, ჯანსაღი მეტყველება". რაოდენობა ლოგოპატების უკანასკნელი სტატისტიკით უდრის 17 პროც. აი, ამიტომ მრავალი ლოგოპატი რჩება სასწავლებლის კედლებს გარეთ. ევროპაში არ არის ისეთი პატარა ქალაქიც, კი, სადაც არ არსებობდეს ლოგოპედების კურსები. გარდა ამისა ლოგოპედია ითვლება სავალდებულო საგნად ყოველი ვე ფაკულტეტზე, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე ტექნიკუმებში, რაც შეეხება ლიტერატურას, ევროპა ძლიერ მდიდარია ლოგოპედიის ლიტერატურით. ლიტერატურა რუსულ ენაზე ჯერ-ჯერობით მცირეა, რადგან რუსეთში ლოგოპედიას მხოლოდ რევოლუციის შემდეგ მიექცა ყურადღება.

საქართველოში ამ მხრივ სამწუხაროდ არაფერია გაკეთებული (არა თუ საქართველოში, არამედ ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებშიაც), საჭიროა თუ არა საქართველოში ამგვარი მუშაობა? დავათვალიეროთ სასწავლებლები და დავრწმუნდებით, რომ საჭიროა, რადგან ვერ ვნახავთ ვერც ერთ სასწავლებელს, სადაც 12-15 პროც. ლოგოპატები არ შეადგენდეს. მეტყველების დეფექტთა შორის ჩვენში ენაბლუობა მეტად გახშირებულია, აი ამიტომაც მინდა მასზე შევჩერდე.

როგორც ზემოთ აღვნიშნე ენაბლუობა წარმოადგენს არანორმალურ, უთანასწორო, უკავშირო მეტყველებას, დამახასიათებელია ამ მოვლენისა არის მეტყველების ამა თუ იმ აპარატის კუნთების შეკრუნჩხვა. კუნთების შეკრუნჩხვის დროს მეტყველების მექანიზმი კრთება. ენის და ტუჩების კუნთების შეკრუნჩხვა ავადმყოფისათვის ხშირია, ამ დროს, ის ვერ წარმოსთქვამს ბგერას, სიტყვებს აჭიანურებს, ბ...ბ...ბრმა, კ:::კ:::კოვზი,—ამბობს ის: რბილი სახის კუნთების შეკრუნჩხვა იშვიათია... კუნთების შეკრუნჩხვას სხვადასხვა მიზეზები იწვევს: შიში, გაუბედაობა, და ეჭვი... ენაბლუები განსაკუთრებით კრთებიან სიტყვებზე, რომლებიც იწყება თანხმოვან ბგერებზე: ს, პ, ბ, ტ, კ, დ; ტრ; პტ და სხვ. ენაბლუ ხშირად გაურბის იმ სიტყვის თქმას, რომლის გამოთქმა უჭირს. მაგალითად ბებიას მაგივრად ამბობს: დედა ჩემის დედა. ეს იმიტომ, რომ ბ-ს გამოთქმა არ ეხერხება. ენაბლუობა ფსიქოფიზიური მოვლენაა. ფსიქონევროზობა არის ისეთი ანორმალური ფუნქცია ორგანიზმისა, როდესაც ფსიქიურ გვალებს აქვს ალაგი—და არა ანატომიურ პათოლოგიას. მეტყველების ნაკლი, არამც თუ შთამომავლობითია, არამედ უფრო სოციალური სენია.

მაშასადამე ეს ნაკლი არ არის ინდივიდუალური, არამედ სოციალური. მაშ რით აიხსნება ასეთი გულგრილობა ამ საკითხისადმი. რატომ არავითარ ზომებს არ იღებენ ამ დეფექტის წინააღმდეგ მშობლები, პედაგოგები და ექიმები? საჭიროა, რომ ევროპის და რუსეთის მიბაძვით დავაარსოთ სკოლები, კოლექტივები და სხვადასხვა დაწესებულებანი მეტყველების გასაჯანსაღებლად. საჭიროა განათლების და ჯანმრთელობის კომისარიატის თაოსნობა და დახმარება. აი ამ ორმა დაწესებულებამ უნდა ჩაუყაროს საფუძველი მეტყველების გაჯანსაღების საქმეს.

ტ. კაიშაური.

---

*) ლოგოპატი: ენაბლუ, ენაჩლუნგი და აფატიკი. ლოგოპედი—მეტყველების დეფექტის გამომსწორებელი.

ახალი მსუბუქი ლითონი—„ელექტრონი"

ლითონის ტექნოლოგიის განვითარების ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოვლენას უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში წარმოადგენს ალუმინიუმისა და მის ნადნობთა გამოყენება მანქანების მშენებლობაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საავტომობილო საქმისა და ავიაციის მიღწევები უმთავრესად უნდა მიეწეროს ტექნოლოგების მუშაობას მსუბუქ ლითონებზე. განსაკუთრებით დიდი აღმოჩენა დიურ-ალუმინის, რომელიც წარმოადგენს ალუმინის, სპილენძის, თუთიის და მაგნიუმის ნადნობს, გადამუშავებულს განსაკუთრებული წესით. დიურალუმინიდან დამზადებული საგნები გამძლეობით და სიმაგრით არ ჩამოუვარდება ფოლადიდან დამზადებულ საგნებს, წონით კი—თითქმის სამჯერ უფრო მსუბუქია.

მაგრამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში დიურ-ალუმინი და მისი ნადნობნი თანდათანობით უთმობენ ადგილს ახალ, კიდევ უფრო მსუბუქ ლითონს—მაგნიუმს. მაგნიუმი კარგად არის ცნობილი ფოტოგრაფიის მოყვარულთათვის. ეს არის ბრჭყვიალა, მსუბუქი და იმდენად რბილი ლითონი, რომ ადვილად იფხაჭნება ჯიბის დანით. მაგნიუმი იწვის ბრჭყვიალა თეთრი სინათლით, რომლის სპექტრი ძლიერ უახლოვდება დღის სინათლის სპექტრს, რითაც აიხსნება მაგნიუმის ფართედ გამოყენება სურათების გადასაღებად დახურულ შენობებში.

მრავალი წლების განმავლობაში მსუბუქ ნადნობთა დამზადებაზე მუშაობის დროს გერმანელმა ქიმიკოსებმა აღმოაჩინეს ისეთი წესი მაგნიუმის შეზავებისა სხვა ლითონებთან (სპილენძი, თუთია, და სც), რომ სანთელივით რბილ მაგნიუმიდან შესაძლებელი შეიქნა ფოლადისებური სიმაგრის მქონე ლითონის დამზადება, მაგნიუმის ამ ნადნობის ფორმულას არაჩვეულებრივად საიდუმლოდ ინახავენ.

დიდი ცდების შემდეგ მოხერხდა მთავარი დაბრკოლების აცილება მაგნიუმის ნადნობთა გამოყენების გზაზე, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ჩქარა ეკიდებოდა ჟანგი. ამჟამად მზადდება ისეთი ხარისხის მაგნიუმის ლითონები, რომ მათ ვერას აკლებს ზღვის მარილიანი წყალიც კი, რომელიც საუკეთესო ფოლადს—აფუჭებს.

მაგნიუმის მსუბუქი ნადნობები, რომელთაც გერმანული ფირმები უშვებენ ბაზარზე, ცნობილია „ელექტრონულ ნადნობთა" სახელწოდებით. ამ ნადნობთა ხვედრითი წონა 1,8 უდრის. ამრიგად „ელექტრონი" 40 პროცენტით მსუბუქია, ვიდრე ალუმინი და 4-ჯერ უფრო მსუბუქი, ვიდრე ფოლადი. „ელექტრონიდან" დამზადებულ საგნებს გამძლეობა და ელასტიურობა, ისინი მშვენიერად ატარებენ სიცხეს და ელექტრო-დენს.

„ელექტრონმა" ფართე გამოყენება ჰპოვა მექანიკურ მამოძრავებლებში, რომლებიც დანიშნულია ტრანსპორტისათვის (ავტომობილები, ჰიდროპლანები და სხვ.). განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა „ელექტრონმა" ავიაციაში, სადაც თვითეული მისხალის მოგებას აეროპლანის წონაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჯერ-ჯერობით „ელექტრონი" ნაწილობრივ არის გამოყენებული აეროპლანების მოტორებში, უფრო ფართედ—ფრთებში. თუ „ელექტრონის" ხარისხი იმდენად გაუმჯობესდა, რომ მან შესძლო დიურალუმინის მთლიანად განდევნა ავიაციიდან, მაშინ აეროპლანის წონა ერთი-ორად იქნება შემცირებული.

არანაკლები მნიშვნელობა მოიპოვა „ელექტრონმა" საავტომობილო მრეწველობაში.

ა. ვ.

მკვდარი მაიმუნის გაცოცხლება

პროფ. მიხალოვსკის ცდები

შუა-აზიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიურ ინსტიტუტში (ტაშკენტში) პროფესორმა მიხაილოვსკიმ მოახდინა მკვდარი ცხოველის გაცოცხლების არაჩვეულებრივი ცდა. ადგილობრივ ზოოპარკიდან ინსტიტუტში მიიყვანეს „მაკაკი"-ს ჯიშის მაიმუნი, რომელსაც ნარკოზი გაუკეთეს და მთელი სისხლი გამოაცალეს. ცხოველი უძრავად ეგდო, აღარ სუნთქავდა. სათანადოდ დამუშავების შემდეგ სისხლი კვლავ დააბრუნეს ორგანიზმში. მაიმუნი, რომელიც არ სუნთქავდა 55 წუთის განმავლობაში, გაცოცხლდა და შეეცადა ეკბინა ამ ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილისათვის. იმავე საღამოს მაიმუნი, რამდენიმედ დასუსტებული, ისევ მიიყვანეს ზოოპარკში, სადაც იგი თვითონ შეფორთხდა თავის გალიაში.

მზის სიგნალები

ავსტრიელმა მეტეოროლოგმა ი. მირბახმა, რომელიც მხარს უჭერს თეორიას, რომლის მიხედვითაც მზის ლაქები გავლენას ახდენენ ამინდზე. შეისწავლა მზის ლაქების ერთი ჯგუფი, რომელმაც მზის ცენტრალური მერიდიანი გაიარა 1927 წლის 21 იანვარს. ლაქების ამ ჯგუფის შემდეგი გავლა მერიდიანზე მოდიოდა 17 თებერვალზე, 17 მარტზე, 12 აპრილზე და 7—8 მაისზე. სწორედ ამ დღეების განმავლობაში დედამიწაზე ადგილი ჰქონდა ძლიერ გრიგალებს, რომელთაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა და დიდი ზარალი მიაყენა თითქმის ყველა ქვეყნებს. მირბახი იმდენად იყო დარწმუნებული ამგვარი მოვლენების პერიოდულად განსაზღვრულ ვადაში განმეორების აუცილებლობაში, რომ მაისის პირველ რიცხვებში შესაფერ გაფრთხილებას იძლეოდა. მაგრამ ამ გაფრთხილებას თითქმის არავინ მიაქცია ყურადღება. მფრინავებმა კოლიმ და ნუნგესერმა 9 მაისს განიზრახეს გადაფრენა ოკეანეზე და უამინდობის გამო დაიღუპნენ. მირბახი ამის გამო სწერს: „კატასტროფა შეიძლება თავიდან ყოფილიყო აცილებული, რომ ჩემი კოლეგები დაბოლოს შეიგნებოდენ იმ აზრს, რომ შეუძლებელია წინასწარმეტყველება ამინდის შესახებ, თუ მხედველობაში არ იქნა მიღებული მზე".

საბავშო ინკუბატორი

ბერლინში ამ რამოდენიმე ხნის წინად არსებობის ასი წლის თავი იდღესასწაულა უდღეურ (ვადამდე დაბადებულ) ბავშთა ინსტიტუტმა.

ეს ინსტიტუტი მოწყობილია მედიცინის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და თავისი არსებობის განმავლობაში 2000-დე ბავშვი გადაარჩინა.

უდღეურ ბავშებს ათავსებენ განსაკუთრებულ აპარატებში, რომლებშიც ბამბაა ჩაფენილი. ინსტიტუტში მიღების ერთად-ერთ პირობათ ითვლება ახლადშობილის ნორმალური ტემპერატურა პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ შეუძლებელია უდროოდ დაბადებულ ბავშის გადარჩენა, თუ მას ნორმალურზე დაბალი ტემპერატურა აქვს, რადგან ეს უკვე ნიშანია სიკვდილის მოახლოების. ამის გამო ინსტიტუტი უპირველეს ამოცანად ისახავს ნორმალური ტემპერატურის დაცვას. თუ ახლადშობილის ტემპერატურა 36,5 გრადუსზე ნაკლები არ არის, მაშინ ახალშობილის გადარჩენა უზრუნველყოფილია. ზოგჯერ ინსტიტუტში მიჰყავთ ბავშები 31 გრად. ტემპერატურით. ასეთი ბავშები კვდება, აპარატებში, რომლებშიც ათავსებენ ბავშებს, დაცულია ორგანიზმისათვის საჭირო ნორმალური ტემპერატურა.

განსაკუთრებულ ამოცანას წარმოადგენს ბავშის ორგანიზმის კვება და მისთვის ჟანგბადის მიწოდება გადიდებულის რაოდენობით. ბავშებს კვებენ მხოლოდ და მხოლოდ ქალის რძით, 22-ჯერ დღე-ღამეში, ე. ი.—თითქმის ყოველ საათში.

მესამე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ახალშობილ უდღეურ ბავშთა დაცვა ინფექციისაგან. სულ პატარა ავადმყოფობაც კი დამღუპველია ახალ შობილისათვის. სურდო, რომელსაც მკვებავი ქალი ან მომვლელი ვერც კი ამჩნევს, იწვევს ახალშობილის სიკვდილს. ამიტომ ექიმები, მკვებავი ქალები და მომვლელები ბავშებთან შედიან მხოლოდ მას შემდეგ, როცა ცხვირზე და პირზე აიკრავენ ბამბიდან გაკეთებულ ფილტრს.

ახალშობილნი წვანან თავიანთ აპარატებში, ფერმიხრთალნი, დახუჭული თვალებით, უმოძრაოდ. და მხოლოდ 6—10 კვირის შემდეგ ინსტიტუტში მიყვანის დღიდან, მათ სახე უვარდისფერდება, პირს აღებენ, ხელფეხს ამოძრავებენ.

რთული გამრავლება ზეპირად

ინჟ. შიშკინის ცდები



მოსკოველი ინჟენერი შიშკინი უფანქროდ და უკალმოდ ახდენს ურთულეს გამრავლებას. მოსკოვში პროლეტარულ სტუდენტთა წინაშე მან მოახდინა თავისი განსაცვიფრებელი ცდები.

ორი წუთის განმავლობაში მან ზეპირად მოახდინა გამრავლება, რომლის შედეგი ციფრებით ასეთია: 4.814.332.576 832.579.064 და სხვ. (და ეს ყველაფერი არ არის: ინჟენერმა შიშკინმა მოცემულ ციფრების მიხედვით მოახდინა გამრავლება, რომლის შედეგი 130 ციფრისაგან შესდგება).

შიშკინის მიერ ზეპირად შესრულებული გამრავლება კარგმა, გამოცდილმა მათემატიკოსმა წერითი წესით შეამოწმა და, რასაკვირველია, გაცილებით მეტი დრო მოანდომა, ვიდრე შიშკინმა.

მეცნიერებმა, რომელთა წინაშე შიშკინმა გაიმეორა თავისი ცდები, განაცხადეს, რომ მათ ჯერ მსგავსი რამ არ უნახავთ.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საშუალებით ინჟ. შიშკინმა მეგობრულ შეჯიბრებაში გამოიწვია ცნობილი გერმანელი მათემატიკოსი ხ. კრუგერი. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე მათემატიკოსი არაგო და გლაგოლევი.

ახალი მატერიკი

მოგზაურმა და მკვლევარმა დუგლას მაუსონმა, რომელმაც ორი წლის წინათ სამხრეთის ყინულოვან ოკეანეში აღმოაჩინა რამდენიმე ახალი კუნძული, გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ამტკიცებს, რომ სამხრეთ-პოლიუსთან არსებობს უცნობი, დასახლებული მატერიკი, რომელიც თავისი სიდიდით დაახლოვებით 2-ჯერ სჭარბობს მთელ ჩრდილოეთ ამერიკას. მაუსონი ამ მატერიკის არსებობაში დარწმუნდა თავისი უკანასკნელი პოლიარული მოგზაურობის დროს. ამჟამად მაუსონი ამზადებს ახალ ექსპედიციას ამ მეცნიერებისათვის უცნობ მატერიკის შესასწავლად. ექსპედიცია გაემგზავრება 1928 წ. დამლევს ან 1929 წლის დასაწყისში. მაუსონს განზრახული აქვს თან წაიღოს რამდენიმე აეროპლანი.

ახალი სწრაფმსროლელი თოფი

გენერალმა ჯონ ტომპსონმა ინგლისის მთავრობის მიერ მოწყობილ სპეციალურ კონკურსზე ჯილდო მიიღო მის მიერ გამოგონებულ სწრაფმსროლელ თოფისთვის.

ეს თოფი ისვრის ორჯერ სწრაფად, ვიდრე დღემდე არსებული საუკეთესო სისტემის სწრაფმსროლელი თოფები.

ბურთისებრი სახლი



მრეწველობის ყოველწლიურ გამოფენაზე, რომელიც დრეზდენში (გერმანია) გაიხსნა, ყურადღებას იპყრობს სპეციალურ აგებული ბურთისებური შენობა.

თავდაცვის კვირეულისათვის

დადგენილება № 41

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

„თავდაცვის კვირეულის“ ჩატარების შესახებ

რათა გაძლიერებულ იქნეს საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების სახსრები და ამავე დროს მომზადებაქიმეში საჭირო პრაქტიკული მუშაობა განსახორციელებლად — სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს —„თავდაცვის კვირეულის“ განმავლობაში ა. წ. ივლისის 8-დან 22-მდე საქართველოს ს. ს. რ. მთელ ტერიტორიაზე განხორციელებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. მოეწყოს კაბებით ფულის შეგროვება ივლისის 20-ს, 21-ს და 22-ს.

2. დაიბეგროს ივლისის 15-დან 22-მდე:

ა) სანახაობანი და გასართობი (თეატრი, კინო, ცირკი, სალამო, კაფე, დოლი) შესვლის ყველა ბილეთი მისი ღირებულების 10%-ის რაოდენობით ერთჯერ სათამაშო (ლოტო, პტი-შვო და სხვ.) დღიური საერთო შემოსავლი 10%-ის რაოდენობით;

ბ) ყველა რესტორანისა და სასადილოს საშუალო დღიური ბრუნვა 10%-ის რაოდენობით.

3. ამ დადგენილების პრაქტიკული განხორციელება დაევალოს საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. ვარძიელი.

1928 წ. ივნისის 20
თბილისი—სასახლე

ლოზუნგები

მუშებო, გლეხებო, წითელარმიელებო! მშვიდობიანობისათვის ბრძოლის დროს განმტკიცეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვა.

ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა, რათა ვაშენოთ სოციალიზმი. იმპერიალისტები ამზადებენ ომს, რათა ააოხრონ ჩვენი მშენებლობა. გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარი.

მრავალი მილიონი მუშებისა და გლეხების ქალ-ვაჟნი დაიცავენ საბჭოთა კავშირს. მოვემზადებით იმპერიალისტების იერიშის მოსაგერიებლად.

მუშა, იყავ ფხიზლად. დაიცავი შენი ფაბრიკები და ქარხნები, მაღაროები და ელექტრო-სადგურები, რკინის გზები და საწყობები.

მუშებო და გლეხებო, თავდაცვის კვირეულის დროს გახსოვდეთ ომის საფრთხე, შეისწავლეთ სამხედრო საქმე. შედით თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების რიგებში.

გავამაგროთ წითელი არმიის ძლიერება, გავაძლიეროთ ზრუნვა მასზე. მუშა, გლეხო, მტკიცე კავშირი იქონიე წითელარმიასთან!

საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელმა უნდა ისწავლოს კარგი სროლა, თოფისა და ტყვიამფრქვევის ხმარება, გაზების საწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენება.

ყოველ მუშას, მოჯამაგირეს და საშუალო გლეხს უნდა შეეძლოს თავისი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დაცვა იარაღით ხელში.

მუშებო და მუშა ქალებო! გლეხებო, გლეხ-ქალებო! ებრძოლეთ თავდაცვისათვის. შედით სამხედრო ცოდნის წრეებში, მსროლელთა წრეებში, აქიმის საზოგადოების რაზმებში, ჩადექით მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში.

თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების ყოველი წევრი სადარაჯოზე უნდა იდგეს მტრების წინააღმდეგ.

„თავდაცვის კვირეული“ არის ჩვენი პროლეტარული შემოწმება და რევოლუციური მოწოდება თავდაცვისაკენ.

საბჭოთა კავშირის მეურნეობის ძლიერება მისი თავდაცვის საფუძველია. განვამტკიცოთ სოციალისტური მრეწველობა და ტრანსპორტი, ავაღორძინოთ ტყეთა მეურნეობა.

წითელარმიელო, წითელფლოტელო, წითელო მფრინავო! იყავ მზად, ფხიზლად დაიცავი მუშურ-გლეხური ქვეყანა. გააუმჯობესე შენი სამხედრო მზადება.

განვამტკიცოთ ქიმიური მრეწველობა. შევქმნათ ჰაეროპლანებისა და ტანკების რაზმები. გავამრავლოთ გაზების საწინააღმდეგო საშუალებანი, თოფებისა და ტყვიამფრქვევლების დამზადება. საბჭოთა ქვეყნის მიწის ყოველი ციდა ციხე-სიმაგრეს უნდა წარმოადგენდეს.

მუშურ-გლეხურო ახალგაზრდობავ! ისწავლე სამხედრო საქმე. იყავ ოქტომბრის რევოლუციის შეგნებული დამცველი. შედი სამხედრო სკოლაში.

მუშებო და გლეხებო! შედით თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების რიგებში. ორგანიზაციულად შეუწყეთ ხელი საბჭოთა კავშირის თავდაცვას.

წვევამდელნო და ცვალებადნო! გააძლიერეთ თქვენი სამხედრო მზადება. ემზადეთ ჩადგეთ მუშათა და გლეხთა საქმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

მუშებო და გლეხებო, ფიზკულტურისნებო! შეისწავლეთ სამხედრო საქმის გამოცდილება. გამოიყენეთ სპორტი სამხედრო გამოწრთობისათვის. გახდით ძლევამოსილი რევოლუციის ჯარისკაცები.

ომის საფრთხის წინაშე პროფკავშირები გახდებიან პროლეტარიატის სამხედრო მომზადების სკოლად.

კომკავშირელნო! ემზადეთ მუშური სახელმწიფოს დასაცავად. შეისწავლეთ სამხედრო ცოდნა. ჩადექით საბჭოთა კავშირის დამცველთა პირველ რიგებში.

კომუნისტები იყვნენ, არიან და იქნებიან საერთაშორისო რევოლუციის გმირი ჯარისკაცები, მუშათა ავანგარდი, მშრომელთა ხელმძღვანელნი სოციალიზმის მშენებლობაში და კლასიური მტერთაგან დაცვაში.

წითელი არმია—საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებათა მშრომელების შეიარაღებული კავშირია.

სამეურნეო ზრდა — საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის საფუძველია. ყველა ძალები უნდა მოვახმაროთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განმტკიცებას, წარმოების რაციონალიზაციას, ბიუროკრატიზმთან და უყაირათობასთან ბრძოლას.

საბჭოთა მთავრობა მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებს. ძლიერი, ბრძოლის უნარიანი აღჭურვილი წითელი არმია წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელიც აკავებს იმპერიალისტებს ომისაგან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის ქიმიზაცია, განვამტკიცოთ ქიმიური მრეწველობა, გავაუმჯობესოთ სასოფლო მეურნეობა, შედით ქიმიურ სასოფლო-სამეურნეო წრეებში.

თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების წევრებო — მუშებო, გლეხებო, ხელი შეუწყეთ სამხედრო მასიური მუშაობის ფონდის შექმნას.

კომკავშირელნო, შედით თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოებებში — სამხედრო ცოდნათა, მსროლელთა, სანიტარულ, სამოდელო წრეებში, იყავით თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების აქტივისტები.

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმში

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე თბილისის და მის მაზრის წყალთმეურნეობის შესახებ, მოხსენება გააკეთა ალმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გაბაშელმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის და განსაკუთრებით მის მაზრაში მუშაობა წყალთა მეურნეობის დარგში სუსტად სწარმოებს.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხაზს ეწევა ალმასკომთან შეუთანხმებლად და ქმნის ერთგვარ საზიანო პარალელიზმს.

პრეზიდიუმმა დაადგინა წყალთა მეურნეობის სამუშაოების გეგმიანად წარმოების და გაცხოველების მიზნით აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოს წინაშე თბილისის მაზრის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაარსების შესახებ.

თბილისის მაზრის წყალთა მეურნეობის რაიონულ სამმართველოს ევალება მთელ მაზრაში სარწყავი ქსელის გაფართოების საკითხები წინასწარ შეუთანხმოს თბ. ჯანთელობის განყოფილებას.

აღიძრას შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა დაჩქარებულ იქნეს გამოცემული კანონი წყალით სარგებლობის შესახებ.

მაზრაში წყალთა მეურნეობის სამუშაოების გასაფართოებლად პრეზიდიუმმა აგრეთვე დაადგინა მიღებული იქნეს სათანადო ზომები სამელიორაციო ამხანაგობების დასაარსებლად და მათთვის შესაფერი დახმარების გასაწევად.

თბ. მაზრაში არსებულ სარწყავ არხების მეთვალყურეობა დაევალოს თბ. რაიონის წყალთა მეურნეობის სამმართველოს. შედგენილ იქნეს თბილისის მაზრის მელიორაციის 5 წლიანი გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მაზრაში დღემდე არსებულ არხების სისტემა და მათი მდგომარეობა.

ჩატარებული იქნეს მთელს მაზრაში წყალთა მეურნეობის რეკონსტრუქცია და არხების გასაყვანად შედგენილ იქნეს ცალკე ხარჯთ-აღრიცხვა.

სამელიორაციო ამხანაგობებისათვის მცოდნე ხელმძღვანელთა და არხების გამგეთა მოსამზადებლად პრეზიდიუმმა დაადგინა თბილისში გაიხსნას სპეციალური კურსები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მირაბების (წყალის განმანაწილებელი) მომზადებას, რათა მაზრაში წყალის განაწილება წესიერად სწარმოებდეს და გლეხებს შეეძლოთ წყალით თავის დროზე სარგებლობა.

მზადება საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმით 1928—29 სამეურნეო წელს საქართველოში სულ შემოტანილი იქნება: 3.620 ცალი გუთანი, 350 ფარცხი—2.000 კულტივატორი, 20 ხორბლეულის და 100 სიმინდის სანიავებელი მანქანა; 165 ცალი მთიბავი და 40 ცალი შემკონავი მანქანა, 250 ფოცხი; 20 ცალი პურის სათიბი მანქანა; 160 სიმინდის ჩალის სამკალი; 100 ხორბლეულის გამწმენდი და 10 სიმინდის საცეხვი მანქანა.

გარდა ამისა შეტანილი იქნება მანქანების სათადარიგო ნაწილები. (40.000 მანეთისა). წელს სულ შემოტანილი იქნება 125 ტრაქტორი, აქედან „ინტერნაციონალი“-ს სისტემის—50, „ხოლტის — 50 და „ფორძონი“—25.

სულ 870.900 მანეთის რაოდენობით.

მიმდინარე წლის საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის შემოზიდული იქნება აღნიშნულ სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაოდენობის 50 პროცენტი.

შემოდგომისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შემკეთებელი სახელოსნოები გაიხსნება გორის, თბილისის და ბორჩალოს მაზრებში. გაფართოვდება აგრეთვე თბილისის ცენტრალური შემკეთებელი სახელოსნო.

კრედიტები

შემოდგომის თესვის კამპანიისათვის 1927—28 წლ. მეოთხე კვარტალში გაცემული იქნება კრედიტები შემდეგი რაოდენობით: სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენად—18.000 მანეთი, მიწათმოწყობისათვის—224.000 მან., სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის—121.000 მ. მეთამბაქოეობისათვის — 140.000 მანეთ ტრაქტორების შესაძენად—18.000 მან. ხილის მეურნეობისათვის—163.000 მან. სუბტროპულ მცენარეთა გასაშენებლად 35.000 მანეთი მეცხ.-საქონლის შესაძენად — 20.000 მანეთი შინამრეწველობისათვის — 10.000 მანეთი კოლმეურნეობისათვის — 146.800 მანეთი სულ 1.108.800 მანეთი. ეს კრედიტები ღარიბ გლეხობას მიეცემა გრძელვადიანი სესხის სახით.

გამქირავებელი პუნქტები

ამჟამად რესპუბლიკაში არსებობს 56 გამქირავებელი და ხორბლეულის საწმენდი პუნქტი.

ყველა ამ პუნქტს აქვთ 449 გუთანი, 119 სათესი, 59 ხორბლეულის საწმენდი, 70 სანიავებელი და 3 საფარცხავი მანქანა.

შემოდგომის თესვის კამპანიისათვის აღნიშნულ პუნქტებს დამატებით მიეცემათ 112 გუთანი, 168 ფარცხი, 100 სათესი, 56 ტრიერი, 56 სანიავებელი და 36 ხორბლეულის საწმენდი მანქანა.

განზრახულია გახსნას კიდევ 15 გამქირავებელი პუნქტი.

თესვის კამპანიის შედეგები აჭარისტანში

აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობებით, აჭარისტანში მიუხედავათ არახელსაყრელი პირობებისა (მკაცრი ზამთარი, უგზოობა, საქონლის დალუპვა საკვების უქონლობის გამო, დაგვიანებული გაზაფხული), თესვის კამპანია მაინც წარმატებით იქნა ჩატარებული.

წელს განზრახული იყო 11.053 დესეტინის დათესვა პურეულით. გეგმა შესრულებულია მთლიანად. სპეციალურ კულტურებიდან გაშენებულია ნარიჯოვან მცენარეთა პლანტაცია 70 ჰექტარზე. თამბაქოს პლანტაციები ხულოს და ქედის მაზრებში გაფართოებულია 250 ჰექტარამდე. თვალსაჩინოთ შემცირდა (90 პროც.) წარსულ წელთან შედარებით ლუფის კულტურა, რაც მიეწერება ჩვეულ დეფექტებს ლუფის თესვის საქმეში.

ბათომის მაზრა განზრახული იყო ჩაის ახალი პლანტაციის გაშენება 115 დესეტინაზე; გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით; ამჟამად პლანტაცია გაშენებულია 125 დესეტინაზე. ქობულეთის მაზრაში გაშენებულია 215 დესეტინა. ამგვარად, ჩაის ახალი პლანტაციების საერთო ფართობი ამჟამად უდრის 340 დესეტინას.

გლეხთა შორის აგრონომიული ცოდნის გავრცელების მიზნით გლეხების მეურნეობებში მოწყობილია 19 საჩვენებელი ნაკვეთი.

კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

საქართ. პროფკავშირთა საბჭომ ყველა კავშირის ცენტ. გამგეობებს, სამპროფბიუროებს და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც ნათქვამია:

მიმდინარე წლის ივლისის 7-ს ყველა ქვეყნების მშრომელნი დღესასწაულობენ კოოპერაციის საერთაშორისო დღეს. ამ დღეს საბჭოთა კოოპერაცია ჯამს უკეთებს თავის მიღწევებს.

კოოპერაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ მშენებლობის პირობებში. კოოპერაცია წარმოადგენს ყველაზე საიმედო გზას სოციალიზმისაკენ. ამიტომ კოოპერაციის გაძლიერება და განვითარება პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

კოოპერაციის საერთაშორისო დღის — ივლისის 7-ს — ჩატარებაში პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ. ამ დღეს მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში საჭიროა მოეწყოს სათანადო ლექციები კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ.

გარდა ამისა, საჭიროა მოეწყოს სამხატვრო წრეების გამოსვლები კოოპერაციის მუშაობის ღირსება-ნაკლოვანებების გასცენიურებით და სხვ. სასურველია ამავე დღეს შეუფარდეს კამპანიის ჩატარება კოოპერაციაში ახალი წევრების ჩასაწერად. საპაიო დავალიანების დასაფარავად და სხვ.

კოოპერაციის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი კამპანია ჩატარებული უნდა იქნეს სათანადო პარტორგანოებთან და კოოპერატიულ ორგანოებთან შეთანხმებით. სასურველია კამპანიის ჩასატარებლად გამოყენებული იქნეს 7 და 8 ივლისი (შაბათი და კვირა). მასალები კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩატარების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნეს ს.პ.კ.ს. კულტგანყოფილებაში არა უგვიანეს ა-წ. ივლისის 15-ისა.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა მეექვსე ყრილობა

უკანასკნელი დღე

ყრილობის უკანასკნელ დღეს გაიმართა მსჯელობა კოოპერატივების წევრთა შორის კულტურული მუშაობის საკითხის გარშემო. მაზრებიდან ჩამოსული დელეგატები აღნიშნავდენ, რომ ადგილებზე კოოპერატიულ წრეებს არ ეტყობათ დიდი წარმატება. მათ არა აქვთ შემუშავებული პროგრამები, არ ჰყავთ მომზადებული ხელმძღვანელები და სხვა.

ყრილობაზე გამოთქმულ იქნა აზრი, რომ წრეების მუშაობას მიეცეს სასკოლო ხასიათი. შემუშავებულ იქნეს სამეცადინო პროგრამები და ზოგან, სადაც წრეების მუშაობა სუსტია, მოეწყოს მოძრავი კოოპერატიული კურსები. კავშირში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა აგრეთვე მიქცეული წიგნებით ვაჭრობის საქმეს განსაკუთრებით სოფლის კოოპერატივებში. ყრილობამ მიზანშეწონილად სცნო, რომ სოფლად არსებულმა კოოპერატივებმა უფრო ფართოდ დააყენონ წიგნებით ვაჭრობის საქმე.

უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ მიიღო რამდენიმე წინადადებები კოოპერატივებში ანგარიშწარმოებისა საორიენტაციო გეგმების გამარტივების შესახებ.

ყველა მოსმენილ საკითხებზე რეზოლუციების მიღების შემდეგ ყრილობა დაიხურა.

განათ. მუშ. ინსტრუქტორების კონფერენცია

კონფერენციის მე-ე სხდომაზე მოსმენილი იქნა ორი მოხსენება ადგილებიდან.

ქუთაისის მაზრის სკოლების მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა სამაზრო განათლების განყოფილების ინსტრუქტორმა ა. ჯაფარიძემ. მოხსენებიდან ირკვევა, რომ მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთი ცოდნის გაღრმავებას და კოლექტიურ მუშაობას. სამაზრო მეთოდიური ბიურო აქტიურად მუშაობს. მოწაფეთა თვითორგანიზაციები და გეგმიანი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე სდგას.

დუშეთის მაზრის განათლების განყოფილების ინსტრუქტორი ე. კოლაიშვილი საჭიროდ მიაჩნია სასკოლო პროგრამების გადასინჯვა.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი. ორატორები საჭიროდ სცნობენ, რომ ყველა მაზრებში მოეწყოს მეთოდიური ბიუროები და შემუშავებული იქნეს სათანადო დებულება, გადიდდეს ინსტრუქტორთა შტატი და შედგენილი იქნეს საწარმოო პროგრამები. სკოლის გაჯანსაღების მიზნით ორატორებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ყოფა-ცხოვრების საკითხებს, ებრძოლონ ცრუმორწმუნეობას და სხ.; დაამყარონ ერთმანეთს შორის მტკიცე ურთიერთობა და სხ.

კამათის დამთავრების შემდეგ ამორჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა მოხსენებების შესახებ რეზოლუციის და პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავება.

ოთხწლედ სკოლების პროგრამის გადასამუშავებლად გამოყოფილ ორი სექცია. შემდეგ სხდომაზე მოსმენილი იქნება სექციების დასკვნები.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ბათომის ნავთსადგურის მოწყობა

ზედმეტი ხარჯების შემცირების და გადატვირთვის ოპერაციათა რაციონალიზაციის მიზნით ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო ბათომის ნავთსადგურის მექანიკური მოწყობილობის გაუმჯობესება.

ა.-კ. წარმომადგენლობას დაევალა აღძრას საკავშირო სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი ამ საქმისათვის საჭირო თანხების მანქანების გაღების შესახებ.

ჭაობების დაშრობა რკინის გზების ფარგლებში

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაავალა რკ. გზათა სამმართველოს დაუყოვნებლივ გამოარკვიოს რკინის გზის ფარგლებში მდებარე ჭაობიან ადგილების და შრობის ტექნიკური შესაძლებლობანი.

რკინის გზის ფარგლებში ყოველგვარ ახალნაგებობათა აშენების დროს მიღებული უნდა იქნეს ზომები ჭაობიან ადგილების დასაშრობად.

მუშა-მოსამსახურეებს უნდა აეკრძალოთ ბრინჯის თესვა რკინის გზის ფარგლებში.

სათბობი მასალა რიონის სანაოსნო საზოგადოებისათვის

ა.-კ. სახკომსაბჭომ საჭიროთ სცნო, რომ რიონის სანაოსნო საზოგადოებას სათბობი მასალა მიეცეს გეგმიან ფასებში. მომავალი წლიდან საზოგადოებისთვის საჭირო მასალა შეტანილი იქნება ა.-კ. ნავთსადგურთა განყოფილების გეგმიან მომარაგებაში და საზოგადოებას მიეცემა თვითღირებულების ფასებში.

შინამრეწველურ-მხატვრული ნაწარმოებების ექსპორტი

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით საბჭოთა კავშირში არსდება სააქციო საზოგადოება, რომელსაც დავალებული ექნება შინამრეწველურ-მხატვრული ნაწარმოებების ექსპორტი. საზოგადოების აქციონერებათ მიწვეულნი არიან კავშირში შემავალ რესპუბლიკების სარეწაო კოოპერაციის კავშირები.

ვინაიდან ამიერ-კავკასიაში არ არსებობს სარეწკოოპ კავშირის ფედერატიული ცენტრი ა.-კ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო რომ საზოგადოებაში აქციონერებათ შევიდნენ სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირები.

„ზაქსელმაში“-ს დივიდენდი

ა.-კ. სახკომსაბჭომ მოიწონა „ზაქსელმაშის“ აქციონერების საერთო კრების მიერ გამოყოფილ დივიდენდის, 12.676 მან. 81 კაპ. განაწილება შემდეგი მიზნებისათვის: სტანდარტიზაციის სამუშაოებისათვის—3.976 მან., ანგარიშების გამოსაცემად—350 მან., პრეის-კურანტის დასაბეჭდათ—1.750 მან., სას.-სამ. მანქანებით მომარაგების საკითხებზე თათბირის მოსაწვევათ —400 მან., ღარიბებს გლეხობის ფონდისათვის—2.000 მან., სახ. უნივერსიტეტის აგრონომიურ ფაკულტეტის კაბინეტისათვის სას.-სამ. მანქანების შესაძენათ—1.500 მან., ჯილდო „ზაქსელმაშის“ წლიური ანგარიშის შედგენისათვის—700 მან. საქართვ. მიწადმოქმ. სახ. კომისარიატის მოხსენების შემმოწმებელ სადგურისათვის—2.000 მან.

ჩათახის სიმდიდრეები

ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველომ ჩათახის რაიონის შესასწავლად მიავლინა გეოლოგი ქ. გაბუნია, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს რკინის მადნების მარაგი ჩათახის ცალკე უბნებში. გეოლოგ გაბუნიასთან ერთად მუშაობს სპეციალისტთა ჯგუფი.

ჩათახის რკინის მადნების მარაგის გამოსარკვევი მუშაობა დაიწყო გასული წლის ზაფხულზე, იმ ადგილას, სადაც უკვე სწარმოებდა მადნების ამოღება გამოირკვა, რომ მადნეულობის უმდიდრესი ფენა სხვადასხვა გეოლოგიური მოვლენების ზეგავლენით გაწყვეტილია და თვალსაჩინოთ დარჩენილა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, მეორე დიდი ნაწილი კი მიწის ზედაპირის ცვლილებების გამო დაფარულა უსარგებლო ნიადაგით. შარშან ექსპედიციის გამოკვლევების დროს აღნიშნული ფენა ამოჩენილ იქნა.

ექსპედიციის მუშაობა გაგრძელდება შემოდგომამდე.

ბორჯომის სატკეჩე ქარხანა

საქართველოს სატყეო ტრესტის ცნობით, დამთავრდა ბორჯომის სატკეჩე ქარხნის მდგომარეობის გამოკვლევა. რომელიც სწარმოებდა ივნისის მეორე ნახევარი გამოკვლევის მიხედვით ქარხნის მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება.

მიღებული ზომებით ჩანს წელს შესძლებს შეასრულოს დავალებები სავსებით.

გამოკვლევის მიხედვით ქარხანას ორ წყებაზე მუშაობის შემოღების შემდეგ დასჭირდება 42.000 კუბიკური მეტრი-ტყე. ორწყება მუშაობის შემოღებით ქარხანა წლიურად დაამზადებს 1 მილიონ კასრისთვის საჭირო ტკეჩს, ხოლო თუ მუშაობა იწარმოებს ერთწყებად, მაშინ ქარხანამ უნდა დაამზადოს 600.000 კასრისათვის საჭირო ტკეჩი.

ბორჯომის სატყეო აგარაკი, საკურორტო ტყეების გამოკლებით ქარხანას ნედლი მასალით უზრუნველყოფს 15 წლის განმავლობაში.

ქარხნის ნაწარმოების თვითღირებულების შესამცირებლად გადაწყვეტილია სატყეო მასივებში მოეწყოს პატარა მოძრავი ქარხნები, რომლებიც დაამზადებენ ნახევარ ფაბრიკატებს. ერთი ასეთი ქარხანაკი იწყობა ვანის ხევში. ქარხანა ამუშავებული იქნება 1 სექტემბრისათვის.

გადაწყვეტილია აგრეთვე ბორჯომის სატკეჩე ქარხანასთან მოეწყოს ნარჩენების მშრალად გამოსახდელი და გამოსამუშავებელი ქარხანა, რომლის პროექტი უკვე მუშავდება მოსკოვში. ხის ნარჩენების, როგორც არის ნახერხი, ბურბუშელა, ნაფოტ-ბუნძები და სხვ., გამოყენება ხელს შეუწყობს ქარხნის პროდუქციის გაიაფებას.

ამ ქარხნის აგებამდე განზრახულია ნარჩენები გამოყენებული იქნეს ბორჯომის მინერალურ წყლების ყუთებისათვის.

გენერალურ ხელშეკრულების თანახმად, წელს ქარხანა „მასლოცენტრისათვის“ და „მასლოვნეშტორგისათვის“ დაამზადებს 400.000 კასრისათვის საჭირო ტკეჩის კომპლექტს.

თუ როგორ უმჯობესდება ქარხნის მდგომარეობა, ამას გვიჩვენებს შემდეგი ციფრები:

გასულ წელს მარტიდან ოქტომბრამდე ე. ი. 7 თვის განმავლობაში ქარხანამ დაამზადა 142.270 კასრის ტკეჩი.

მიმდინარე წლის პირველ რვა თვეში კი ქარხანამ დაამზადა 225.723 კასრის კომპლექტი.

ქარხნის დღიური პროდუქცია უნდა უდრიდეს 2000 კომპლექტს, ნამდვილად კი ქარხანა დღეში ამზადებდა მხოლოდ 800—1120 კომპლექტს, ე. ი. 50 პროცენტს იმისას, რაც ქარხანას შეუძლია დაამზადოს ნორმალურ პირობებში.

ნაყოფიერების ასეთი სიმცირე გამოწვეული იყო ქარხნის მშენებლობის კონსტრუქტიული დეფექტებით, ნედლი მასალის მიწოდების შეფერხებით და მუშების დაბალი კვალიფიკაციით.

ეს ნაკლი თანდათან სწორდება და ნაყოფიერებაც იზრდება. მიმდინარე წლის აპრილში ქარხანა დღეში ამზადებდა 1419 კასრის კომპლექტს, ხოლო მაისში — 1597 კომპლექტს.

იზრდება აგრეთვე მუშების ნაყოფიერებაც: შარშან თითო მუშა დღეში ამზადებდა 4 კომპლექტს, ეხლა კი ამზადებს 7 კომპლექტს.

ივნისიდან შემოღებულია ინდივიდუალური ნარდი სამუშაო, რამაც კიდევ უფრო ასწია ნაყოფიერება, ამჟამად ქარხანა დღეში ამზადებს 1657 კომპლექტზე მეტს.

ქრონიკა

ლომბარდის კლიენტთა საყურადღებოდ

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. მგალობლიშვილმა განაცხადა: უკანასკნელ დღეებში ქალაქში გავრცელდა ხმები, თითქოს ქალაქის ლომბარდმა მიიღო განკარგულება—არ დაუბრუნოს მოქალაქეებს დაგირავებული ოქროეულობა და ხალიჩები. ამ ხმების შედეგად მოქალაქენი დაჩქარებით იბრუნებენ თავიანთ ნივთებს ლომბარდიდან. ამხ. მგალობლიშვილის სიტყვით ეს ხმები აშკარა პროვოკაციაა, ვინაიდან ამგვარი განკარგულება ლომბარდს არსაიდან მიუღია და იგი გააგრძელებს ყოველგვარ დაგირავებულ ნივთების დაუბრკოლებლივ დაბრუნებას.

„ლატფარი“ მოიგო ბილეთმა № 2730

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცხენთსაშენის განყოფილებამ დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტს შესწირა ინგლისური ჯიშის სრულსისხლიანი ულაყი „ლატფარი“, 2 წლის.

„ლატფარი“ 27 ივნისს გათამაშებული იქნა „უკეის კლუბში“ (ყოფ. არტო).

მოგება ხვდა ბილეთს № 2730. ბილეთის პატრონი ჯერ არ გამოცხადებულა.

ლატარიამ დასტოვა 4.562 მანეთი, რომელიც გადაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

სოფლის პროდუქტების დამზადება

„სოფლის კავშირი“ ხელშეკრულება დასდო „ზაკსოიუზთან“, რომელსაც „სოფლის კავშირმა“ შემოდგომამდე უნდა ჩააბაროს: თხილი —90.000 ფუთი, კართოფილი—20.00 ფ., კომბოსტო 70.000 ფ., ხახვი—20.00 ფ., ქარხალი —30.000 ფუთი.

ხელშეკრულების თანახმად თუ „სოფლის კავშირი“ აღნიშნულ რაოდენობაზე მეტს დაამზადებს, „ზაკსოიუზი“ ვალდებულია მიიღოს ზედმეტი რაოდენობაც.

თბილისის ალამსკომში

◆ **ხის ნაწარმის ქარხნის** გასაფართოებლად თბ. ალმასკომმა გადასდო 37.000 მან.

◆ **პატარა საავადმყოფოები.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრის მოზრდილ თემებში არსებული საექიმო პუნქტები გადააკეთოს პატარა საავადმყოფოებად.

მიწსახკომში

◆ **სეტყვა.** მიწსახკომში მიღებული ცნობებით, დუშეთის მაზრაში ამ დღეებში მოსულმა სეტყვამ გაანადგურა 40 ჰექტარი გაზაფხულის ნათესები. ზარალი დიდია.

◆ **ტექნიკურ მცენარეთა თესლი.** მიწსახკომმა უცხოეთიდან მიიღო ძვირფას ტექნიკურ მცენარეების თესლეულობა.

სხვადასხვა

◆ **შაქრის ქარხნის** ახალებ ადგილის ასარჩევად ამ დღეებში მოსკოვიდან ჩამოვა სპეციალური კომისია.

◆ **ექსკურსია.** დღეს ბათომში მიემგზავრება მედსანშრომის და განათლების მუშაკთა ექსკურსია.

◆ **ტუბდისპანსერის შენობაში.** (ბორჯომის ქ., 10), 3 ივლისს საღამოს 6 ს. შესდგება სოცდაზღვევის საბჭოს პლენუმი, რომელზედაც მოწვეულნი არიან ალმასკომების და ტუბწრეების წარმომადგენელნი.

◆ **თათბირი.** ორშაბათს, ა. წ. ივლისის 2 საღამოს 6 საათზე, ს. პ. კ. ს. დიდ დარბაზში დანიშნულია თათბირი შემდეგი დღის წესრიგით:

შრომის დაცვის მდგომარეობა და შრომის დაცვის კომისიების მუშაობა; შრომის პირობების გამორკვევა ფაბრიკა-ქარხნებში 5 წლ. გეგმის მიხედვით.

◆ **მისაღებ სტუდენტთა სასწავლო პროგრამა.** უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებით, წელს მისაღებ სტუდენტთა ჩასაბარებელ საგნების პროგრამა იგივე რჩება რაც იყო გასულ წელს. პროგრამების შეძენა შეიძლება უნივერსიტეტში.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ქუთაისიდან—სესიაშვილს, ცხინვალიდან — ბეროზაშვილს, ქუთაისიდან—წერეთელს, მოსკოვიდან— ზვიადაძეს, სოხუმიდან—ვეკუას, ჩხარიდან—ფანჩულაძეს, ტუაპსედან—პაატაშვილს.

ხელოვნება

სარეპერტუარო ბიულეტენი № 1

სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთავარმმართველობის სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭომ გამოუშვა სარეპერტუარო ბიულეტენი № 1. ბიულეტენში დახასიათებულია ის პიესები, რომლებიც მოწონებულია სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს მიერ საქართველოს თეატრებში დასადგმელად. პიესები დანაწილებულია სამ კატეგორიად: პიესები გამიზნული სოფლის თეატრისათვის, მუშათა კლუბებისათვის და პროფესიონალური თეატრისათვის, ბიულეტენს დართული აქვს სახალხო კომისართა საბჭოს და განათლების კომისარიატის ცირკულიარები, რომლის თანახმად აკრძალულია იმ პიესების დადგმა, რომლებიც ბიულეტენში არ არის შეტანილი. ასეთ პიესების დადგმისას საჭიროა საბჭოს სპეციალური ნებართვა. ბიულეტენი შედგენილია: შ. დადიანის, ს. თოხაძის, კ. კალაძის, გ. მაჭავარიანის, ელ. პოლუმორდვინოვის, ზ. ჭელიძის, პლ. ქიქოძის, ს. ჩიქოვანის და ა. შეიშვილის მიერ. ბიულეტენში შეტანილია 70 პიესა, ღირს 50 კაპ.

ეროვნულ უმცირესობათა თეატრები

სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთავარმმართველობა შეუდგა თბილისის თურქულ და სომხურ სახელმწიფო თეატრების ორგანიზაციას მომავალი სეზონისათვის. თურქული დრამის ხელმძღვანელად მოწვეულია ბაირამოვი. მთავარ რეჟისორად კირმან შახლი.

მორიგ რეჟისორად კაჩაკეზიანი.

სახელმწიფო კონსერვატორიაში

საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიამ შემოქმედებითი და სადირიჟორო კლასების ხელმძღვანელად მოიწვია ცნობილი პროფესორი ბაგრინოვსკი.

ქუთაისი

(ტელეფონით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

აბრეშუმის პარკის მოსავალი

22 ივნისიდან დაიწყო აბრეშუმის პარკის მიღება. სჩანს, რომ წელს საშუალო მოსავალი ერთ კოლოფზე აღემატება ორ ფუთს. გასულ წელში მოსავალი უდრიდა ერთ ფუთსა და 5 გირვანქას კოლოფზე. წელს მთელ საქართველოში დარიგებული იქნა 80 ათასი კოლოფი თესლი. გასულ წელს დარიგებული იყო 92.000 კოლოფი. დარიგებული თესლის მიხედვით, მოსავალი წელს თითქოს ნაკლები უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ გასულ წელში მივიღეთ 105 ათასი ფუთი პარკი, წელს მოსავლის რაოდენობა უნდა ვიგულისხმოთ 150-დან 180 ათას ფუთამდე. ვინაიდან „საქართველოს აბრეშუმი“ არ მოელოდა ასეთ მოსავალს, პარკის დამზადებისათვის საჭირო ფარდულები მას საკმაო არ აღმოაჩნდა. ამ შემთხვევაში მთელი იმედები დამყარებულია იმ მექანიკურ საშრობებზე, რომლებიც „საქართველოს აბრეშუმს“ მთავარ პუნქტებში აქვს მოწყობილი 11 ადგილას.

უნდა აღინიშნოს შემდეგი: წელს წარსულ წელთან შედარებით მეტი იყო დარიგებული ყვითელი თესლი, რომელმაც ძალიან კარგი მოსავალი მოგვცა. მეაბრეშუმენი მეტად კმაყოფილნი არიან მოსავალით.

22 ივნისიდან დღემდე მიღებულია 200 კილოგრამი პარკი. ამჟამად სხვადასხვა ფარდულებში საქართველოს მასშტაბით მუშაობს 1.500 ქალი და კაცი.

ორი ახალი ძაფსახვევი ქარხანა მუშაობას დაიწყებს 1-ლ ივლისიდან, [illegible] ქარხანა ამუშავებს მანამდე, სანამ მისი დაზგები გადატანილ იქნა ქუთაისის ქარხანაში.

კაპიტალური შეკეთების შემდეგ 25 ივლისიდან მოქმედება დაიწყო სამტრედიის ძაფსახვევმა ქარხანამ. ქუთაისის ძაფსახვევი ქარხანა მუშაობას დაიწყებს შემოდგომიდან, რადგან შენობის აგება დაგვიანდა.

გამფლანგველის პასუხისგებაში მიცემა

ქუთაისის გამსახლის ადგილკომის თავმჯდომარე ხონელიძე სხვადასხვა ყალბი საბუთების შედგენისა და ფულის გაფლანგვისათვის მოხსნილია თანამდებობიდან, გამორიცხულია პარტიიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

დახმარება [illegible] ბავშვებს

უპატრონო ბავშვების აღსაზრდელად სახაზო ბაღებში ა.-კ. ცაკ-იდან მიღებულ იქნა 1.500 მანეთი.

მძარცველთა გასამართლება

ამ დღეებში ქუთაისის სამაზრო სასამართლო გვარჩევს აფხაიძის, გაგუას, ვაშაკიძის და გეგეშიძის საქმეს, რომლებიც სისტემატიურად ეწეოდნენ პატიმრების ძარცვას. მათვე გაძარცვეს გამსახლის კოოპერატივი. მათ ბრალად ედებათ 191 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც გულისხმობს უმაღლეს სასჯელს.

რას მიიღებენ ქუთაისის დაზარალებულნი სახდაზღვევიდან

ქუთაისში მომხდარ დიდი ხანძრისაგან გამოწვეული ზარალის გამოსარკვევად სახდაზღვევის კომიტეტმა მიავლინა ტექნიკოსი, რომელმაც სახ. დაზღვევის ადგილობრივ სააგენტოსთან ერთად აღწერა ხანძრისაგან დაზარალებული შენობები, და შეადგინა სათანადო აქტები.

მასალების დამუშავებით გამოირკვა, რომ ხანძარმა გაანადგურა 229 საცხოვრებელი შენობა და ერთი სინაგოგა. აქედან 220 სახლი ეკუთვნოდა კერძო მფლობელებს, 9 სახლი—ქუთაისის ალმასკომს. განადგურდა აგრეთვე ქალაქის ალმასკომის კუთვნილი 58 დარაბა რომლებიც მოთავსებული იყო დამწვარი შენობების ქვედა სართულში.

ხანძრით დაზარალებულ შენობებიდან დაზღვეული იყო: სინაგოგა—38.243 მანეთში, 178 კერძო სახლი—137.134 მან. 32 კაპეიკში, ალმასკომის 3 შენობა—12.825. მან. 98 კაპეიკში, დანარჩენი 42 კერძო შენობა არ ყოფილა დაზღვეული, ამ სახლების საერთო ღირებულება შეადგენს 16.000 მანეთს. სახდაზღვევამ მიიღო მხედველობაში დაზარალებული მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა და აღნიშნული ზარალი, მიუხედავად იმისა, რომ შენობები არ იყო დაზღვეული მაინც ანაზღაურებული იქნება დაზღვევის ნარჩენების გამოკლებით.

ალმასკომის 58 დარაბიდან დაზღვეული იყო მხოლოდ 14 (9.815 მანეთში 88 კაპ.) დანარჩენ დარაბებზე, რომელთა ღირებულება 35.931 მანეთს უდრის გამოთხოვილია საჭირო მასალა და შესაძლებელია მათი ანაზღაურებაც.

ამრიგად სახდაზღვევის მიერ ანაზღაურებული იქნება 220 კერძო სახლის ღირებულება 153.134 მან. და 32 კაპ. რაოდენობით. სინაგოგის, 58 დარაბის და 3 შენობის ღირებულებას—96.868 ხმან. და 86 კაპ. მიიღებს ქალაქის ალმასკომი.

მთელი ზარალი სახ. დაზღვევას უჯდება 250.000 მანეთი და 18 კ. ამ თანხიდან 50.000 მანეთი უკვე გადაიგზავნა; დანარჩენი თანხა თანდათანობით გაიგზავნება. ამასთანავე პირველ რიგში ანაზღაურებული იქნება კერძო მფლობელთა ზარალი.

ხანძრის შედეგებთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება შევნიშნოთ ერთი რამ: ქუთაისის ალმასკომი, იმის ნაცვლად, რომ დაინტერესებული იყოს მთელი შენობების დაზღვევით, რაც უზრუნველყოფს ქალაქს ხანძრით მოსალოდნელი ზარალისაგან, თვით ერიდება საკუთარი შენობების დაზღვევას.

სახდაზღვევის სააგენტომ რამოდენიმეჯერ მიმართა ალმასკომს, რათა დაეზღვია თავისი ნაგებობანი, ის კი თანხების უქონლობის მომიზეზებით დღემდე აჭიანურებს ამ საქმეს. ალმასკომის მფლობელობაში მყოფ შენობებიდან, რომელთა რაოდენობა ასზე მეტია, — დაზღვეულია მხოლოდ 13. ეს გარემოება მოწმობს, რომ ალმასკომი ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს სახდაზღვევის საკითხებს, რაც არანორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

კიდევ ერთი ნაკლი, რომელიც მომავალში აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ქუთაისში გატარებული იყო სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა. ასეთი დაზღვევა იძლევა ზარალის მხოლოდ 5-დან 50 პროცენტამდე ანაზღაურების საშუალებას, რის გამოც ქუთაისში ანაზღაურებული მოდის მთელი ზარალის მხოლოდ 29,85 პროც.

არის კიდევ დაზღვევის მეორე წესი,—ე. ი. ნებაყოფლობითი დაზღვევა,—რომლითაც შესაძლებელია ნაგებობათა მთელს ღირებულების ანაზღაურება უბედური შემთხვევის დროს.

ქუთაისში, რომ გატარებული ყოფილიყო შენობების დაზღვევის ასეთი წესი, ანაზღაურებული იქნებოდა არა 250.000 მანეთი, არამედ დამწვარ შენობების მთელი ღირებულება.—838.845 მანეთი. მომავალში სამაზრო ალმასკომმა და მაზრის სხვა ორგანოებმა უნდა მიიღონ სათანადო ღონისძიებები იმისთვის, რომ განუმარტონ ქალაქის მოსახლეობას შენობების დამატებითი (ნებაყოფლობითი) წესით დაზღვევის სარგებლიანობა და მნიშვნელობა.

მ. პ.

ფართალი

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა აცნობა საქართველოს ვაჭრობის კომისარიატს, რომ მეოთხე კვარტალის ანგარიშში საქართველოს საჭიროებისათვის სასწრაფოთ გამოიგზავნა 10 ვაგონი ფართალი.

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით ამ რაოდენობიდან 2 ვაგონი ფართალი გადაეცემა „აჭარისტანის სახ. ვაჭრობის საპაიო ამხ-ბას, 6 ვაგონი „საქართველოს სახ. ვაჭრობის საპაიო ამხ-ბას და 2 ვაგონი „აფხაზეთის სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას“.

ექსკურსიები

წელს ბათომს გაცილებით მეტი ექსკურსანტები მიაწყდენ, ვიდრე შარშან. ყოველდღე რკინის გზით და ზღვით ჩამოდის 300-დე კაცი. აჭარისტანის პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის საექსკურსიო-ტურისტულმა ბიურომ საექსკურსიო ბაზები მოაწყო ბათომის სკოლებში. სულ მოწყობილია 9 ბაზა, რომლებიც ერთდროულად მიიღებენ 800 კაცს.

ამას გარდა, ივლისის პირველ რიცხვებში საექსკურსიო ბაზა იხსნება ქობულეთში. ბაზებთან გახსნილია სამკითხველოები, რომლებიც ღებულობენ ყველა ჟურნალ-გაზეთებს; რეგულიარულად ეწყობა საუბრები და ლექციები, კინო-სეანსები და სხვა. მოგვარებულია ექსკურსანტებისათვის პურის და სხვა პროდუქტების მიწოდება. იმ ადგილებში, რომლებსაც უფრო ეტანებიან ექსკურსანტები (ბოტანიკური ბაღი, მწვანე კონცხი და სხვა), გახსნილია კიოსკები, სარძევეები, რომლებიც მინიმალურ ფასებში აწვდიან ექსკურსანტებს სურსათ-სანოვაგეს.

დღევანდლამდე საექსკურსიო ბაზებში გაიარა 9.000 ექსკურსანტმა. სულ სეზონის განმავლობაში ბაზებში გატარებული იქნება 40.000 კაცი, წინააღმდეგ 12.000 კაცისა, რომლებიც გატარებული იქნა შარშან.

რკინისგზაზე

კრედიტების განაწილება

ა.-კ. რკ. გზების გამგეობამ გაანაწილა 1927—28 წლის ხარჯთაღრიცხვით გზათა ცენტრალურ სამმართველოდან მიღებული კრედიტები.

საერთო თანხიდან სალიანდაგო სამსახურს გადაეცა 7.136.523 მან. შემდეგ სამუშაოთა საწარმოებლად: სადგურების და კვანძების კეთილმოსაწყობათ—879.250 მან., გადასარბენთა მოსაწყობათ—879.250 მან., მეორე ლიანდაგის გასაყვანად—3.047.000 მან., ხელოვნურ ნაგებობათა ასაგებათ—1.108.700 მან., წყალსადენის მოსაწყობათ—169.405 მან., ტექნიკურ და სხვა ნაშენთა ასაგებათ—773.132 მან., მათ შორის 110.000 მან. მოხმარდება წევის დარგის სახელოსნოების მოწყობას) და სხვ.

გარდა ამისა, წევის დარგს მიეცა 1.246.000 მან., რომელიც მოხმარდება ახალი დეპოებისა და სახელოსნოების მოწყობას.

ფერმების გადაცემა

ა.-კ. რკინის გზების გამგეობამ დაადგინა გადასცეს საექსპლოატაციო მიზნებისათვის ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს: ნოგელის და ტეხურის ძველი ხიდების ფერმები.

ტელეგრაფის ბოძები

ა.-კ. რკ. გზების გამგეობამ ხელშეკრულება დასდო რუსეთის სატყეო სინდიკატთან 1.100 ცალი ტელეგრაფის ბოძის დასამზადებლად. შეკვეთილი მასალა ა.-კ. რკინის გზას უნდა გადაეცეს 1929 წლის აპრილისათვის.

შპალები

ა.-კ. რკინის გზების გამგეობამ ხელშეკრულება დასდო რუსეთის სატყეო სინდიკატთან 480.000 ცალი შპალის დასამზადებლად, იმ პირობით, რომ 100.000 ცალი შპალი გადმოეცემა ა.-კ. რკინის გზას 6 თვის განმავლობაში დღიდან ხელშეკრულების დადებისა, 50.000 ცალი შემდეგი სამი თვის, ხოლო დანარჩენი ნაწილი კიდევ სამი თვის განმავლობაში. პირობის თანახმად შპალების 25 პროც. უნდა იყოს ნაძვის, ხოლო 75 პროც. ფიჭვის.

სტამბოლი-ანგორა

(მგზავრის შთაბეჭდილებანი)

სტამბოლზე უფრო მეტი [illegible] ვიყავი. ვინც არ ენახე, ყველამ ცამდი აიყვანა და ალბად ეს არის მიზეზი, რომ ქალაქს გარეგნულად მაინც და მაინც არაფერი შთაბეჭდილება მოუხდენია. ევროპიულ ნაწილში ყველაზე უკეთესი და ერთად ერთი ქუჩა პერა არის, ისე როგორც ჩვ., თბილისის გამოღმა ნაწილში რუსთაველის ქუჩა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ რუსთაველის ქუჩა ორ-სამჯერ უფრო განიერია. პერას [illegible] 4-6 სართულიანი სახლები ამშვენებენ. საუკეთესო მაღაზიები აქ არის, გავსებული უამრავი საქონელით რომელიც იზიდება ევროპის ყველა სახელმწიფოებიდან. პერას გარშემო ქუჩები და შესახვევები ისეთივეა როგორც თბილისში შუა ბაზრის იქით. ქუჩაში ეტლები არ არის. იმათ მაგივრობას ასრულებენ ავტომობილები, რომლებითაც მოგზაურობენ. ქუჩებში და მოედნებზე დღე-ღამ დადიან ფეხზე მოვაჭრენი და ჰყიდიან ყოველგვარ სანოვაგეს და სხვა ნივთებსაც კი. პერიდან მიწისქვეშა ტრამვაით გადიხართ გალატაში. გალატა ეკვრის ევროპიულ ნაწილს „ოქროს რქის“ ნაპირიდან ბოსფორის გასწვრივ, სადაც ჩერდება გემები. გალატა მით არის შესანიშნავი, რომ ეს რაიონი მუდამ სავსეა სხვადასხვა ეროვნებების ხალხით. აქ იპოვით ყველა ქვეყნის მეზღვაურებს, ყველა ჯურის ხალხს. ყოველნაირ ენას აქ იგონებთ — რუსულს, ფრანგულს, ესპანურს, ინგლისურს და სხვას. ამ რაიონში და აქაურ კაფეებში თავისური მორალური კანონია საუკუნეებით დამკვიდრებული. მთელი ქუჩა მოფენილია „მხიარული სახლებით“ თითქმის ტიტველი ქალები ზანტად დადიან, სხედან კიბეებზე ან წამოწოლილი არიან ღია ოთახებში ქუჩის პირად და ყველა გამვლელ მამაკაცს ღიმილით და თვალის პაჭუნით მოუხმობენ. ეს დაწესებულებანი სრულიად ლეგალურად არსებობენ. მამაკაცები შედიან შიგ სრულიად თავისუფლად, მოურიდებლად, ისე როგორც ჩვენში შედიხართ დუქანში და ყიდულობთ ასანთს, და ეს თავისათვის დასაძრახისათ არ ითვლება.

ერთი შეხედვით ეტყობათ სტამბოლს, რომ ის უაღრესად ინტერნაციონალური ქალაქია. ქუჩებში ყველანაირი ენა გესმით, მაგრამ უფრო ხშირად ფრანგული, ოსმალური და ბერძნული. ხშირად ისმის რუსულიც. რუსული ენით სტამბოლში არ დაიკარგებით. რუსულის მცოდნეს ძალიან ხშირად წააწყდებით ვაჭართა შორის. ეს მეტ წილად მიეწერება თეთრგვარდიელებს, რომელნიც აქ წინედ ბლომად იყვნენ. უკანასკნელ ხანებში კი სტამბოლიდან ბევრი თეთრები გაუძევებიათ. ცოტანი კიდევ დარჩენილან, მაგრამ ძალიან ცუდ გუნებაზე არიან, რადგან ისინიც გაძევების წინ დგანან.

ვსადილობდით რუსულ სასადილოში. პატრონი რუსი ებრაელია, ყოფილი მსხვილი ვაჭარი ნოვოროსიისკში. როგორც თვითონ გვითხრა, ნოვოროსიისკიდან 21 წელს გადასახლებულა პალესტინაში, მაგრამ იქ „ძალიან ცუდი საცხოვრებელი აღმოჩნდა“-ო და ამიტომ გადმოსულა სტამბოლში. მოსამსახურეები თეთრგვარდიელები არიან. „Беру бифштекс“. „Дать 2 супа“, —თქვენ მიცემულ შეკვეთას „რაინდულად“ გადასძახებს ხოლმე მსახური მზარეულს. მაშინვე ეტყობათ, რომ მიჩვეულია ასეულისათვის ბრძანების მიცემას. მისი მიმართვა „на право“ და „на лево“-ს გავს. ყოფილი კაპიტანი ყოფილა, მამა კი ცნობილი ვრანგელის გენერალი. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ლაქიობას შესანიშნავად ასრულებენ. თვეში იღებენ 20-25 ლირას და სასმელ-საჭმელს. ცდილობენ გააბან ჩვენთან ბაასი, გაიგონ აქაური მდგომარეობა და შეუძლიათ თუ არა უკან დაბრუნება. ყველა მათგანი ამბობს, რომ „მოსტყუვდნენ“, რომ ისინი „არაფერ შუაში არიან“ და სხვა.

გადავათვალიერეთ თეთრგვარდიელთა ჟურნალ-გაზეთები. ძველი ორფოგრაფია მთლიანად ხელუხლებელია. შავრაზმელების „ვოზროჟდენიე“-ს სააღდგომო ნომერში პირველ გვერდზე ასოებით სწერია:

„Поздравляю зарубежное русское христолюбивое воинство с светлым праздником Воскресения Христа! Христос Воскресе!

Великий Князь Николай“.

სულ ისე, როგორც ეს იყო ნეტარხსენებულ ნიკოლოზის დროს, თითქო ბევრი არაფერი გამოცვლილიყოს.

„ვოზროჟდენიე“-ს მილიუკოვის „პოსლედნიე ნოვოსტი“-ც არ ჩამოუვარდება. ერთ ერთ განცხადებაში სწერია, რომ დაუარსებიათ საიუბილეო კომიტეტი ვიღაცა „კნეინას“ თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა მოაწყოს ზეიმი ვიღაც დეკანოზ პ. ნ. სმირნოვის „25 წლის მღვდელთ-მსახურების გამო“. ძალიან დროს ტარება ჰქონიათ. რაც უსაქმო გენერლები და თავადები ყოფილან, ყველა წევრებათ შეუყვანიათ. ეტყობა, ეს დეკანოზი დიდი „დამსახურებული“ კაცი ყოფილა.

გაზეთებში თითქმის ყოველ დღე სწერია თვითმკვლელობაზე თეთრებს შორის. როგორც ეტყობა, თვითმკვლელობა მოსწავლე ახალგაზრდობაში გავრცელებულია, რადგან თეთრი გაზეთები დიდი განგაშით სწერენ ამის შესახებ.

სტამბოლის მთავარი ქუჩები გავსებულია ხალხით. ბუზებივით ირევიან, მაგრამ ვერ ატყობთ, რომ საქმის გამო მიმოდიან. კოხტად და ლამაზად ჩაცმულები აუჩქარებელი ნაბიჯით დადიან. მოსეირნე და ტყვილა-უბრალოდ მოხეტიალეთ უფრო ჰგვანან. შემოდგომაზე ჩატარებულ აღწერას გამოურკვევია, რომ სტამბოლში 800 ათასამდე კაცი ცხოვრობს. მოელოდნენ მილიონ ორას-ხუთას ათასამდე მცხოვრებს. სტამბოლში დაახლოვებით 25 პროც. უცხოელები არიან, დანარჩენები კი თურქები.

დავათვალიერეთ აია-სოფია, — ეს შესანიშნავი ნაშთი ძველი საბერძნეთის ხუროთ-მოძღვრებისა, შეუდარებელი თავისი სიდიდით და სილამაზით. მართლაც, განცვიფრებაში მოდიხართ, რომ ხუროთ-მოძღვრებას მე-4 საუკუნის დასაწყისში შეეძლო ასეთი იშვიათი რამ შეექმ. თურქების მიერ მე-16 საუკუნეში დადგმულ 4 მინარეთს ქრისტიანულსტილი სრულებით ვერ შეუცვლიათ მაინც ეკლესიას გავს როგორც შიგნით, ისე გარეთ. დავათვალიერეთ აგრეთვე ეროვნული მუზეუმი. მუზეუმში თურქული, წმინდა ეროვნული არაფერია, მაგრამ აქ არის მდიდარი კოლექცია ანტიური ეპოქის—ძველი საბერძნეთის და რომის კლასიკური მოქმედების მთელი სურათი, ძველი ეგვიპტე თავისი სარკოფაგებით და ფარაონებით, კულტურის ნაშთები არეთის და ყველა ისტორიული ერის, რომლებიც შორეულ წარსულში დასახლებული იყვნენ ხმელთა-შუა ზღვის ნაპირებზე. იქავე, იმავე შენობაში მოთავსებულია სულთანის სახლის ჭურჭლეულობა, განსაკუთრებით ფარფორის. ყურადღებას იქცევს ჭურჭლეულობაში თავისი მოხაზულობით და გარეგნული მხატვრობით ფრანგეთის ფარფორი და აღმოსავლის ხალხებისაში—ჩინეთის.

შენობებიდან განირჩევა ბალდათის სასახლე—ყოფ. სულთანის აბდულ მეჯიდის სასახლე, „ტოფ-კაპუ“—სამხედრო მუზეუმი და „იერე ბათან სარაი“. უკანასკნელი წარმოადგენს უზარმაზარ აუზს მიწის ქვეშ, სადაც ძველად ომის დროს ინახებოდა სასმელი წყალის დიდი მარაგი. ზევით ქუჩები და სახლებია გამართული. ამ უწყალო ქვეყანაში (სტამბოლში წყალის ნაკლებობაა) ეს აუზი თავისი მარაგით ძველად დიდი განძი ყოფილიყო. ეხლა მხოლოდ ნავია ზედ სასეირნოდ გამართული. ელექტრონის შუქი უხვად აფრქვევს სხივებს აუზის მაღალ თაღებზე, რომლებსაც იკავებს 300 მარმარილოს ბ.

მეტის მეტად ლამაზია სტამბოლი ღამით, განსაკუთრებით „ოქროს რქა“, რომელშიც ბლომად ირევა პატარა-პატარა გემები ქუჩების სანათურების ჩრდილებთან ერთად, რაც ზღაპრულ შთაბეჭდილებას ქმნის.

გაზაფხულზე სტამბოლს ბევრი ტურისტი ეტანება. ჩვენთან ერთად მუზეუმებში ბევრნი იყვნენ გერმანელები და დიდი ინტერესით ათვალიერებდენ ყველაფერს.

სტამბოლში ბევრი რამ მოგვეწონა მე და ჩემ ამხანაგს, მაგრამ ერთის რა მოგახსენოთ: რაც არ ვიყიდეთ—ყველაფერში მოგვატყუეს. აქაურ ვაჭრებს ორი ფასი ჰქონიათ—ერთი უცხოელებისათვის მეორე ადგილობრივთათვის. ყველა გვაფრთხილებდა, მოგატყუებენ, ჭკუით იყავითო, მაგრამ მაინც მოვტყუვდით.

ოთხი დღის შემდეგ ჩავჯექით პატარა გემში და ბოსფორის და მარმარილოს ზღვის შესართავზე გადავიარეთ, რომ სკუტარით, სად. ჰაიდარ ფაშიდან მატარებლით ანგორისაკენ წავსულიყავით.

სტამბოლიდან ანგორამდე 600 კილომეტრამდეა. 17 საათის სავალია. მივდიოდით ბაღდადის რკინის გზით, რომელიც საბედისწერო გახდა ძველი გერმანიის და დანარჩენ იმპერიალისტურ სახელმწიფოების ურთიერთ დამოკიდებულებისათვის. აი ეს გზა იყო იმპერატორ ვილჰელმის ოცნება—ბერლინი-ბაღდადი. მატარებელი კარგად მიდის. ვაგონებში სისუფთავე და წესიერება არის დაცული. ძალიან ცხელა. მხოლოდ აპრილის მეორე ნახევარია, მაგრამ დედამიწას ალმური ასდის, ან კი რა გასაკვირველია: ერთი ძირი ხე არსად არის, გარშემო მოტიტვლებული მინდვრები და თეთრი კიროვანი კლდეებია. მდინარე არც ერთხელ არ შეგვხვედრია. ძალიან იშვიათად წავაწყდებოდით ხოლმე ნახევრად ამომშრალ ღელეს. უწყალო ქვეყანა ყოფილა. ალბად ეს არის მიზეზი, რომ სოფლები არ მოსჩანან. ღარიბი ბუნებაა და, ცხადია, მოსახლეობაც ღარიბი უნდა იყოს.

ანგორაში ნაშუადღევის 2 ნახევარ საათზე მივედით. სადგურზე ჩვენები შეგვხვდნენ და საჩქაროდ დაგვაბინავეს. ძალიან გამეხარდა ნაცნობის ნახვა—ამხ. ბორის კუზნეცოვის, რომელიც გასულ წლამდი თბილისში მუშაობდა კავკასიის წითელდროშოვან არმიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე და ეხლა აქ არის სამხედრო ატაშედ. სიამოვნებით იკისრა ჩვენთვის ანგორის გაცნობა.

ანგორა (ძველებურად ანკირა) ძალიან ძველი ქალაქია. ანგორას უნახავს ბიზანტიის და რომის ბატონობა აქ იყვენ მონღოლები და სელჯუკები. ანგორის ციხის ჩამონგრეული კედლები მოწმობენ, რომ ეს ქალაქი მცირე აზიაში ერთ-ერთი საყურადღებო სტრატეგიული პუნქტი იყო. რომის იმპერატორის ავგუსტის დროის (ქრისტეს დაბადებამდე 1-ლ საუკუნეში) ტაძრის ნანგრევები ლათინური წარწერებით და თავისი ღმერთებით, გამოკვეთილი თავიდან ბოლომდე თეთრი მარმარილოსაგან, ციხის კედლები, ბოძები და ჩუქურთმები იმავე მარმარილოსაგან ამტკიცებენ ქალაქის ისტორიულ წარსულს. ძველად ეს ქალაქი მოწყობილი ყოფილა 3.000 შადრევანით, აბანოებით და წყალსადენით. ეხლა კი წყალის მხრით ქალაქში იგივე მდგომარეობაა, რაც მის მიდამოებში. ქალაქს წყალი არ ყოფნის. აქაური სასმელი წყალი კარგი თვისების არ არის და ვისაც საშუალება აქვს, სტამბოლიდან ჩამოტანილ წყალს სვამს.

დედა-ქალაქის სტამბოლიდან აქ გადმოტანამ ანგორის ცხოვრებაში დიდი ცვლილება შეიტანა. პრეზიდენტი აქ ცხოვრობს, ყველა სახელმწიფო დაწესებულებების ცენტრები და უცხოელთა საელჩოები აქ არიან და, რა თქმა უნდა, ქალაქის ზრდაზე ამან დიდი გავლენა იქონია. მოსახლეობა უდრის დაახლოვებით 55—60.000. ძველ ოსმალეთში სტატისტიკა არ იყო და ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რამდენი იყო წინედ მოსახლეობა, დაახლოვებით 30—35.000 ვარაუდობენ. აქედან ნახევარზე მეტი ბერძნები და სომხები იყვნენ, მაგრამ სამოქალაქო ომმა დიდი უმრავლესობა მათგანი იმსხვერპლა, ბევრი კი გაიხიზნა ანგორიდან. ამჟამად ქალაქის მცხოვრებლები განსაკუთრებით თურქებია, ბერძნები და სომხები თითქმის სულ აღარ არიან.

აღმშენებლობა ანგორაში სწრაფი ტემპით მიდის. ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში რამოდენიმე ასეული სახლი აუშენებიათ. აფართოვებენ და ამშვენიერებენ ქუჩებს, მოედნებს. აშენებენ მცენარეებს, რომელსაც აქ, ამ ხმელ ქვეყანაში დიდი ფასი აქვთ.

ქალაქში პრეზიდენტისათვის 3 ძეგლი დაუდგამთ. ერთი ძველ ქალაქში არის—მოედანზე. ქემალ-ფაშა მაღალ საძირკველზეა შემდგარი ცხენზე მჯდომარე. ძირს ორი ჯარის კაცი სდგას თოფით ხელში და სადღაც შორს იცქირებიან. მეორე მხრიდან კი გლეხის ქალია მიმავალი; ხვითქი ჩამოსდის, დაღლილა, მაგრამ თავდადებით მიაქვს მხარზე ყუმბარა. ეს ქალი განსახიერებაა იმ დიდი ენერგიის, რომელიც გამოიჩინა ეროვნულ ომში თურქ ქალმა. ომის დროს ის ჯარის კაცებთან ერთად პირველ რიგებში იყო და იტანდა ომის ყოველგვარ სისასტიკეს და გაჭირვებას. მეორე ძეგლი პრეზიდენტისათვის მუზეუმის წინ დაუდგამთ. ღაზი აქაც ცხენზეა. ხმალ ამოღებულს მერანისათვის ქუსლი მიუცია და წინ მიიწევს. მერანი ყალყზე შემდგარი ნახტომს აკეთებს. ეს ძეგლი სიმბოლოა დღევანდელი ოსმალეთის, რომელიც ძველი ადგილიდან დაიძრა და წინ მიდის ევროპიული ცივილიზაციისაკენ. მესამე ძეგლი დადგმულია შადრევანთან ახალ ქალაქის მოედანზე. აქ პრეზიდენტი მხოლოდ სდგას, სამხედრო ფორმაში.

მიუხედავად იმისა, რომ ანგორაში აღმშენებლობა ჩქარი ტემპით მიდის, საბინაო კრიზისი მაინც დიდია. ბევრი დეპუტატის და სახელმწიფო მოხელის ცოლშვილნი სტამბოლში ცხოვრობენ. საზაფხულო არდადეგების გამო მეჯლისის დახურვისათანავე დეპუტატები საჩქაროდ სტამბოლში გაეშურენ. ანგორის გარშემო ძალიან ღარიბი ბუნება არის. იქა-აქ პატარა ხევებში ჩასახლებულია რამოდენიმე სოფლელები და მათ დიდის შრომით მოუშენებიათ ბაღები. წყალის ნაკლებობა ყველაფერს დაღს ასვამს. წვიმა ზაფხულობით იშვიათად იცის და უკვე მინდვრებმა გაყვითლება დაიწყეს. თუ სადმე შემჩნეული აქვს მცენარეულობას მწვანე ფერი, ეს უსათუოდ იქ, სადაც ცოტათი მაინც წყალი ახლავს ან ხელოვნურად რწყავენ.

წყალის ნაკლებობის გამო არა თუ ქალაქი თავისი მიდამოებით, არამედ მთელი რაიონები გაჭირვებას განიცდიან. ეს გარემოება ძალიან აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას და გარდაუვალ საზღვარს უდებს ქალაქის განვითარებასაც.

პრეზიდენტი ქალაქიდან 6 კილომეტრის მანძილზე ცხოვრობს ჩანკაიაში, მომაღლო ადგილზე. აქეთკენ გაყვანილია მშვენიერი გზატკეცილი და ახალი ქალაქიც აქეთკენ წასულა. ეს გზა გარშემო გაშენებულია ახალი სახლებით და თავისუფალ ადგილზე ამჟამადაც აგებენ შენობებს. აქეთ არის ყველა საელჩოები. ჩვენი საელჩო ქალაქიდან 4 კილომეტრის მანძილზეა. მიმოსვლა ქალაქთან მოწესრიგებულია. ავტობუსები მუშაობენ და რაიმე უხერხულობას ადგილი არ აქვს.

საზოგადოთ, როგორც ყველა მუსულმანურ ქალაქებში, ევროპიელებისათვის აქ მოწყენილობა არის. გარდა ორი კინოსი და ერთი საზაფხულო ბაღისა, სხვა არაფერია. მაღაზიის დაკეტვის შემდეგ ქალაქი ცალიერდება. მხოლოდ ყავახანებში არის ხალხი, რომელიც თავს იქცევს ბანქოს, ნარდის და დომინოს თამაშით. სასიამოვნო ნარგელეს ნელნელა აბოლებენ. წითელი ქუდები (ფესკები) კარგა ხანია გადავარდა, მხოლოდ მოლებს და ხოჯებსღა შერჩენიათ. ჩადრიან ქალებსაც ვერსად შეხვდებით; სოფლელ ქალებსაც კი აუხდიათ და თავისუფლად დადიან აჭარულ შარვლების (ჩაქჩირის) მაგვარ სამოსელში. ქალები ლამაზები არიან; მონღოლური სახეები მათში მეტია, ვიდრე მამაკაცებში. ტანად ხშირად სქელები და მსხვილი ფეხებით. ალბად საუკუნოებით ჯდომამ და კარჩაკეტილმა ცხოვრებამ ქალების ტანადობას თავისი ნიშანი დასდო.

ავღანისტანის მეფის ჩამოსვლამ ქალაქი გამოაცოცხლა. ქუჩები მოირთო და მოიკაზმა დროშებით. სახლების მოაჯირზე ყვავილები და ლამაზი ნოხები გამოიყურებიან.

ჩქარა ბაირამი დაიწყება. მართლმორწმუნე მუსულმანები შესახვედრად ემზადებიან. ბაირამის დაწყებას, როგორც წესი ყოფილა, ზარბაზნები გვამცნობენ.

ე. კ.

ანგორა.

შემთხვევები

[illegible] ქმარი დაასახიჩრა, შემდეგ თავი მოიკლა

გუშინ, დილით, კონსტანტინე სტურუას (მცხ. კლარა ცეტკინის ქ. № 148) ქუჩაში ზურგიდან მიეპარა მისი ყოფილი ცოლი ლიდა სერგოს ასული სტურუა და დასახიჩრების მიზნით კისერზე დაასხა კარბოლის სიმჟავე. სტურუას დაზიანებული აქვს სხეულის ნაწილი. მას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება.

ამის შემდეგ სტურუას ქალი მივიდა სტუმრათ მოქ. თოფურიას ბინაზე (ტატიანეს ქუჩა № 15) და თვითმკვლელობის მიზნით დალია იოდი. სტურუას ქალი გაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნება.

დაჭრა

გუშინწინ, საღამოს, ვარაზის ხევის მახლობლად გზაზე მიმავალნი: გიორგი ბერის ძე აფციაური და გაბო წიკლაური წალაპარაკდნენ. მგზავრებმა ერთმანეთი შეამკეს უწმაწური სიტყვებით. აფციაური მოთმინებიდან გამოვიდა და მოკვლის განზრახვით მძიმედ დასჭრა გაბო წიკლაური. დაჭრილს აღმოუჩინეს საექიმო დახმარება და გაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. აფციაური მიიმალა.

ხანძარი

გუშინწინ, ღამით, თხინვალის შესახვევი (№ 5) მდებარე სახლს ლამპის აფეთქების გამო გაუჩნდა ხანძარი. ხანძარი ჩააქრეს შინაური საშუალებით.

გამფლანგველი შარაშიძე

დიმიტრი ირაკლის ძე შარაშიძე (მცხ. სასამართლოს ქ. № 43) ირიცხებოდა „საქართველოს ღვინო“-ს კომერციულ აგენტად. უკანასკნელ ხანებში დაიწყო სახაზინო ქონების ფლანგვა. შარაშიძე დააპატიმრეს. გამოირკვა, რომ მას გაუფლანგავს 3.110 მანეთი სახაზინო ფული.

დაკითხვისას შარაშიძემ განაცხადა, რომ ხსენებული თანხა მან წააგო კაზინოში.

ჯიბის ამოჭრის „სპეცი“

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა თბილისში „საგასტროლოდ“ ჩამოსული ანტონ ალექსანდრეს ძე დანილოვი. გაჩხრეკისას მას აღმოაჩნდა სამართებელი, რომლითაც იგი ჯიბეებს აჭრიდა მოქალაქეებს.

დაჯახება

გუშინ, დღისით, გოგოლის ქუჩაზე, ფურგონი, რომელსაც მართავდა მაქრო სეზაშვილი, დაეჯახა პატარა ბავშვს—ეთერი გრეკოვს და მსუბუქად დააშავა. გრეკოვის ბავშვი გადაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში გამოძიება სწარმოებს.

საქონლის გამოტანა ყალბი ჩეკებით.

სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ ნიკოლოზ გრიგოლის ძე არუთინოვს და მაჰმედ კასუმ-ოღლის კოოპერატიულ ყალბი ჩეკებით სისტემატიურად გამოჰქონდათ კოოპ. მაღაზიიდან სხვადასხვა საქონელი. ორივე ბოროტმოქმედი დააპატიმრეს და გაგზავნეს სპეცდანიშნულების იზოლატორში.

ოქროს ნივთების ქურდი ქალი

ამ დღეებში თბილისის სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა „ცნობილი“ ქურდი ქალი ანა ნიკოლოზის ასული შრტივა. მან 17 წელი დაჰყო სხვადასხვა ოჯახებში შინა-მოსამსახურეთ და ამ ხნის განმავლობაში სისტემატიურად იპარავდა ოქროს ნივთებს და საოჯახო ავეჯსაც.

შრტივას ბინაზე გაჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა 4.000 მანეთის ოქროს ნივთები.

მთელ რიგ მოწმეთა დაკითხვით გამოირკვა, რომ შრტივას გაუქურდავს: მოქ. პავლენსკის, აბრაგოვის, დანილოვის, ახნაზაროვის, ბარბაქესა და სხვა ბინები.

აღმოჩენილია მოპარული საოჯახო ავეჯეულობის ნაწილიც.

კოოპერატივის გამქურდავთა დაპატიმრება

ა. წ. 26 ივნისს, კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს ბოჭორიშვილის და საბჭოთა ქუჩის კუთხეში მდებარე მუშკოოპის მაღაზია (№ 29), საიდანაც წაიღეს 500 მანეთის საქონელი.

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს ბოროტმოქმედნი, ისინი აღმოჩნდნენ: გაბრიელ გიორგისძე ხომიზური და სერგო ალექსისძე მენთეშაშვილი.

ნაქურდალი საქონელი იპოვნნეს კოოპერატივის გვერდით მდებარე შენობის სახურავზე. ქურდები დანაშაულში გამოტყდნენ.

ქურდობა

მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ეკატერინე ბელაშოვის ბინა. წაღებულია 150 მანეთის საოჯახო ნივთები.

ჯიბგირობა

გუშინწინ, ღამით, როსტომ სულთანოვს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 150 მანეთი.

სასამართლო

ქალი, რომელსაც არ გაუხარია

ჩვენი მკითხველები ამას წინად მოკლედ გაეცნობოდნენ აღმაშფოთებელ ამბავს.

მოხდა ეს ამა წლის მარტში.

ვლადიმერ ალექსისძე ბედიაშვილი ის ისეთი ტიპია, რომელიც უნდა განიდევნოს ჩვენი საზოგადოებიდან, სამწუხაროდ, ძველი, დამყაყებული ცხოვრებიდან კიდევ დარჩენილან ჩვენში ისეთი ლეშები, რომლებიც თავისი სიმყრალით სწამლავენ ახალი ცხოვრების საღ ჰაერს და აშმორებულ ჰაობში ითრევენ ჩვენი განახლებული ცხოვრების შვილებს.

ბედიაშვილმა ცოლად შეირთო ახალგაზრდა ქალი მარო დ—შვილი. აი ამ დღიდან ჯვარი დაესვა მაროს ადამიანურ ცხოვრებას.

მზითევის დაგვიანება საკმარისი გახდა ბედიაშვილისათვის, რომ აეთვალწუნებია მარო და დაეწყო მისი გინება და ლანძღვა.

ბედიაშვილს აჰყვა თავისი დედა ევა, რომელიც სულ იმას ჩასჩიჩინებდა შვილს, რომ გაჰყროდა მაროს და უფრო ნასწავლი და მდიდარი ქალი შეერთო.

ქალი ითმენდა ყოველგვარ შეურაცხყოფას, ცემა-ტყეპას, დატუქსვას რა ექნა არავინ ჰყავდა მფარველი და ქომაგი.

ბევრჯერ უცდია ლაპარაკის ჩამოგდება ქმართან განშორების შესახებ, მაგრამ ყოველთვის ასე უპასუხებდა ვლადიმერ ბედიაშვილი:

„ჩემი რევოლვერის ტყვიის „წერა“ ხარო.

დღე არ გავიდოდა, რომ მარტო მტირალი არ ყოფილიყო. ქმარი მობეგვავდა და წავიდოდა, დედამთილი ევა კი წყევლა-კრულვის გუდას მოხსნიდა მტირალი რძლის კიდევ უფრო გასახელებლად.

დიდი საბაბი არ იყო საჭირო, რომ ბედიაშვილს სიკვდილის პირზე მიეყენებია თავისი ცოლი.

აი მაგალითი, რომელიც ნათელს ჰყოფს, რომ ბედიაშვილი მხოლოდ მხეცის ბუნებაა და არა ადამიანის.

ერთ დღეს სამი მანეთი დაუტოვა ბედიაშვილმა თავის ცოლს სანოვაგის შესასყიდათ. დაბრუნდა თუ არა სახლში, მაშინათვე მოითხოვა სწორი ანგარიში და ხურდა.

ქალმა ხურდა გადასცა და ჩამოუთვალა რა და რა იყიდა.

— ორი შაური სადღაა? შენ, ძაღლის ლეკვო,—სწვდა თმაში ქალს ბედიაშვილი.

ვერ მოიგონა ქალმა რომ ამ ორი შაურით პონჩიკი უყიდა ბავშს.

მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ურტყამდა მუშტს თავის ცოლს ამ ორი შაურის „გაფლანგვის“ გულისთვის.

ბოლოს ქალი გაუსხლტა ხელიდან და ატირებული გავარდა აივანზე, სადაც სამოვარი ჰქონდა გაჩაღებული. იქ იჯდა გული ტირილით, შემდეგ დაავლო ხელი ადუღებულ სამოვარს და მორცხვად შეუტანა ოთახში.

— მიირთვით ჩაი,—მორჩილების ხმით უთქვა ქალმა ისე, რომ არც კი შეუხედავს ქმრისათვის.

ამ დროს ბედიაშვილს რევოლვერი უკვე მომარჯვებული ჰქონდა და უმიზნებდა თავში თავის ცოლს.

გავარდა რევოლვერი და მარო სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა ძირს.

როცა მილიციის თანამშრომლები გამოცხადდნენ ბოროტმოქმედების ადგილას. ვლადიმერ ბედიაშვილი თავზე ხელ შემოდგმული იჯდა მაგიდასთან, რომელზედაც ელაგა ჭურჭელი თოფის საწმენდი ზეთით და ჩვარი.

ეს წინასწარ მოამზადა ბედიაშვილმა ისეთი შთაბეჭდილების შესაქმნელად, თითქოს უცაბედად გაუვარდა რევოლვერი წმენდის დროს.

ქალი მთელი ოთხი თვე იწვა საავადმყოფოში, იგი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ დასახიჩრდა სამუდამოდ.

— მე, ბატონო, რევოლვერის მოხმარაც არ ვიცი, —ლაპარაკობს უტიფრად ბედიაშვილი სასამართლოში.

— რად გინდოდათ რევოლვერი, თუ მოხმარა არ იცით?— ეკითხება თავმჯდომარე ბრალდებულს.

ბრალდებულს ენა დაება.

ცოტა ხნის შემდეგ იძულებული ხდება აღიაროს, რომ რევოლვერის მოხმარა იცის.

— გამოუმიზნეთ და ესროლეთ, თუ უცაბედათ გაგივარდათ?

— არა, არ გამომიზნებია, ისე ვესროლე „შესაშინებლად“,— ლაპარაკობს ზღაპრებს ბედიაშვილი.

სასამართლოს გამოაქვს განაჩენი.

ვლადიმერ ბედიაშვილს, როგორც საზოგადოებისათვის მავნე ელემენტს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით. სასტიკი იზოლაციით და უფლებების აყრა სამი წლის ვადით.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე— ა. კალანდაძე, სახალხო მსაჯულნი: არუთინოვი, დავლაშერიძე, პროკურორი—გაბუნია.

ვერ.

ვის ჩამოერთვა სახლები

ელენე ხზმიროვას (ლერმონტოვის ქუჩა № 10), ეკატერინე და სხვა ანტონოვებს (ენგელსის ქ. № 34), ხ. დავრიაშვილს (ენგელსის ქ. № 13), საკოვს (ენგელსის ქ. № 48), ნინა ტოპჩიანს (ენგელსის ქ. № 6), ბახრა პოროშნიანცს (ჯუღაშვილის ქუჩა № 13), ტერ-გასპაროვს (ენგელსის ქ. № 60), ელენე ხანკალამოვას (დუმბაძის ქუჩა № 20), ვართანოვს (ენგელსის ქ. № 40), ფლავიცკის და მელიქ მურადოვს (კალინინის ქ. № 91), ალექსანდრე კარალოვს (ენგელსის ქ. № 46), გიორგი აბრამიშვილს (ელბაქიძის დაღმართი № 7), ჟამკოჩიანცს (ენგელსის ქ. № 13), მარქაროვას (ელბაქიძის დაღმართი № 19), ნადეჟდა კესნერს (კალინინის ქ. № 82), არჩილ ბალახაძეს (ნინოშვილის ქ. № 50), ანა რატიევას (ნინოშვილის ქ. № 49), უგუზოვს (ჩერნიშევის ქ. № 10), ლიუდმილა აბაზის (ნინოშვილის ქ. № 47), კუკუჯანოვს (პლეხანოვის პრ. № 51), ი. ელიაშვილს (ტროცკის ქ. № 26), ტრეგულოვს (საიათნოვას ჩიხი № 4), ნიკოლოზ გრინერს (ზუბალოვის ქუჩა № 13), კონსტანტინე ფარცხალაძეს (ცხემის ჩიხი № 1), ბაგდაევს და ბათანოვს (ყაზბეგის ქ. № 9), ნ. მდივანს (ტრიბუნალის ქ. № 43), ჯამპალოვს და აროხაძეს (მლეთის შეს. № 24), პანდოევს (რუსთაველის პრ. № 37), მოსეს პეისოიანცს (ცეტკინის ქ. № 86), მიხეილ ფლორინსკის (ბესიკის ქ. № 47), მელანია ბარათაშვილს (მლეთის შეს. № 11), ანა რაგოვსკაიას (ჭავჭავაძის ქ. № 23), არუთინოვს და შარიქაძეს (ორჯონიკიძის ქუჩა № 75), კ. თუმანოვს (ცხაკაიას ქ. № 5), კ. თეთრაძეს (ბესიკის ქ. № 30), მარია ერისთავს (ბესიკის ქუჩა № 36), ქართველოვს და არუსტამიანს (ახალციხის ქუჩა № 4), ანა გელოვანს (მერკვილაძის ქ. № 27), გოგებაშვილს და ყუფარაძეს (ორჯონიკიძის ქ. № 77), გურგენიძეს და გუჯაბერიძეს (ორჯონიკიძის ქ. № 66) სოფიო ტარიევას (ახალციხის ქ. № 6), ნატალია ხერხეულიძეს (მელიქიშვილის ქ. № 6). ანისიმოვს (ორჯონიკიძის ქ. № 79), ნოკოგოვს (ლიხის შეს. № 4), პოზდნეევს (ცეტკინის ქ. № 72), ეგიანცს (ცეტკინის ქ. № 70), არკადი მილოვს (ნიაღვრის ქ. № 6), შურ ფრიდრიხს (ორჯონიკიძის ქ. № 57), ლორთქიფანიძეს (ორჯონიკიძის ქ. № 69), ნაზარბეგოვს (დუმბაძის ქ. № 5), ცქიფურიშვილს (მელიქიშვილის ქ. № 10), ჯაშს (ყაზბეგის ქუჩა № 4), ვასილ აბდუშელიშვილს (ვარდისუბნის ქ. № 24), კამოვიცკაიას (ნინოშვილის ქ. № 12), მელიტაურს და სხვ. (ნინოშვილის ქ. № 6),, ხელაშვილს და ლვთისიაშვილს (ნინოშვილის ქუჩა № 11), გლულაბოვს (თუმანიანის ქ. № 5) ჩუტოლომვს (დავითაშვილის ქუჩა № 23), ნანეიშვილს და უზნაძეს (მელიქიშვილის ქუჩა № 45) ვლად. კონსტანტინოვიჩს (ზასულიჩის ქ. № 37), ბასიაოვს და მუსიანცს (მიმოსვლის ქ. № 19), ბლიდკიცს (პეტრიაშვილის ქ. № 18), თითმურაზოვს (ცეტკინის ქ. № 10), დავით გრატიაშვილს (სუნდის ქუჩა № 13), ონიკაძეს (რიყის ქ. № 47), ქარუმიძეს (რიყის ქუჩა № 27), ბედიანაშვილს (ნიკოლაძის ჩიხი № 10), ელიჩქარეულს (მატერიალისტური ქუჩა № 16), ელიგულაშვილს (ლენინის ქ. № 26), გასან ჯამალოვს (კარუბაევის ქ. № 11), აუშტროვს (მელიქიშვილის ქ. № 31), ჩხენკელს (უნივერსიტეტის შეს.) ასტვაცატუროვს, გოგიძეს და სხვ. (ახალციხის ქ. № 1), გოგინეიშვილს და მელიქოვს (ნიკოლაძის ჩიხი № 4), მესროპოვს და მაჩაიძეს (ვარდისუბნის ქ. № 18—ა), აზრიევს (ახალციხის ქ. № 3), მენთეშაშვილს (ბელინსკის ქ. № 13), კუკუჯანოვს (დუმბაძის ქუჩა № 10), ცეიტლინს და ალექსი მესხიშვილს (ძნელაძის ქ. № 41), სარქისოვს (მაჩაბლის ქუჩა № 18), მურადოვს (ჯუღაშვილის ქუჩა № 1—6), ალიხანოვს (ენგელსის ქუჩა № 24). ჩაიგუშტოვს (დუმბაძის ქ. № 6), თუმანოვებს (სოლოლაკის ქ. № 11), ეგიაზაროვებს (დუმბაძის ქ. № 14), პიტოევს (მახარაძის ქ. № 7). ერისთავს (ენგელსის ქ. № 20), მენთეშაშვილს (ძნელაძის ქ. № 44), მეგრელიშვილს (ძნელაძის ქ. № 42), მეჟევენკოს (ელბაქიძის დაღმართი № 15), ჩიქვანაიას (ენგელსის ქუჩა № 17), კოჩიევას (დუმბაძის ქ. № 16), არღუთინსკი-დოლგორუკოვს (ჯუღაშვილის ქ. № 17), ლაზარიანს (ენგელსის ქ. № 43).

ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაული

გუშინ ჩატარდა ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაულის უკანასკნელი შეჯიბრებები. ცალობათა საერთო შედეგები ჯერ არ გამოურკვევია მთავარ მსაჯთა კოლეგიას.

კალათ ბურთი

დინამოს სტადიონზე ჩატარდა საქართველოს და აზერბ.-ის ქალთა და ვაჟთა კალათ ბურთის გუნდების შეჯიბრება. საქართველოდან თამაშობდა კალათბურთის გუნდი „სანათლე“. შეჯიბრება დამთავრდა საქართველოს გამარჯვებით 51:36.

შუბის ტყორცნა

აზერბეიჯანის წარმომადგენელმა ხოლდატოვმა შუბის ტყორცნაში დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი. მან შუბი სტყორცნა 51 მეტრისა და 30 სანტიმეტრის მანძილზე.

ადგილიდან ხტომა სიგრძეზე

ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში საუკეთესო შედეგს მიაღწია ოჩიგავამ (საქართ.), რომელმაც გადახტა 2 მეტრზე და 90,5 სანტიმეტრზე.

რბენა 800 მეტრზე

800 მეტრის მანძილზე რბენაში ვაჟთა შორის სამივე პირველი ადგილი დაიკავეს აზერბეიჯანელებმა. საუკეთესო შედეგს მიაღწია კრილოვმა — დისტანცია დაფარა 2 წუთში და 9,5 წამში; მეორედ მოვიდა ნიკულიანი — დისტანცია დაფარა 2 წუთში და 10,4 წამში. მესამე ადგილი დაიკავა ანდრიასოვმა — დისტანცია დაფარა 2 წუთში და 11,6 წამში.

ნახევარფინალი 100 მეტრზე

100 მეტრის მანძილზე ნახევარ ფინალურ რბენაში საუკეთესო შედეგს მიაღწია შვარცბაიამ (საქართ.), რომელმაც დისტანცია დაფარა 11,9 წამში. ფინალურ რბენაში გამარჯვება შეხვდა კუზმოვს (აზერბ.), რომელმაც დისტანცია დაფარა 11,5 წამში. მეორე ადგილი დაიკავა შვარცბაიამ (საქართ.), დისტანცია დაფარა 11,8 წამში. მესამე ადგილი დაიკავა, სამორდუკოვმა (აზერბ.), დისტანცია დაფარა 11,9 წამში.

ქალთა რბენა 80 მეტრზე

80 მეტრის მანძილზე ფინალურ რბენაში გამარჯვება ერგოთ საქართველოს ფიზკულტურნიკებს — ზალდასტანიშვილს და მედვედევას, რომლებმაც აღნიშნული დისტანცია დაფარეს 13,8 წამში.

800 მეტრის მანძილზე რბენაში საუკეთესო შედეგს მიაღწია მედვედევამ (აზერბ.), რომელმაც დისტანცია დაფარა 2 წუთში და 49,4 წამში.

რბენა 5.000 მეტრზე

5.000 მეტრის მანძილზე რბენაში ფინიშთან პირველად მოვიდა მიხალევი (აზერბ.), მან აღნიშნული დისტანცია დაფარა 17 წუთში და 43,9 წამში. მეორე ადგილი დაიკავა ალახვერდიანმა (სომხეთი) დისტანცია დაფარა 17 წუთში და 44 წამში. მესამე ადგილი დაიკავა გრიგორიანმა (სომხეთი) დისტანცია დაფარა 19 წუთში და 8,2 წამში.

ბადროს ტყორცნა

ბადროს ტყორცნაში ქალთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ოვსიანიკოვა (საქართ.), რომელმაც ბადრო სტყორცნა 22 მეტრისა და 32 სანტიმეტრის მანძილზე. მეორე ადგილი დაიკავა ტიმოფეევამ (საქარ.), მან ბადრო სტყორცნა 19 მეტრზე და 1 სანტიმეტრზე.

სიმძიმეების ქევა

დამთავრდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ძალოსანთა ცილობა სიმძიმეების აწევაში. პირველი ადგილი დაიკავა საქართველომ, მეორე—სომხეთმა და მესამე—აზერბეიჯანმა.

რბენა 8 კილომეტრის მანძილზე

ხელოვნური დაბრკოლებით 8 კილომეტრის მანძილზე რბენაში პირველობა აიღო სომხეთმა, მეორე ადგილი დაიკავა საქართველომ, ხოლო მესამე ადგილი აზერბეიჯანმა.

ველოსპორტი

29 ივნისს, შესდგა ქალა ველოგადარბენა 10 კილომეტრის მანძილზე. სტარტი დანიშნული იყო მილიციის კლუბის ახლოს, ხოლო ფინიში თეთრ დუქანთან 2 კილომეტრის დაშორებით. შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა კოგანმა (საქართ), რომელმაც დისტანცია დაფარა 3 წუთში. მეორე—პიჩიკიანმა (საქართ.) და სომხეთის წარმომადგენელმა, რომლებმაც დისტანცია დაფარეს 32 წუთში. აღნიშნულ ველოგადარბენაში პირველობის აღებას შესძლებდა პიჩიკიანი, რომ შემთხვევით არ გადმოვარდნილიყო ველოსიპედიდან რამაც მას დააკარგვინა 4 წ.

საღამოთი, ველოდრომზე შესდგა მოტოველო გადარბენა 50 კილომეტრის მანძილზე. გადარბენაში მონაწილეობა არ მიუღიათ აზერბეიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლებს. 50 კილომეტრის გადარბენაში ყველაზე საუკეთესო შედეგს მიაღწია სევერიანოვმა, რომელმაც გადასწენი მანძილი დაფარა 1 საათს, 12 წუთს და 47,9 წამში. მეორე ადგილი დაიკავა ტონიანმა, დისტანცია დაფარა 1 საათსა და 17 წუთში, ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდა ლეკსუტკინი— დისტანცია დაფარა 1 საათსა და 21 წუთში. აღსანიშნავია, რომ სევერიანოვს ორჯერ გაუფუჭდა მანქანა და მიუხედავათ ამისა, მაინც შესძლო პირველობის აღება.

ამ დღეებში ველოდრომზე შესდგა აგრეთვე ველო მარულა 1 კილომეტრის მანძილზე. მარულაში მონაწილეობა მიიღო 20 კაცმა. მათ შორის საქართველოდან—9 კაცმა, აზერბეიჯანიდან 7, ხოლო სომხეთიდან—4.

მარულას ფინალში პირველობა აიღო ხუხლაევინმა (საქართ.), რომელმაც დისტანცია დაფარა 2 წუთში და 46 წამში. მეორე ადგილი დაიკავა გუსიანმა (სომხეთი). დისტანცია დაფარა 2 წუთში 43,4 წამში ხოლო მესამე ადგილი მიიღო არტიროსიანს (სომხეთი) რომელმაც დისტანცია დაფარა 2 წუთში და 48,6 წამში.

საქართველო—აზერბეიჯანი

გუშინ ლენინის სახელობის სტადიონზე შესდგა საქართველოს და აზერბეიჯანის ფეხბურთელთა გუნდის შეჯიბრება.

მატჩი დამთავრდა 1 საქართველოს სასარგებლოდ.

ჭადრაკი

ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

მეექვსე ტური

როსტოვსკი-მაკაგონოვი. დებიუტში პარტია თანაბრად ვითარდებოდა, მაგრამ შემდეგ მაკაგონოვმა კომბინაციური სვლით მოწინააღმდეგეს მოუგო პაიკი და გადავიდა შეტევაზე. როსტოვცევი შეეცადა თავდაცვას, მაგრამ უშედეგოთ. მე-24-ე სვლაზე ის იძულებული გახდა დანებებულიყო.

ტალვიკი—გოგლიძე. თეთრებმა გოგლიძეს წინააღმდეგ მიმართა უნაყოფო ექსპერიმენტებს. გოგლიძემ იერიში მიიტანა მეფის ფლანგზე და მე-20 სვლაზე აიძულა ტალვიკი დანებებულიყო.

კარჩიკიანი—ილინ-ჟენევსკი. ჟენევსკიმ ენერგიული შეტევის წყალობით კარჩიკიანს მოუგო პაიკი და შეასუსტა მისი პოზიცია. კარჩიკიანმა რამდენიმე სვლის შემდეგ შესძლო პაიკის განაღდება, მაგრამ ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში. ჟენევსკი გადავიდა იერიშზე. კარჩიკიანი შეეცადა თავი დაეცვა, მაგრამ მე-52-ე სვლაზე იძულებული შეიქნა პარტია ჩაებარებია ჟენევსკისათვის.

იმენიტოვი—სმოროდსკი. (ისპანიური). სმოროდსკიმ აირჩია ძველებური ვარიანტი და მიიღო უკეთესი პოზიცია. და ბოლოს გამოიყენა მოწინააღმდეგის სუსტი მდგომარეობა და პარტია მოიგო.

იბრალიძე—სოროკინი. პარტია გადადებულია სოროკინისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

ტოტევიანი—ბადაი. ტოტევიანმა ვერ დაიცვა თავი ბადაის იერიშებისაგან და პარტია წააგო მე-22 სვლაზე.

აბრამიანი—მათეოსიანი. უკანასკნელის ავადმყოფობის გამო, მატჩი არ შემდგარა.

ავეტისოვი—მალუნცევი. დებიუტში შავებმა უპირატესობა მოიპოვა მოწინააღმდეგეზე მაგრამ შუა თამაშში დიდი შეცდომა, ავეტისოვს მისცა პაიკი და პარტია წააგო.

მეექვსე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია:

მაკაგონოვი+5, გოგლიძე +4 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, აბრამიანი+4. იბრალიძე, ბადაი+3 ნახ. ილინ-ჟენევსკი+2 ნახ. და სამი დაუმთავრებელი. სმოროდსკი+3 მალუნცევი და ავეტისოვი+2 ნახ. თითო დაუმთავრებელი. ტალვიკი+2 ორი დაუმთავრებელი კარჩიკიანი+2, როსტოვცევი+1 ნახ. და ორი დაუმთავრებელი, სოროკინი+1 ნახ. და 3 დაუმთავრებელი, იმენიტოვი+1 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, მათეოსიანი+ ნახ. და ტოტევიანი 0.

დღეს, 1 ივლისს, დილით, შესდგება დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. საღამოთი შესდგება ჩემპიონატის მეშვიდე ტური. თამაშობენ: აბრამიანი—იმენიტოვი, ილინ-ჟენევსკი—მათეოსიანი, მალუნცევი—კარჩიკიანი, სოროკინი—ავეტისი, ტოტევიანი—იბრალიძე, მაკაგონოვი—ბადაი, გოგლიძე—როსტოვცევი, სმოროდსკი—ტალვიკი.

ვ. გოგლიძე.

რადიო-გადაცემა

კვირა, 1-ლი ივლისი

დღეს თბილისის ოთხკილოვატიან რადიოსადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

დილით: მოხსენება „ტყის გაჩეხვა“—ქართულ ენაზე, საგლეხო რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე, საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კანტორის მოხსენება „სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევა“—რუსულ ენაზე, მოხსენება „კოოპერაციის მიღწევები“—რუსულ ენაზე, ქართული მუსიკის კონცერტი.

საღამოს: რადიო-კავშირის რადიო-გაზეთი რუსულ და ქართულ ენებზე, მოხსენება ციკლიდან „სვანების წარმოშობა“—ქართულ ენაზე, საუბარი აგრონომიის შესახებ—ქართულ ენაზე, მოხსენება „ბრძოლა ჩრდილოეთ პოლიუსისათვის“, „ამუნდსენი და ნობილე“—რუსულ ენაზე, მოხსენება ტრიპერის შესახებ—ქართულ ენაზე, კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს მოხსენება „თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების კვარეულის ამოცანები“—რუსულ ენაზე, ტეხნიკური კონსულტაცია, ფოსტის ყუთი, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა რუსულ და ქართულ ენებზე, ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია რუსულ და ქართულ ენებზე; მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

ორშაბათი, 2 ივლისი

მოხსენება „როგორ უნდა იქნას გამოყენებული საზაფხულო დასვენება და ფიზკულტურა ჯანმრთელობის აღსადგენად“—ქართულ ენაზე, მოხსენება „თესვის კამპანიის შედეგები საქართველოში“—ქართულ ენაზე, საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს მოხს. „ჩაის ბუჩქების ნორჩი ყლორტების მოვლა“—ქართულ ენაზე, მოხსენება „მოაწყვეთ მასიური კრიტიკა ქვევიდან“—რუსულ ენაზე, კომკავშირელთა რადიო გაზეთი რუსულ ენაზე, მოხსენება „სულით ავადმყოფთა მოვლა ოჯახურ პირობებში“—სომხურ ენაზე, მოხსენება რუსულ ენაზე, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა რუსულ და ქართულ ენებზე. ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია რუსულ და ქართულ ენებზე, კონცერტი ან ტრანსლიაცია; მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

ნარევი

ახალი სამხეცე ჩიკაგოში

ჩიკაგოში შენდება სამხეცე, რომელიც უდიდესი იქნება მთელ მსოფლიოში. სამხეცე დაიკავებს 200 აკრს და მასში განზრახულია 4000 ჯიშის ცხოველის და 3.000 სხვადასხვა სახის მფრინველის მოთავსება. შენდება სამხეცე ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. საკმაო აღინიშნოს, რომ სამხეცეს ყველა შენობების ფანჯრებში ჩადგმული იქნება სპეციალური მინები, რომლებიც ატარებენ ორგანიზმისათვის მეტად აუცილებელ ულტრა-იისფერ სხივებს. სამხეცესთან მოწყობილი იქნება განსაკუთრებული საავადმყოფო მუდმივი „საწოლებით“, რენტგენისა და კბილის საექიმო კაბინეტებით, ქირურგიული განყოფილებით და მზის ვანების მისაღები აიგნით. სამხეცე შესანიშნავია იმით, რომ იქ არ იქნება არც ერთი გალია და ერთი ღობე. ცხოველებისათვის შექმნილი იქნება პირობები, რომლებიც ძლიერ წააგავენ მათი ბუნებრივი არსებობის პირობებს. მნახველებისაგანა ისინი დაშორებული იქნებიან წყლით ამოვსებულ თხრილებით, კლდეებით და სხვ. მაგრამ მოედანი, სადაც მხეცები იქნება მოთავსებული, ისე იქნება მოწყობილი, რომ ყოველი მხრიდან ადვილი დასანახი იყოს.

მწერების, მაგალითად ფუტკარის ან ჭიანჭველების კოლონიები მოთავსებული იქნება განსაკუთრებულ შუშის ყუთებში, რაც შესაძლებლად ხდის მათი ცხოვრებისათვის თვალყურის დევნებას და ზედმიწევნით შესწავლას.

სამხეცეს მოწყობილობის მეორე საინტერესო დეტალია—ელექტრონული განათება სამხეცეს ტერიტორიაზე. ბეტონის ნიადაგსა და აგრეთვე ბეტონის ხელოვნურ კლდეებში, რომლებიც გარს აკრავენ მოედანს, სადაც მხეცები იქნება მოთავსებული, გაყვანილია ელექტრონის მავთულები. როცა საჭიროა, ამ მავთულებში უშვებენ ელექტრონებს. რომელიც ათბობს ბეტონს, გამთბარი ბეტონი კი ათბობს ჰაერს. ამრიგად დაცულია ჰაერის ის ტემპერატურა, რომელიც საჭიროა ტროპიკული ქვეყნის მხეცებისათვის.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საალრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. კარაპეტ გაბრიელის ძე არუთინოვს და დავით ზარიძეს, გამოცხადდნენ ორი დღის განმავლობაში ცეკაში ამხ. კვირკელიასთან.

იურიდიული დახმარება

ვერის ნიკოლაძის ეკლესიის მოლარეს

კითხვა:

სასაფლაოს დარაჯმა, გამგესთან შეთანხმებით გადაჩეხა აკაციის ხე, რომელიც იდგა ეკლესიის კედლიდან სამი არშინის მანძილზე. გადაჩეხილი ტოტები შეადგენს დაახლოვებით ერთ ურემ შეშას. გეკითხებით, ჰქონდა თუ არა ამის უფლება დარაჯს და გამგეს და თუ არ ჰქონდა, ვინ უნდა მისცეს ისინი პასუხისგებაში.

პასუხი:

როგორც ეკლესიის მიწა, ისე მასზე ნაშენი ნათესები ეკუთვნის სახელმწიფოს და ითვლება ქალაქის აღმასკომის განკარგულებაში. ამიტომ თუ აკაციის ხის ტოტების გადაჩეხვას ჰქონდა ადგილი აღმასკომის კომუნალურ განყოფილების ნებართვის გარეშე., ასეთი მოქმედება არის თვითნებობა. დამნაშავის წინააღმდეგ შეიძლება იქნეს აღძრული დევნა სისხლის სამართლის წესით.

წირქვალის თემის (შორაპნის მაზრა) მცხოვრ. მაჭარიშვილებს, ჯაჯანიძეებს და გოჭერელიძეებს

კითხვა:

ჩვენ, ჩვენი სოფლის მახლობლად გვქონდა ტყიანი ადგილები, რომლებიც პირველ ხანებში ჩამორთმეული იყო, მაგრამ ორი წლის წინეთ, ეს ტყიანი ადგილები გამოყოფილ იქნა სახაზინო ტყეებიდან, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები. ამ ტყეებს ამჟამად არავინ არ იცავს. ჩვენ, ყოფილ მეპატრონეებს, რომლებსაც არ გვაქვს საკმაო რაოდენობის სახნავ-სათესი მიწა, შეგვიძლია თუ არა მივიღოთ ჩვენი ყოფილი ტყეები ნორმაში და თუ შესაძლებელია, ვის უნდა მივმართოთ?

პასუხი:

საერთო წესის მიხედვით, ტყიანი მიწები არ გადაეცემა შრომითი სარგებლობისათვის. გამონაკლისს შეადგენს ის შემთხვევა, როცა ტყიანი მიწები გადაეცემა გასაკაფავად წინასწარ შემუშავებულ და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებული გეგმისა სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგ არეს გაფართოების შესახებ.

ოფიც. განკარგულება

ცირკულიარი № 01112

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა

29 ივნ. 1928 წ.

ს. ს. ს. რ. სახალხოკომისართა საბჭოს 1928 წ. 19 ივნისის დადგენილების შესასრულებლად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს:

1. 1928 წ. 1 ივლისიდან დაიკეტოს სათამაშო დაწესებულებანი (კარტის, ლოტოს, ნარდის და სხ.), გარდა დაწესებულებებისა, რომლებსაც ინახავს ა.კ. სოც. უზრუნველყოფილების და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ც-საშენი.

2. ც.ა.კ. სოციალუზრუნველყოფის განყოფილების და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენის აზარტიანი სათამაშო დაწესებულებები დაიკეტოს 1928 წ. 1 ოქტომბრიდან, ვადისათვის მოხდეს ლიკვიდაცია ყველა აზარტიანი სათამაშო დაწესებულებებისა.

3. თბილისის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსმა და მაზრის მილიციის უფროსებმა სასტიკი ზედამხედველობა იქონიონ ამ განკარგულების შესრულებისათვის.

4. იმ შემთხვევაში თუ 1 და 2 მ. მ. აღნიშნულ ვადების შემდეგ აღმოჩენილი იქნება აზარტიანი სათამაშო დაწესებულებები სამილიციო ორგანოები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ ასეთები დაჰკეტონ, მხოლოდ დამნაშავე პირებზე შეადგინონ ოქმი მათი პასუხისგებაში მისაცემად.

5. ამა ცირკულიარის მოქმედება ვრცელდება ს.ს.ს.რ. მთელ ტერიტორიაზე.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი — ბერია.

შს. ს. კ. ადმინ. ნაწილის უფროსი, რესპუბლიკის მილიციის უფროსი — ბერაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკის და ტეხნიკოსთა კურსების თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათთვის ძვირფასი და ერთგული თანამშრომლის

მარო რუსიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ა. წ. 2 ივლისს 4 ს., გამოსვენება ყორესის ქუჩა 15. 2899

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსების მსმენელები უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ დაუვიწყარ ხელმძღვანელის

მარიამ ისაკის ასული რუსიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო 2897

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი ამხანაგები ციცინო მურვანიძე, ლეტა შარაშიძე, ქსენია ვაშაკიძე, თამარა თათარიშვილი, ბიჭი ბაქრაძე, თამარ ერეკაშაილი და ვანო ნიკოლეიშვილი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამთ ძვირფას ამხანაგის კბილის ტეხნიკოსის

მარო ისაკის ასული რუსიშვილის

უდროოდ გარდაცვლების გამო 2897

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: მშობლები ისადა ვარო, და თამარ დეიდები: სონა ლეონიძისა ქმრით, ნინა წიკლაურისა ქმარ-შვილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 29 ივნისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი, კბილის ტეხნიკოსთა კურსების უმცრ. დემონსტრატორი

ციცო (მარო) რუსიშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი 1 ივლისს, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ყორესის ქ. № 15, ორშაბათს 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2888

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ნინო, და ანიკოძე ალექსანდრე ჩარიას-ძე მჭედლიშვილი, ბიძა შაქრო და ძალუა მაშო შაიშმელაშვილები იუწყებიან რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 29 ივნისს, კურორტ აბასთუმანში გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

პეტრო ივანეს-ძე თოთუხიშვილი

დაკრძალვა მოხდება კურ. აბასთუმანში. 2887

მალე საუკეთესო კინოებში საუკეთესო ფილმი
УХАБЫ
თვალყური ადევნეთ დადგმას
ნ. 1341

მედსანშრომის მუშაკთა საზაფხულო კლუბი (ყოფ. სტელა)
დღეს, 1 ივლისს,
სიმფონიური კონცერტი
სახ. არტისტის მ. ი. ჩერნიახოვსკის უკანასკნელი გამოსათხოვარი გასტროლი.
პიანისტი გ. ზიზდოს მონაწილეობით. პროგრამაში: დვორჟაკ, რახმანინოვი, რუბინშტეინი, შოპენი, სტრავინსკი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
სამშაბათს, 3 ივლისს, კონცერტი მუშათა ახალ კლუბში. ნ. 1331

ფოსტა-ტელეგრაფის ამ.-კავ. ოლქის სამმართველო
1928 წლის 7 ივლისს შუადღის 12 საათზე ქალ. თბილისში
რუსთაველის პროსპექტი № 43
ნიშნავს
საჯარო ვაჭრობას
356.127 კლგრ. ქერის, 249.014 კილ. დაპრესილი თივის და 197.776 კილ. დაპრესილი ბზის მიწოდებაზე

1) აღნიშნული საქონლის ჩაბარება და ხარისხის შემოწმება—ფრანკო-საწყობი საფოსტო სადგური.

2) ჩაბარების ვადა 1928 წლის 1 აგვისტოდან 1 იანვრამდე ნაწილ-ნაწილად ყოველთვიურად.

3) საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მაძიებელთა სურვილის მიხედვით, მიწოდება შეიძლება დაყოფილ იქნეს სხვადასხვა ფურაჟის მიხედვით ე. ი. ქერის მიწოდება დაეკისრება ერთს, თივის მეორეს და სხვ.

4) ორგანიზაციები, დაწესებულებები ან კერძო პირები, რომელთაც უნდათ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა გამოცხადდნენ ან უნდა შემოიტანონ საჯარო ვაჭრობის დღეს, არა უგვიანეს შუადღის 12 საათისა, თავისი განცხადებები საღერბო მარკებ დაკრული, ღია ან დაბეჭდილ კონვერტებში წარწერით „7 ივლისის საჯარო ვაჭრობისათვის ამა და ამ ფურაჟზე“, საჯარო ვაჭრობის შესახებ არსებულ ინსტრუქციით შემოღებულ ყველა წესების დაცვით.

5) საჯარო ვაჭრობისათვის შემოტანილ განცხადებებში აღნიშნულ უნდა იქნეს მიწოდების პირობები, ფუთი ქერის, თივის, ბზის ღირებულება და განცხადების შემომტანის მისამართი.

6) როგორც წერილობით, ისე პირად განცხადებებს თვით საჯარო ვაჭრობაზე დართული უნდა ექნეს შემდეგი დოკუმენტები: საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღების პირადობის მოწმობა, ქვითარი ვაჭრობის მონაწილის მიერ აღნიშნულ თანხის 10 პროც. შეტანის შესახებ სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთ სალაროში ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს დეპოზიტში, ან დოკუმენტები ამა თუ იმ უძრავ ქონების მფლობელობის შესახებ და ხელწერილი ხელშეკრულების აუცილებლად ხელმოწერის შესახებ. თუ მიწოდების უფლება საჯარო ვაჭრობაში დარჩა განცხადების შემომტანს, და იგი დამტკიცებულ იქნა.

7) სახელმწიფო წარმოებები და რესპუბლიკანური ან საოლქო მასშტაბის კოოპერატიული ორგანიზაციები საწინდარის შემოტანისაგან განთავისუფლებული არიან.

8) კონდიციების და პირობების გაცნობა შეიძლება ფოსტა-ტელეგრაფის ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველოს საფოსტო განყოფილებაში—რუსთაველის პროსპ. № 43, ოთახი № 11, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ყოველდღე სამუშაო დღეებში.

ს. ს. რ. კ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხოკომისარიატის რწმუნებულის მოადგილე ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ყამარაული.
საფოსტო განყოფილების გამგე ცაგარეიშვილი.
ნის. 1336

სახკინმრეწვის კინოთეატრები

აპოლო	უკანასკნელი დღე ორფეოსი (ქარიშხალი) რეჟ. ივ. პერესტიანი. ოპერატორი დიღმელოვი	კინო [illegible] ჩადრი
მინიონი		
სოლეი		
განთიადი (ნაძალადევში)	უკანასკნელი დღე დიადი გზა	სურამის ციხე
საზაფხულო ეთერი	უკანასკნელი დღე ბულატ ბატირ	ტოლი
საზაფხულო დარბაზი	მხატვრული ფილმი კეთროვანი	პრერია მისალმატებულება
საზაფხულო პალასი	თავზე ხელაღებული 3 და 4 სერია	5 და 6 სერია
პროლეტარი ავლაბარი	თავზე ხელაღებული 1 და 2 სერია	1 და 2 სერია

ანონსი მალე უცხოეთის ახალი სურათი „მათხოვარი-მაჰარაჯა“ კოლინ მონაწ. .0—27

საზაფხულო კინო „დარბაზი“
ორშაბათიდან, 2 ივლისიდან
სამხატვრო თეატრის
დამსახურებული მსახიობი
ლ. ლეონიდოვი
მხატვრულ ფილმში
მისი აღმატებულება
გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი.
ნ. 1341

მიწსახკომის მეცხენეობის და ცხენთსაშენის განყოფილება აცხადებს, რომ ოთხშაბათს, ა. წ. 27 ივნისს, „შოკეი კლუბის“ ბაღში
გათამაშებულ იქნა ინგლ. ნახევარ სისხლიანი ულაყი
„ლათბარი“
ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ.
მოგება ხვდა ბილეთს № 2730
ბილეთის პატრონი ცხენის ჩასაბარებლად უნდა გამოცხადდეს მიწსახკომში, ოთახი 21, ა. წ. 3 | VII-მდე. ბილეთის პატრონი არ კარგავს ცხენის წაყვანის უფლებას 33 დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადებისა, მხოლოდ იხდის საფასურს ცხენის მოვლა—კვებისას დაწყებული 3 | VII-დან. დაწესებულ ვადის გ სვლის შემდეგ ბილეთის პატრონს ეკარგება უფლება ცხენზე. ნ. 1340

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს
ქართულ რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავლ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და განმეორებითი ოცდებისათვის, აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. 5) 8—1 ს., 2—6 ს. ორ მოწაფეს ვღებულობთ სრულ ყოფით 4—1 2892

იყიდება
გაზიან წყლის
მოწყობილობა
ორი ცილინდრით და სხვა ნაწილებით ბელინსკის ქ. № 43 სადარბაზო კარებიდან მე-2 სართული. ნახვა შეიძლება დილ. 7-დან 9 საათამდე 4-დან 7-დე
. ნადირაშვილი
2891

პიანო რენიშ
და საოჯახო ნივთები
იყიდება
ქალაქიდან წასვლის გამო
პლაოვის ქ. № 183
2881

მიხეილ დევგანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ნაწილებით
ელექტრით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ეხბას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 4-8 საათ. თბილისი, ყორღანოვის № 20 25—4

გამოვიდა გასაყიდათ
ს. რეჯონიძის
„ადამიანი“
პიესა 4 მოქმედებათ. ფასი 60 კაპ.
ვინც 20 ცალს დაიკვეთს დაეთმობა 25%
2893 ლენინის ქ. № 6. ს. თავართქილაძე.

აჭარისტანის მთავარი საკურორტო სამმართველო
ამით აცხადებს, რომ ამა წლის 6 ივლისს 12 საათზე, ბათომში, ლენინის ქ. № 11, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შენობაში დანიშნულია დახურული
წერილობითი შეჯიბრება
ქობულეთში პავილიონ—რესტორანის იჯარით გაცემის შესახებ. ყოველივე პირობების და კონდიციის გაცნობა შეიძლება აღნიშნულ მისამართით დილის 8 საათიდან 2 საათამდე.
ნ. 1342 მთავარი საკურორტო სამმართველო.

საპნის სახდელი ქარხანა „ტრუდხიმ“
აცხადებს, რომ კვირას 1 ივლისს, დღის 11 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
რომლითაც გაიყიდება: სალომასის, მილნაფთის და სხვ. კასრები, თუჯის ქვაბები და სხვ. ქონება და აგრეთვე გამდნარი მინა (ვასერგლას). ნავთლუღი, მინკევიჩის ქ. 17.
2886 ნადი „ტრუდხიმ“-ის გამგეობა.



АКЦИОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО
„МУЗЫКА“
Харьков, пл. Р. Люксембург № 10
Производство и продажа музыкальных инструментов
ГАРМОНИИ
2-х, 3-х рядные, венские и хроматические. НАРОДНО-СТРУННЫЕ и ДУХОВЫЕ музыкалньные инструменты в громадном выборе. Требуйте прейскурант № 3, высылается за 3 восьмикопеечные марки
31—1

საჩხერის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ზ. კილაძე
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 3 ივლისს დღით სამშაბათს ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ვასილ როსტომის-ძე ბურჯანაძის მოძრავ ქონებაზე დაბა საჩხერეში: 1) აგურის ქარხნის შენობის ერთი მეოთხედი ნაწილი, 2) ოცი (20) ცალი ლამფა, 3) სამი ცალი წიფლის ფიცარი, 4) სახურავის ყავარი და სხვა მასალა, 5) აგურის საჭრელი ერთი კალაპოტი, 6) ერთი ტაჩკა, 7) ერთი ლაფათქა და ერთი თოხი და 8) ერთი საზელი მანქანა შეფასებული 191 მანეთად, დასაკმაყოფილებლად გალაქტიონ ანტონის-ძე ნადირაძის 200 მანეთისა და ჭიათურის მუშათა საბინაო საამშენებლო კოოპერატივის 300 მანეთისა, თანახმად გაპროტესტებული თამასუქისა ჭიათურის სახელმწიფო კანტორის მიერ 4 ნოემბრის 1927 წ. თარიღით № 608 და 22 ივნისის ა. წ. თარიღით № 251. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია მეორეჯერ და მსურველთ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა წინასწარ 10 პროც. წარმოდგენით საწინდრის სახით. 2896

ზესტაფონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი აჭიაშვილი
აცხადებს, რომ 6 ივლისს დილის 11 საათზე ქ. ზესტაფონში 25 თებერვლის ქ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის კიკილა იგივე ოქროპირ გეწაძის სავაჭრო შენობას, დასაკმაყოფილებლად თანე ლეჟავას ვაისა, თანახმად ზესტაფონის სახალხო სასამართლოს 1 ივნისის 1927 წ. № 1270 აღ. ფურცლისა. ქონება შეფასებულია 120მ., საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.
ვაჭრობა მოხდება 311—3 უბ. ს.ს.ს.კ. დაცვით. ნ. 1339

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მე-2 უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტის
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
მისამართი: ქ. ცეტკინის ქუჩა № 12

ექიმი ჯ. ლალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით —8—9 საღ.—4—5
მისამართი კმის ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ექიმი
ა. ი. ზერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოლოყაშვილის შესახვევი ალიხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას ([illegible] სივენე, ბუასილი) ელექტრით მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დან 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—[illegible] საათამდე. ქალების მიღება დღით 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10 13—

ექიმი
დარეჯან ე.
თხაკიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.
მისამართი: ფარცხის ქ. (ყოფ. ემიონოვის) № 16. 21—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილ. 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი
ნ. ზ. კონტოროვიჩის
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვძლევ საექიმო რჩევა-დარიგებებს პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ თანამედროვე საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25

დაკარგვა: დამზღვევი კასის საპენსიო წიგნაკი, თამარა ხუციშვილის სახელზე, ჩ. გ. 2890

დაკარგვა: სენაკის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ გაცემული მოწმობა სამსახურში უვარგისობის შესახებ ივანე ბუკიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1338

დაკარგვა: პირადი წიგნაკი № 1327 გაცემული ფოთის სამხედრო მაგიდის მიერ (ფ. 4.) პლატონ ანდროს ძე კოკალიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1338

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 1544 გაცემული ქ. ზესტაფონის მილიციის მიერ დიმიტრი მელაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1339

დაკარგვა: საამშენებლო კავშირის წიგნაკი გიორგი კლემენტისძე ლორთქიფანიძის სახელზე, ჩ. გ. 2894

დაკარგვა: სახ. ბეგ. დამოკიდ. ქალაღდი, ფ. № 4 გიორგი ვასილის ძე წერეთლის სახელზე, ჩ. გ. 2895

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის მე 1 ე სტამბა [illegible] ქ. № 68